ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №5 (41), 2014, მაისი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

ივანე ჯავახიშვილი სტალინის გვარის საღაუჩოზის შესახებ

ჰისტლეარიუზენდი ნასიზმის საძიარტველში

ბამოსსაღებული სიტვდილის ქართული ქრონიკა

არსენა მარაბდელი

(ტომი III)

მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანი

3 წიგნად

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

„სახელმწიფო მოტვდა! ბუმაჰჯოს სახელმწიფოს!"

ქომაული ფული საქართველოში

ქობოქ ექებდა თამარის საფლავს ექვთიმე თაყაიშვილი

ჩეჩჩილის „პოლონური შესდომა"

„მეჭამელის სამოთხე" ესპანეთში



სარჩევი

მოკლე ამბები

გეგუთის სასახლის რეაბილიტაცია დაიწყება 6

რამ დაღუპა 60 მილიონი ადამიანი 7

ახალი ამბები

ცივი ომის „არამომაკვდინებელი იარაღი“ ... 10

პირველი ნაბიჯები

„სახელმწიფო მოკვდა! გაუმარჯოს სახელმწიფოს!“ 12

ქართული მონეტები

რომაული ფული საქართველოში 17

მოკლე ამბები

ქუთაისის „ახალი სიცოცხლე“ 22

მეცნიერების მემკვიდრეობიდან

ხალხთა გელადის გვარის სადაურობისთვის 24

დაუმთავრებელი ნაშრომი

როგორ ეძებდა თამარის საფლავს ექვთიმე თაყაიშვილი 32

საქართველოს მეჯოჯღლეთეხუსესი

დადიანების განძის გადასარჩენად 40

ახალი ამბები

საქართველოს ისტორია და ტაო-კლარჯეთი 45

ბაბილოვანი ხელმწიფენი

გრიგოლ I-ის წინაპრები და ნათესავები დედის მხრიდან 46

ექსლიბრისი

სიმონ ხუხუნაიშვილის დაბრუნება 54

თავბანნირავ მხედრული ლიხებისთვის

გამოცხადებული სიკვდილის ქართული ქრონიკა 58





სარჩევი

სომეხთა ჩამოსახლება ჯავახეთში
ვინ იყო არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი? 64

ქართველი სამხედროები საზღვარგარეთ
„ჩინეთის არმიის გენერალი სი და მა — გორელი გიორგი სიდამონიძე“ 70

მობზაური ეთნოლოგების ჩანაწერები
ნორვეგია — ტბებისა და მუზეუმების ქვეყანა 72

ბელოპოლიტიკური საჭადრაკო დაფა
ჩერჩილის „პოლონური შეცდომა“ 80

მსოფლიოში ცნობილი სიხე-დარბაზები
ალჰამბრა — „მუჰამედის სამოთხე“ ესპანეთში 86

მესამე რაიხის ბაღჩეა
ჰიტლერიუგენდი — ხაკისფერი ჭირის აღზევება 94

მოსნავლის ბვეიდი
გეპატიჟებით ციხე-გოჯის ნაქალაქარზე! 102

ხსოვნება
კაცი, რომელმაც „ასაკი დაკარგა...“ 106

XIX-XX საუკუნის ფოტო-ბაზეთები
მხიარული ამბები „ივერიიდან“ 111

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
ცოდნის სამყარო 114

სკანვორდი 122

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

„თუმცა ჩემი მთავარი მოღვაწეობა პედაგოგობა იყო და ამას შევწირე ჩემი ცხოვრების 30 წელიწადი, იმავე დროს შეძლებისამებრ ვმუშაობდი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიაში, საზოგადოდ ქართული კულტურის ისტორიაში. აქ მიზნად დავისახე საბუთებისა და ძეგლების შეკრება, მათი მოწესრიგება, აღწერა-გამოქვეყნება და, რაც მთავარია, დაცვა“, — წერდა დიდი ქართველი მეცნიერი, ქართული საგანძურის თავდადებული მცველი, საქართველოს საჭურველთმტვირთველი ექვთიმე თაყაიშვილი.

წმინდანად შერაცხილმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქვეყნის ისტორიის შესწავლასაც. „ისტორიანის“ ამ ნომერში მოგითხრობთ, როგორ ეძებდა თამარ მეფის საფლავს მეცნიერი ემიგრაციაში წასვლამდე და ვინ იცის, რომ არა სამშობლოდან იძულებით გადახვეწის მძიმე წლები, დიდ მეცნიერს ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა კიდეც. თუმცა იგი იძულებული გამხდარა, დაუდგენელ მიზეზთა გამო შეეწყვიტა გათხრები თამარის ეგვტერში. არადა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წამოწყებული ეს გათხრები იყო პირველი და ერთადერთი მცდელობა, გახსნილიყო თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამა.

ჩვენ შევეცადეთ მოპოვებული სამეცნიერო მასალების შეჯერებით დაგვედგინა მიზეზები, რატომ დარჩა თამარის საფლავის საიდუმლო ამოუხსნელი კიდევ ერთხელ. თუმცა კი აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის კვლევა-ძიება ამ მხრივ მართლაც ფასდაუდებელია.

„ისტორიანი“ ამ ნომერშიც არაერთ საყურადღებო მასალას გთავაზობთ. მათ შორისაა დაპირებული დებიუტი. რუბრიკით „მოსწავლის გვერდი“ ვაქვეყნებთ სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი ბექა ჭიჭინაძის ისტორიულ ნარკვევს უძველესი ლაზიკის დედაქალაქზე.

დასასრულს, ჩვენი ექსკლუზივი: ორი თვის წინ გარეკანზე გამოქვეყნდა საქართველო-სომხეთის ომის გმირის, სიმონ ხუხუნაიშვილის ფოტო, რასაც მისი ნათესავების გამოხმაურება მოჰყვა. თავის მხრივ, რედაქციამ ომის გმირის უცნაური თვითმკვლელობის მიზეზები გამოიკვლია. ამ ისტორიას სიმონ ხუხუნაიშვილის ნათესავები მკითხველთან ერთად შეიტყობენ.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წამოწყებული გათხრები იყო პირველი და ერთადერთი მცდელობა, გახსნილიყო თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამა

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი

„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

გეგუთის სასახლის ნაშთი

გეგუთის სასახლის რეაბილიტაცია დაიწყება

წლეულს გეგუთის სასახლის რეაბილიტაცია დაიწყება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კონსერვაცია ჩაუტარდება არქიტექტურული ძეგლის დაზიანებულ ნაწილებს, მთლიანად აღდგება სასახლის თითქმის დანგრეული გალავანი, შეიცვლება კარი და მოეწყობა განათება. ეს ძეგლის დათვალიერებისა და მისი უკეთ აღქმის საშუალებას მისცემს ღამის საათებში აქ მოსულ სტუმარს.

გეგუთის სასახლე ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი ქართველ მეფეთა რეზიდენცია იყო. ყველაზე ადრეული ისტორიული ცნობა XII საუკუნეს განეკუთვნება, თუმცა აგებული XI საუკუნეზე ადრე უნდა იყოს.

1953-1955 წლებში ძეგლის გასაწმენდისა და გამაგრების სამუშაოებისას გაირკვა, რომ სასახლე სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფენისგან შედგება. თავდაპირველად აქ ერთადერთი ბუხრიანი ოთახი ყოფილა — მცირე სამეფო „სანადირო სახლი“. XII საუკუნეში, გიორგი III-ის მეფობის პერიოდში, აგურით ააშენეს დიდი დარბაზი თლილი ქვის სამმეტრიან ცოკოლზე. დარბაზის შუა ნაწილს გუმბათი ხურავდა, ოთხ მხარეს კი, ჯვრის მკლავებივით მიემართებოდა კამარებით გადახურული ღრმა უბეები. ხელოვნებათმცოდნეთა ინფორმაციით, ამგვარად იქმნებოდა დიდი ჯვრისებრი სივრცე, რომელიც მდიდრულად მორთული ინტერიერით გრანდიოზული და საზეიმო უნდა ყოფილიყო.

დარბაზის შუა ნაწილს გუმბათი ხურავდა

XIII ან XIV საუკუნეს მიეკუთვნება ორსართულიანი მინაშენი დასავლეთის მხრიდან და სასახლის ეკლესია.

XVIII საუკუნეში იმერეთის მეფე სოლომონის დროს სასახლე ძლიერ დაზიანდა. ხოლო XIX საუკუნის 30-იან წლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქვის „კარიერად“ იქცა.

გეგუთის სასახლის კომპლექსური განვითარების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ივნისში საერთაშორისო კონკურსის გამოცხადებას გეგმავს წლების განმავლობაში მიტოვებული და გაპარტახებული სასახლის რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებლად.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

რამ დალუპა 60 მილიონი ადამიანი

1348 წელს ცენტრალური აზიიდან დიდ ბრიტანეთში ე.წ. შავი სიკვდილი „გადასახლდა“. დღემდე მიიჩნევდნენ, რომ ინფექცია ვირთხის რწყილებს გადაჰქონდათ და შავი ჭირი ამ გზით სწრაფად მოედო ევროპას. თუმცა, ლონდონის არქეოლოგიურმა აღმოჩენამ შესაძლოა შუა საუკუნეებში შავი ჭირის პანდემიაზე დღემდე არსებული წარმოდგენები შეცვალოს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შავი სიკვდილი ჰაერწვეთოვანი გზით, ხველებით, ცემინებით, სუნთქვითაც კი გადადიოდა და ის არა მხოლოდ ჩირქოვანი წყლულების, ანუ ბუბონების, არამედ ფილტვების ჭირიც იყო. ამ დასკვნამდე მისასვლელად მეცნიერებს ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მასობრივი სამარხებიდან 25 ჩონჩხის შესწავლა მოუხდათ.

შუა საუკუნეების შავი ჭირი – სიკვდილის ჰაერწვეთოვანი დესანტი

შავი ჭირის ეპიდემია შუა საუკუნეების ლონდონში

ბრიტანეთის დედაქალაქში, ფარინგდონის რაიონში 2013 წელს, მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობისას სამარხებს მიაკვლიეს. 13 ჩონჩხი ჭილოფში იყო გახვეული და ერთმანეთის გვერდით ეწყო. მოგვიანებით კიდევ 12 ჩონჩხი იპოვეს.

25 ნეშტიდან 13 მამაკაცს ეკუთვნოდა, 3 ქალს, 2 ბავშვს. დანარჩენთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. რადიოკარბონულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა მათგანი შავი სიკვდილის — ჩირქოვანი წყლულების, ბუბონების პანდემიის პერიოდში დაკრძალეს. ამ პანდემიამ XIV საუკუნეში აზია, ევროპა, ჩრდილოეთი აფრიკა და გრენლანდია მოიცვა.

აღმოჩენა ბრიტანელი მეცნიერებისთვის ღირსშესანიშნავი გამოდგა იმით, რომ სამარხის არსებობის შესახებ აქამდეც ცნობილი იყო. იმ ეპოქის დოკუმენტებში ლაპარაკია

ჩონჩხების შესწავლით დადგინდა, რომ შავი ჭირის პანდემიის დასაწყისში ლონდონის დაბალი ფენის მოსახლეობის ჯანმრთელობა მეტად სუსტი იყო

სამარხებს 2013 წელს, მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობისას მიაკვლიეს

ლონდონის გარეუბანში ორ ოფიციალურ, სასწრაფოდ მოწყობილ სასაფლაოზე. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ფარინგდონის რაიონში უნდა ყოფილიყო. თუმცა მისი პოვნა ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა.

თუკი მართებულია ბრიტანელი ისტორიკოსების ვარაუდი, რომ მშენებლები სწორედ შავი სიკვდილის პერიოდის საძმო სასაფლაოს წააწყდნენ, მაშინ აქ კიდევ 50 ათასამდე ჩონჩხს უნდა მიაგნონ. ამის გადამოწმება მალე გახდება შესაძლებელი, როცა ზაფხულში გათხრები განახლდება.

ნაპოვნი სასაფლაო თითქმის საუკუნის განმავლობაში მოქმედი იყო. ცხედრები ფენებად იყო დამარხული. ბელფასტის უნივერსიტეტის ექსპერტებმა რადიოკარბონული ანალიზი 10 ჩონჩხს ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ქვედა ფენა 1348-1349 წლებით თარიღდება, ანუ შავი სიკვდილის პირველი ტალღით. მეორე ფენა, შავი ჭირის პანდემიის მეორე ტალღის აფეთქებას ემთხვევა და 1361 წელს განეკუთვნება. ყველაზე ზედა ფენა კი — 1433-1435 წლებს.

ლონდონის მუზეუმის არქეოლოგებმა ძვლები შეისწავლეს და რამდენიმე დასკვნა გააკეთეს. ერთი, რომ საძმო სასაფლაო ამოუცნობი ცხედრებისთვის მოაწყვეს. დადგინდა, რომ შავი ჭირის პანდემიის დასაწყისში ლონდონის დაბალი ფენის მოსახლეობის ჯანმრთელობა მეტად სუსტი იყო. ჩონჩხების შესწავლისას მეცნიერებმა რაქიტის, ანემიის, ბავშვებში კვების ქრონიკული ნაკლებობისა და კბილების მრავალმხრივი პრობლემების ნიშნებს მიაგნეს.

შესწავლილი 10 ჩონჩხიდან 4 ჩრდილოეთიდან, სავარაუდოდ შოტლანდიიდან მოსულებს ეკუთვნით. ეს მიუთითებს, რომ ქალაქში მიგრაცია XIV საუკუნეშიც მიმდინარეობდა.

ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტებმა 4 ჩონჩხის კბილებზე ბაქტერია Yersinia pestis-ი აღმოაჩინეს — სწორედ ის, რომელიც ჩირქოვანი წყლულების, ანუ ბუბონებისა და სეპტიცემიის შავ ჭირს იწვევს. შავ სიკვდილში ამ ბაქტერიის როლი ჯერ კიდევ 1998 წელს, ევროპული სამარხების შესწავლისას დადგინდა.

ტრადიციული ვერსიით, XIV საუკუნეში შავი ჭირის გადამტანები ვირთხის რწყილები იყვნენ, თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ ამ გზით ინფექციის გავრცელების ხარისხი და მსხვერპლის რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ 1348 წელს შავი სიკვდილი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდებოდა.

ძველი მხატვრები მოურჩენელი სენის ძირითად სიმპტომებსაც გადმოსცემდნენ

ყველაზე გავრცელებული ვერსიით, შავი ჭირის პანდემია XIV საუკუნეში გობის უდაბნოდან დაიწყო, შემდეგ მოედო აზიას, ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკასა და გრენლანდიას. სასიკვდილო სენი 20 წელიწადს მძვინვარებდა და 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები იყო თავის ტკივილი, ოფლიანობა, კანკალი, ძლიერი ციებ-ცხელება. მაგრამ მთავარი ნიშანი, რითაც შავი ჭირით დაავადებულები სხვა ავადმყოფებისგან გამოირჩეოდნენ, იყო ჩირქოვანი წყლულები. ბუბონები ჩნდებოდა იღლიის, კისრისა და ბარძაყის მიდამოებში. თავდაპირველად გამონაყარი ვარდისფერი შეფერილობისა იყო, შემდეგ მუქდებოდა, ბოლოს კი შავდებოდა.

ევროპაში პანდემიამ პიკს 1345-1353 წლებში მიაღწია. შემდეგ კიდევ რამდენიმე აფეთქება მოხდა. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ამ წლებში მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანი, მათ შორის ლონდონის იმჟამინდელი მოსახლეობის 60% დაიღუპა. ევროპის კონტინენტზე კი მსხვერპლმა 25 მილიონს მიაღწია.

მომზადებულია Guardian-ისა და history.com-ის მიხედვით

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკეთ: 219 60 13

მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის")

საფოსტო ყუთების საშუალებით

ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ „ᲐᲮᲐᲛᲝᲛᲐᲮᲕᲔᲓᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲐᲮᲐᲚᲘ"

1958 წლის იანვარში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) შტაბ-ბინაში საიდუმლო პაკეტი მოვიდა. მასში ბრიტანეთის დაზვერვიდან გამოგზავნილი ფირის ორი რულონი იდო — რომან „ექიმ ჟივაგოს" რუსული გამოცემის გვერდების ნახატები.



ბორის პასტერნაკი

საბჭოთა კავშირში ბორის პასტერნაკის რომან „ექიმი ჟივაგოს" გამოცემა აკრძალული იყო. ბრიტანელები ვარაუდობდნენ, რომ ცსს მოახერხებდა რკინის ფარდის მიღმა სამყაროდან რომანის ასლის მოპოვებას. თუმცა იდეამ ვაშინგტონში სხვა სახე მიიღო და ახალი სიცოცხლე შეიძინა.

„ამ წიგნს მაღალი პროპაგანდისტული ღირებულება აქვს არა მხოლოდ იდეის წყალობით, რომელიც მასშია გადმოცემული და განსჯის უნარს ასაზრდოებს, არამედ მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის გამოც. ჩვენ საშუალება გვეძლევა დავაფიქროთ საბჭოთა მოქალაქეები, ნორმალურია თუ არა მათი მთავრობა, როცა კარგი ლიტერატურა, რომლის შემქმნელიც ამჟამინდელ რუს მწერლებს შორის ერთ-ერთი უდიდესია, ვერ გამოიცემა მის ქვეყანაში, მისივე მშობლიურ ენაზე, მისივე ხალხისთვის", — აღნიშნულია ერთ-ერთ დოკუმენტში.

1959 წელს სსრკ-ს ფარგლებს გარეთ გამოცემული „ექიმი ჟივაგო". ცივი ომის პერიოდში სულ 10 მილიონი ეგზემპლარი გავრცელეს



სწორედ ამ და კიდევ 130-მდე დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ცივი ომის ეპოქაში ბორის პასტერნაკის „ექიმ ჟივაგოს" ცსს იყენებდა, როგორც საიდუმლო „იარაღს" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტებში, რომლთაც ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ გრიფი „საიდუმლო" ახლახან მოხსნა, წერია, რომ მწერლის ნაწარმოების რუსულ ენაზე გამოცემასა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გავრცელებას ხელს ცსს უწყობდა.

ამერიკული დაზვერვის ოპერაციას, რომელიც რომანის ევროპაში დაბეჭდვასა და შემდეგ საბჭოთა კავშირში მის გავრცელებას გულისხმობდა, სააგენტოს დირექტორი ალენ დალესი ხელმძღვანელობდა. პროცესში ჩართული იყო პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის მიერ 1953 წელს შექმნილი ოპერაციებისა და საკოორდინაციო საბჭოს კომიტეტი,

რომელიც უსაფრთხოების ნაციონალური საბჭოს წინაშე იყო ანგარიშვალდებული. აღნიშნული საბჭო 1961 წელს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ გააუქმა.

ამ გეგმის შესაბამისად, პასტერნაკის რომანი რუსულ ენაზე პირველად 1958 წელს, ნიდერლანდებში გამოიცა. რომანი ჩაიტანეს ფრანკფურტში, ბერლინში, მიუნხენში, ლონდონსა და პარიზში. დიდი ნაწილი აღმოჩნდა ბრიუსელში, რომელიც მსოფლიო გამოფენის მასპინძლობისთვის ემზადებოდა. საგულისხმოა, რომ მაშინ ბელგიამ საბჭოთა მოქალაქეებზე 16 ათასი ვიზა გასცა. ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც ქვეყანაში საბჭოთა ტურისტების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ჩავიდა. თავად პასტერნაკს ცსს-თან კავშირი არ ჰქონია, ამერიკული დაზვერვა მის გარეშეც შესანიშნავად ახერხებდა რომანის საბჭოთა ტოტალიტარული წყობის საწინააღმდეგო იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებას.

უკვე გასაჯაროებული დოკუმენტების მიხედვით, 1959 წლის ივლისში, ცსს-ს შტაბბინაში „ექიმი ჟივაგოს“ 9 ათასი მინიატურული ეგზემპლარი დაიბეჭდა. თუმცა ოფიციალურად ითქვა, რომ იგი ფრანგულმა გამომცემლობამ გამოსცა. მათგან 2 ათასი იმავე წელს ვენაში ჩაიტანეს, საერთაშორისო ფესტივალზე — „ახალგაზრდები და სტუდენტები მსოფლიოსა და მეგობრობისთვის“. დანარჩენი 7 ათასი კი ევროპაში მყოფ საბჭოთა ტურისტებსა და მოხელეებში აგენტების დახმარებით გაავრცელეს.

9 ათასი მინიატურული „ექიმი ჟივაგო“ მხოლოდ მცირე ნაწილი იყო რომანის იმ 10 მილიონ ეგზემპლარს შორის, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საბჭოთა რკინის ფარდის მიღმა ცივი ომის პერიოდში გაავრცელა.

ცნობები, რომ ევროპაში ბორის პასტერნაკის რომანი რუსულ ენაზე ცსს-ს მონაწილეობით გამოიცა, ადრეც არსებობდა. 2006 წელს ამის შესახებ ლაპარაკობდა ლიტერატურათმცოდნე და რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი ივან ტოლსტოი კვლევაში „გათეთრებული რომანი — „ექიმ ჟივაგოს“ პირველი რუსული გამოცემის საიდუმლო“. ამერიკულ არქივებში მან მიაკვლია მასალებს, რომ რომანი ნობელის კომიტეტში ცსს-ს დახმარებით მოხვდა. ბორის პასტერნაკს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიეკუთვნა.

ამის შემდგომ მოვლენები „დრამატულად“ განვითარდა. 1858 წელს ბორის პასტერნაკი აიძულეს, უარი განეცხადებინა ნობელის პრემიაზე. იმდროინდელ საბჭოთა პრესის „ფლაგმანში“, გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში ბორის პასტერნაკი წერდა, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრებითა და შრომით უკავშირდება თავის სამშობლოს, მის აწმყოსა და მომავალს და ამიტომაც აცხადებს უარს ამ ჯილდოზე.

რომანი „ექიმი ჟივაგო“ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა მოგვიანებით, 1988 წელს. 1989 წელს კი სტოკჰოლმში ბორის პასტერნაკის კუთვნილი ნობელის პრემია გადასცეს მის ვაჟს, ევგენის.

მომზადებულია Washington Post-ისა და History.com-ის მიხედვით

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენა. 1958 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა მთავრობის წევრების მონაწილეობით

„სახელმწიფო მოკვდა! გაუმარჯოს სახელმწიფოს!“

დამოუკიდებლობის პირველი დღეების ქრონიკა

1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, რაც ქართველი ერის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენდა. ეს იყო პოლიტიკურად უკიდურესობამდე დაძაბულ სიტუაციაში მოპოვებული თავისუფლება, როცა ჩვენმა ქვეყანამ არაერთი საფრთხის მიუხედავად, თუნდაც, დროებით შეძლო ხელიდან დასხლტომოდა კავკასიის რეგიონში ჰეგემონობისთვის მებრძოლ იმპერიებს — რუსეთსა და ოსმალეთს.

26 მაისს ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა: თბილისში, ყოფილ მეფისნაცვლის სასახლის დარბაზში ამიერკავკასიის სეიმმა თავი დაშლილად გამოაცხადა და იმავე დღეს, იმავე დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. სხდომა ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა. თავმჯდომარემ დამსწრეთ სიტყვით მიმართა: „მოქალაქენო, დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაგიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, დღესვე, ამავე დარბაზში ეყრება საძირკველი მეორე სახელმწიფოს. ახალი სახელმწიფო — საქართველო, რომელიც დღეს არსდება, არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. მისი მიზანია თავი გადაირჩინოს თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში“.

ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. XVIII საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით

მეფისნაცვლის სასახლე, სადაც გადაწყდა დამოუკიდებლობის დღის გამოცხადება

მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღეგანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი. 1918 წ.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა. მთავრობის ლოჟაში სხედან (მარჯვნიდან): მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

თბილისის დაცვა მიენდო გენერალ-მაიორ სტეფანე ახმეტელაშვილს. მის განკარგულებაში გადავიდა თბილისში მყოფი მთელი შეიარაღებული ძალები, როგორც წითელი გვარდია, ისე რეგულარული ჯარები.

26 მაისსვე, ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ნოე ჟორდანიას განცხადებით, შედგენილი იყო ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით:

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი;

2. საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი;

3. სამხედრო მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე;

4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — გიორგი ჟურული;

5. განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი;

6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი;

7. იუსტიციის მინისტრი — შალვა ალექსი-მესხიშვილი;

8. გზათა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე.

28 მაისს ფოთში დაიდო დროებითი შეთანხმება გერმანიასა და საქართველოს შორის. საქართველომ გერმანიასთან ურთიერთობის საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები ცნო.

ამავე დღეს შეიქმნა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო, რომელშიც შეიდნენ მთავრობის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი, თბილისის გარნიზონის უფროსი, გვარდიის შტაბის და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები.

თავდაცვის საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც თბილისის მტრისგან დასაცავად ცხადდებოდა საალყო წესები თბილისსა და ახლომახლო ადგილებში; იძლეოდა განკარგულებას, რომ იმ პირებს, რომლებიც უნებართვოდ ატარებდნენ იარაღს, სამ დღეში იგი წითელი გვარდიის მთავარ შტაბში ჩაებარებინათ. საფრთხის თავიდან ასაცილებლად თბილისში არსდებოდა საგანგებო რევოლუციური სასამართლო, რომელსაც სიკვდილით დასჯის უფლებაც ჰქონდა.

29 მაისს, დღის პირველ საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, კირიონ II-მ, თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდის, ურბნელი დავითის და თბილელი სამღვდელოების თანამწირველობით, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში საქართველოს დამოუკიდებლობის გამო. პარაკლისის შემდეგ პატრიარქმა სამღვდელოების თანხლებით საქართველოს მთავრობას მიულოცა დიდი ისტორიული ფაქტი.

ამავე დღეს, აღმასრულებელი კომიტეტის

გერმანელი ჯარისკაცები სამხედრო ტაძრის წინ. ამ ადგილას დღეს პარლამენტის შენობაა აღმართული

სხდომაზე წითელი გვარდიის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა მოხსენება წაიკითხა სოხუმის ამბების შესახებ. მისი თქმით, ქართულ მხარესა და იმ ბოლშევიკებს შორის, რომლებიც აფხაზეთიდან ცდილობდნენ ამიერკავკასიაში შემოსვლას, შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც ქართულმა მხარემ მოწინააღმდეგე დაამარცხა. დააკავეს ბოლშევიკთა ტრანსპორტი, სადაც მათი ხელმძღვანელებიც იყვნენ. სოხუმში ქართველთა ფლოტილიამ შეიპყრო ოსმალთა შეიარაღებული ხომალდები, რომლებსაც მანამდე გადმოესხათ 200-300 შეიარაღებული პირი და დესანტისთვის ამზადებდნენ ნიადაგს.

30 მაისს მუსლიმანთა ეროვნულმა საბჭომ ყველა სახელმწიფოს საგარეო მინისტრს ცირკულარული დეპეშით შეატყობინა, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო, აზერბაიჯანს აცხადებდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად.

31 მაისს საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტა, მთელი ძალებით გაეწიათ წინააღმდეგობა ოსმალთა ჯარებისთვის, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოტევას დაიწყებდნენ.

როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორია ცხადყოფს, საქართველოს მეტად ფრთხილი და მოზომილი პოლიტიკის წარმოება უხდებოდა, რათა თავი დაეცვა დიდი სახელმწიფოების დამპყრობლური მიზნებისგან. მან უკიდურესად რთულ ვითარებაში მოახერხა ახალ ისტორიულ ხანაში სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის მოგება, რაც რა თქმა უნდა, სწორი და დროული პოლიტიკური სვლების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. 1918 წლის 26 მაისი ქართველი ერის გამარჯვება იყო, საქართველო კიდევ ერთხელ აღდგა როგორც დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე. თუმცა ყველაზე დიდი სირთულე, სწორედ ძნელად მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებაში მდგომარეობდა, რასაც ქართველი ერი სამი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ცდილობდა.

თამარ პაპუაშვილი

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ამომრჩევლებთან

რომაული ფული საქართველოში

რომის იმპერია კეისარ ოქტავიანე ავგუსტეს დროს

რომის დენარები და აურეუსები საქართველოს ტერიტორიაზე და მათი ადგილობრივი მინაბაძები

რომის იმპერია ძვ.წ. II და ახ.წ. III საუკუნეებში ძლიერების ზენიტში იყო. საქართველოს ტერიტორიაზე იმხანად კოლხეთისა (დასავლეთ საქართველოში) და იბერიის ანუ ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოში) სამეფოები არსებობდა. ძვ.წ. I საუკუნის დასასრულს რომის იმპერიამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოახერხა თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელება. კოლხეთში რომაელებმა მმართველი, მეფისნაცვალი დანიშნეს, რომელიც ზოგიერთ წყაროში მეფედაც მოიხსენიება. იბერიაში მეფობა შენარჩუნდა, და ოფიციალურად იბერია რომის მეგობრისა და მოკავშირის სტატუსით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე ფულად მიმოქცევაში, ძირითადად, რომაული ფული ბრუნავდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომაულთან ერთად მიმოიქცეოდა მეორე ძლიერი მეზობელი იმპერიის – პართიის ფულებიც.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის იბერიის სამონეტო ბაზარზე წამყვანი ადგილი გალიის (ლუგდუნუმი) ზარაფხანაში ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წლებში იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტეს (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) სახელით მოჭრილმა დენარებმა დაიკავეს (რომელთა ზურგზე იმპერატორის შვილობილების, გაიუს და ლუციუს კეისრების გამოსახულებაა განთავსებული). ეს დენარები იბერიაში პართიის მეფე გოტარზე II-ის (40-51 წწ.) დრაქმებთან ერთად, ახ.წ. III საუკუნის ჩათვლით ბრუნავდა. განსაკუთრებული პოპულარობით სწორედ ეს რომაული მონეტები სარგებლობდა, თუმცა საქართველოში ასევე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი I-III საუკუნეების რომის თითქმის ყველა იმპერატორის სახელით მოჭრილი ფული. 206 ცალი ავგუსტეს მონეტა აღმოჩენილია მცხეთა-ნასტაკისში, ზღუდერ-

ოქტავიანე ავგუსტე. I საუკუნის ქანდაკება, ვატიკანის მუზეუმი

იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტეს ვერცხლის დენარი

შუბლი: იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტეს პროფილი, დიადემით. გარშემო ლათინური წარწერა. „კეისარი ავგუსტე, ღვთაებრივი, მამა სამშობლოსი“.

ზურგი: კეისარ ავგუსტეს შვილობილების – გაიუს და ლუციუს კეისრების გამოსახულება, ფარებითა და შუბებით. ლათინური წარწერა: „გაიუსი (და) ლუციუსი, კეისარ ავგუსტეს შვილები, კონსულებად არჩეულნი, ახალგაზრდა პრინცეპსები“.

ში, ერწოში, მაგრანეთში, ქუშანაათ გორაზე და ჟინვალში. სხვა იმპერატორთა ვერცხლის მონეტები ერთეული ცალებია ნაპოვნი.

ავგუსტეს დენარები I-II საუკუნეების იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია. როგორც ვარაუდობენ, ამ მონეტების ემისია ძალიან ფართო მასშტაბით ხდებოდა. ისინი განსაკუთრებულად ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებსა და „ბარბაროსულ“ მხარეებში, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს მათი აღმოჩენების ადგილები. ავგუსტეს დენარების ასეთ პოპულარობას ისტორიკოსები იმით ხსნიან, რომ ნერონის 64 წლის რეფორმის შემდეგ რომაული დენარის წონა შემცირდა და სინჯიც გაუარესდა. ამის გამო „ბარბაროსები“ ამ ფულს აღარ იღებდნენ. სწორედ ამიტომ, მათთვის იმპერიიდან ავგუსტესა და ტიბერიუსის დენარები გაჰქონდათ. ვარაუდობენ, რომ იბერიაში ავგუსტეს მონეტები რომაული სირიიდან მოდიოდა.

ავგუსტეს დენარები იბერიაში დიდხანს მიმოიქცოდა. სამარხი კომპლექსების შესწავლით დასტურდება, რომ I საუკუნის დასაწყისიდან III საუკუნის შუა ხანებამდე იბერიის ეკონომიკაში ავგუსტეს დენარების წამყვანი როლი უდავო იყო.

ამ მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III საუკუნის შუა ხანებიდან მათი ადგილობრივი იმიტაციების გამოშვებას მისცა ბიძგი.

ავგუსტეს დენარების იბერიული მინაბაძები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში 15 ცალია დაცული. სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ კომპლექსებში, ამიტომ მათი ემისიის თარიღის დადგენა ჭირს. მასალის სიმცირის გამო, ასევე ძნელია ავგუსტეს დენარების მინაბაძების ცენტრის ლოკალიზაცია.

I საუკუნის შუა ხანები ალექსანდრესა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძების ემისიის უკანასკნელი ეტაპი იყო. ორსაუკუნოვანი შესვენების შემდგომ კი იბერიამ კვლავ განაახლა მინაბაძების მოჭრა, რაც მაღალი სინჯის რომაული მონეტების შემოტანის შეფერხებით იყო გამოწვეული. ამ მოვლენის ქრონოლოგია სამარხეული კომპლექსების, კონკრეტული პროტოტიპებისა და სხვა უფრო ზოგადი მომენტების გათვალისწინების საფუძველზე, ძირითადად, III საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

ავგუსტეს დენარების მინაბაძები

ალწერა: ვერცხლი.

წონა: 1,28; 2,23; 2,59; 2,93; 2,97; 3,02; 3,10; 3,12; 3,23; 3,24; 3,25; 3,33; 3,42; 3,51 ან 3,55 გრამი.

დიამეტრი: 17/18-19/20 მმ.

შუბლი: მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული უხეშად შესრულებული იმპერატორის ბიუსტი, დიადემით. გარშემო დამახინჯებული ლათინური წარწერა: პროტოტიპი — CAESAR AVGVSTVS DIVI F. PATER PATRIAE. წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: გაიუს და ლუციუს კეისრების გამოსახულება, რომლებიც შუაში მოთავსებულ ფარებს ეყრდნობიან. ფარების უკან გამოსახულია შუბები. ხოლო ფარებს ზემოთ სიმპულუმი და ლიტუსი. წრიული წარწერა დამახინჯებულია: პროტოტიპი – C. L. CAESARES AVGVSTI F. COS. DESIG. PRINC. IVVENT. წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალი.

ჰიბრიდული მონეტა

შუბლი: მარჯვნივ მიმართული წვეროსანი იმპერატორის გამოსახულება. გარშემო დამახინჯებული ლათინური წარწერა, რომლიდანაც ჩანს, რომ კონკრეტული პროტოტიპი მარკუს ავრელიუსის მონეტაა.

ზურგი: გაიუს და ლუციუს კეისრების გამოსახულება, რომლებიც შუაში მოთავსებულ ფარებს ეყრდნობიან. ირგვლივ დამახინჯებული ლათინური წარწერა. გამოსახულების ქვემოთ იკითხება AVGVSTI.

გოტარზე II-ის ვერცხლის დრაქმა

შუბლი: პართიის მეფე გოტარზე II (40-51 წწ.) დიადემით.

ზურგი: ტახტზე მჯდომი არშაკიდების დინასტიის დამაარსებელი არშაკ I (250-246 ან 211 წწ.), ხელში მშვილდითა და მონოგრამით. დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: „მეფეთა მეფის არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა“.

გაიუს იულიუს კეისარი



ლუციუს იულიუს კეისარი

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: რომედიუმი: 1,28-3,55 გრამი.

თარიღი: ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 15 ცალი; ერევნის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი – 1 ცალი; მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი – 1 ცალი.

* * *

იბერიის სამონეტო ბაზარზე, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან, ავგუსტეს დენარებთან ერთად რომაული ოქროს მონეტები – აურეუსებიც – გამოჩნდა, რომელიც II საუკუნესა და III საუკუნის I ნახევარში ქართლში მსხვილ სავაჭრო გარიგებათა დროს ანგარიშსწორების ძირითადი საშუალება იყო. თუმცა III საუკუნის მეორე ნახევრიდან რომის იმპერია ძლიერმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ამიტომ ქართლში რომაული ოქროს მონეტების შემოსვლამ იკლო. მალე იბერიაში რომაული ოქროს მონეტების შემოსვლა შემცირდა, სამონეტო ბაზარზე შექმნილმა ფულის ნიშნების დეფიციტმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კი რომაული ოქროს მონეტების ადგილობრივი მინაბაძების გაჩენა გამოიწვია.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძებს მეცნიერი კონსტანტინ გოლენკო იკვლევდა. გოლენკოს პოზიცია ამ უაღრესად საინტერესო ფენომენთან დაკავშირებით ასეთი იყო: საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძები ადგილობრივად არის დამზადებული. საქართველოში აღმოჩენილი 11 მინაბაძიდან 7 ერთი და იმავე სიქით არის მოჭრილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1974 წელს ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალის არაგვისპირის სამაროვნის №13 სამარხში იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) ოქროს მონეტა აღმოაჩინა, რომლის აღწერილობა ასეთია – შუბლი: ვალერიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. გარშემო – IMP. C. P. LIC. VALERIANVS AVG. წერტილოვანი რკალი. ზურგი: ორცხენიან ეტლზე (ბიგაზე) მდგომი მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორია მათრახს უჭერს ცხენებს. გარშემო – VICTORIA. ხაზს ქვემოთ – AVGG. იმავე სამარხში აღმოჩნდა ამ ტიპის ვალერიანეს აურეუსის იმიტაცია. ერთ სამარხში ორიგინალისა და მისი ასლის პოვნა კიდევ ერთი ძლიერი საბუთია რომაული აურეუსების მინაბაძების იბერიული წარმოშობის თვალსაზრისის სასარგებლოდ.

კონსტანტინ გოლენკოს ყველაზე დიდი დამსახურება აურეუსების მინაბაძების შესწავლის საქმეში ის არის, რომ მან საქართველოში აღმოჩენილ მინაბაძებს პროტოტიპები მოუძებნა. ხშირ შემთხვევაში კი მათი ჰიბრიდული ხასიათი გამოავლინა. დაამტკიცა, რომ მონეტების განსაზღვრული ნაწილის ემისია წარმოებდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მონეტის მიხედვით და საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა იმიტაციების მოჭრის შესაძლებლობა 250/260-285 წლებში.

ქართლში სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობით მომდევნო IV საუკუნე არ გამოირჩევა. ასე, მაგალითად, მცხეთა-აღაიანის მიდამოებში აღმოჩენილია IV საუკუნის მხოლოდ ორი სოლიდი (კონსტანტინე I-ის (307-337 წწ.), მოჭრილი ნიკომედიის ზარაფხანაში და კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.), ანტიოქიის ზარაფხანა) და ერთი ვერცხლის მონეტა (ვალენტისა (364-378 წწ.), ანტიოქიის ზარაფხანა). გარდა ამისა, შეგვიძლია კიდევ ორი შემთხვევითი აღმოჩენა დავასახელოთ აღმოსავლეთ საქართველოდან: 1. კონსტანციუს ხლორუსის (293-306 წწ.) ოქროს მონეტა ნაპოვნია ახალქა-

რომის ფორუმი

ლაქის რაიონში და 2. ლისის ტბის მიდამოებში (თბილისი) 1963 წელს აღმოჩნდა კონსტანციუს II-ის სპილენძის მონეტა, მოჭრილი კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღაიანის სამაროვანზე კონსტანტინე I-ის სოლიდთან ერთად აღმოჩნდა ნუმერიანეს (283-284 წწ.) აურეუსის მინაბაძი.

აურეუსების მინაბაძები

ალწერა: ოქრო.
წონა: 2,87, 3,37, 3,44 ან 3,55 გრამი.
დიამეტრი: 18, 19 ან 20/21 მმ.

ჟინვალის ცალის აღწერილობა

შუბლი: მარჯვნივ მიმართული იმპერატორ ვალერიანეს ოდნავ უხეშად შესრულებული დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში. გარშემო დამახინჯებული ლათინური წარწერა: პროტოტიპი – IMP. C. P. LIC. VALERIANVS AVG. წერტილოვანი რკალი.

ზურგი: მარცხნივ მიმართული ორცხენიან ეტლზე (ბიგაზე) მდგომი ფრთოსანი ვიქტორიას სქემატური გამოსახულება, რომელიც მათრახს უჭერს ცხენებს. გარშემო დამახინჯებულად: VICTORIA. ხაზს ქვემოთ დამახინჯებულად: AVGG.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: რემედიუმი: 2,87-3,55 გრამი.

თარიღი: ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 11 ცალი.

ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი წინაპრები რომის იმპერიის პირობებშიც ინარჩუნებდნენ იმ დროისთვის უკვე საუკუნეების წინ დაწყებულ სამონეტო საქმეს. და სამონეტო აქტიურობა იმპერატორ ავგუსტეს ვერცხლის დენარებისა და რომაული ოქროს აურეუსების მინაბაძების ემისიით გამოიხატებოდა.

„ქართული ნუმიზმატიკის“ (ნაწ. I. ავტორები: გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა; თბ. 2006) და „ქართული ნუმიზმატიკის“ ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის მიხედვით
მოამზადა
ალექსანდრე ბოჟიშვილმა

„იესო განკურნავს ბრმა კაცს იერიქონში“. ელ გრეკო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ“

3400 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ბიბლოსი — უძველესი ფინიკიური ქალაქებიდან

არგოსი — ევროპის უძველესი ქალაქი

ქუთაისი მეექვსე ადგილზე გავიდა მსოფლიოს იმ ქალაქებს შორის, რომლებიც ქრისტეშობამდე გაცილებით ადრე დაარსდა, თუმცა მას აქეთ ცხოვრება უწყვეტად გრძელდება და ქალაქის სტატუსს დღემდე ინარჩუნებენ.

ამ ჩამონათვალში ყველაზე უძველესია იერიქონი — ქალაქი მკვდარი ზღვის დასავლეთ ნაწილში. ის ქრისტეშობამდე 9 ათასი წლით ადრე დაფუძნდა. ნაყოფიერი ნიადაგის წყალობით, იერიქონი საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა მონადირე-შემგროვებლებისთვის, რათა შეძლებოდათ მშვიდი ცხოვრებისა და ცხოველთა მოშინაურების დაწყება. ორიათასწლოვანი თავისუფალი ცხოვრების შემდეგ, იერიქონის პირველი კედლები აღიმართა, ისეთი, როგორსაც ძველად ქალაქების დაცვა-გამაგრებისთვის იყენებდნენ. ულამაზესი ფლორითა და ფაუნით გამორჩეული ქალაქი მტერმა რამდენჯერმე გაანადგურა, თუმცა, მოსახლეობამ მისი აღდგენა მაინც შეძლო.

შემდეგ მოდის ქრისტეშობამდე 6 ათასი წლით ადრე დაარსებული ბიბლოსი, მას ფინიკიელები გებალს უწოდებდნენ. ის ყველაზე ძველია შემორჩენილ ფინიკიურ ქალაქთაგან. გებალი საზღვაო პორტი იყო, რომელიც მდებარეობდა ქალაქებს — სიდონსა და ტრიპოლის შორის. ბერძნულ-რომაული ხანიდან

ქალაქს უკვე ბიბლოსი ეწოდა, რადგანაც აქ მზადდებოდა მაღალი ხარისხის პაპირუსის ქაღალდი. სწორედ ამ ქალაქის ნანგრევებზეა აშენებული თანამედროვე ჯებეილი, რომელიც ბეირუთიდან დაშორებულია 42 კილომეტრით.

ქრისტეშობამდე 5 ათასი წლით ადრე დაარსდა არგოსი — ევროპის უძველესი ქალაქი დღემდე „ცოცხალთა“ შორის. ის დაარსებიდან მოყოლებული, მუდმივად დასახლებულია. არგოსი პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. სხვადასხვა დროს ეკუთვნოდა ბერძნებს, რომაელებს, ბიზანტიელებს, ფრანკებს, ვენეციელებსა და თურქებს. უძველესმა ბერძნულმა ქალაქ-სახელმწიფომ განსაკუთრებულ აღმავლობას რომაელებისა და ბიზანტიელების მმართველობის პერიოდში მიაღწია. არგოსს დიდი როლი ერგო ბერძნულ მითოლოგიაში. გადმოცემით, სწორედ აქ დაიბადნენ პერსევსი და აგამემონი.

სიდონი — ქალაქი, რომელიც ქრისტეშობამდე 3 ათასი წლით ადრე დაარსდა. მისი სახელწოდება მეთევზეობის ბერძნული შესატყვისიდან მომდინარეობს. სიდონი ძველი ფინიკიური საპორტო ქალაქი იყო, ისევე როგორც ქრისტეშობამდე 2750 წელს დაარსებული ტიროსი, რომელიც ქალაქებს შორის მეხუთე ადგილზე გავიდა. სიდონი განთქმული იყო მეთევზეობით, მინის წარმოებითა და ვაჭრობით. ჰომეროსი თავის პოემებში ამ ქალაქს არაერთხელ მოიხსენიებს ქებით. თავის დროზე სიდონი და ტიროსი ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო. სიდონი სრულ განადგურებას იმით გადაურჩა, რომ უბრძოლველად დანებდა. განსხვავებით ტიროსისგან, რომელიც მიწასთან გაასწორეს. დღეს ორივე ქალაქი თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზეა.

ქუთაისის შესახებ ვკითხულობთ, რომ ქალაქი ქრისტეშობამდე 1400 წლით ადრე დაარსდა. ქალაქი საქართველოს დასავლეთით მდებარეობს, იგი უძველესი სახელმწიფოს გული და დედაქალაქი იყო. ეს სამეფო ცნობილია იაზონისა და მისი არგონავტების ოქროს საწმისის საძიებლად წასვლის შემდეგ. ამის შემდეგ, ქალაქმა უამრავი თავდასხმა გადაიტანა. მათ შორის მონღოლებისა და ოსმალების. XII საუკუნეში, დავით IV აღმაშენებლის მეფობის დროს ქუთაისი გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი გახდა და დადგა აღმშენებლობის პერიოდი. სწორედ მაშინ აიგო გელათის მონასტერი. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი კარგად არის შემონახული და შესულია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

სიდონი

ტიროსი

ქუთაისი

მომზადებულია
listverse.com-ის მიხედვით

დღემდე არ ცხრება ინტერესი ერთ დროს მსოფლიოში უდიდესი რუსეთის იმპერიის ბელადის, იოსებ სტალინის წარმომავლობის მიმართ. ეს ინტერესი იმ დროიდან აღიძრა, როცა სტალინი ჯერ კიდევ მხოლოდ ლენინის თანამებრძოლი იყო. ამ თემას არაერთი პუბლიკაცია, წერილი, სამეცნიერო ნაშრომი, წიგნი, გამოკვლევა მიეძღვნა. რუსულ ბეჭდურ თუ ინტერნეტგამოცემებში სტალინის ეთნიკურ კუთვნილებაზე დღესაც ათასგვარ ჭორს ავრცელებენ. თუმცა ერთი რამ ცხადია — სტალინი სულით ხორცამდე ბოლშევიკი და ინტერნაციონალისტი იყო, მისი ქართული წარმოშობის მიუხედავად. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სტატია (უფრო სწორად, კვლევის შედეგების ამსახველი მასალა), რომელიც, მართალია, რამდენჯერმე გამოქვეყნდა და მათ შორის ცალკე ბროშურის სახითაც, მაგრამ მკითხველთა ერთი ნაწილი მას პირველად სწორედ ჩვენს ჟურნალში წაიკითხავს.

ხალხთა ბელადის გვარის სადაურობისთვის

ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის ბიოგრაფიის დამწერთა მთელი ყურადღება ბუნებრივად ამ ბუმბერაზი ადამიანისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სწორუპოვარი ხუროთმოძღვრისა და საჭეთმპყრობელის პიროვნებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულს ფაქტებზე იყო მიქცეული. ამის გამო ამხ. სტალინის ბიოგრაფიული ცნობები ჩვეულებრივ უმთავრესად მისი საშუალო სასწავლებელში ყოფნის დროითგან იშლება და თანდათან უხვად მრავლდება. რასაკვირველია, ეს სწორედ ასეც უნდა იყოს, რათგან ადამიანის შეგნებული მოღვაწეობა ამ ხანაში იწყება და შემოქმედებითი ნიჭისა და ხასიათის მთავარი თვისებებიც ამ დროს მჟღავნდება ხოლმე.

მაგრამ ყველა დიდი მოღვაწის ბიოგრაფიაში ჯეროვანი ყურადღება მათ ცხოვრებასთან დაკავშირებულს ყოველ მხარესა და საკითხსაც აქვს მიქცეული. ასეთ საკითხთა შორის, როგორც ცნობილია, მოღვაწის მშობლებისა და წინაპართა სადაურობაც ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანად ითვლება.

ცხადია, რომ მსოფლიო პროლეტარიატის უცილობელი მეთაურისა და საჭეთმპყრობელის ბიოგრაფიაც ისეთივე ამომწურავი სისრულით უნდა იყოს გაშუქებული, როგორადაც კაცობრიობის უდიდეს მოღვაწეთა ბიოგრაფიები იწერება. ამ მხრივ კი დიდი სტალინის ბიოგრაფიას ჯერ არაერთი საკითხის გამორკვევა და გაშუქება სჭირდება. ასეთ საკითხთა შორის ქრონოლოგიურად პირველი, რა თქმა უნდა, სადაურობის საკითხია.

ამაზე ყველა ჩემთვის მისაწვდომს ბიოგრაფიაში სიტყვა მეტად მოკლედ არის მოჭრილი.

„მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“

საბჭოთა დემონსტრაცია სტალინის პორტრეტით

კი აღნიშნულია მხოლოდ, რომ ამხანაგი სტალინი ქართველია და ქალაქ გორში დაიბადა. ბიოგრაფიებში მოყვანილია ხოლმე აგრედვე დედ-მამის სახელები და გვარებიც, მაგრამ ამაზე მეტი იქ არა მოიპოვება რა. ემ. იაროსლავსკის 1939 წელს გამოქვეყნებულს ლექციაში „Важнейшие вехи жизни и деятельности товарища Сталина“ ნათქვამია მარტო, რომ სტალინი ქალაქ გორში 1879 წლის 21(8) დეკემბერს დაიბადა, რომ მისი მამა იყო Виссарион Иванович Джугашвили, ремесленник-сапожник — ხელოსანი მეჩექმე, ხოლო დედა — Екатерина Глаховна Геладзе. ამრიგად, არც მამისა და არც დედის სადაურობაზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება. ამის გამო თვით ამხანაგ სტალინის სადაურობის საკითხიც ბიოგრაფიებში საჭირო სისრულით გაშუქებული არ არის.

წინამდებარე წერილის ამოცანას სწორედ ამ ნაკლის შევსება შეადგენს. ასეთი საკითხის ზედმიწევნით გამოსარკვევად, რასაკვირველია, ხალხთა ბელადის წინაპრების შესახებ საბუთებზე დამყარებული ქრონოლოგიურად გადაბმული ცნობებია საჭირო, რის მოპოვებისათვის, ძველი ქართული არქივების დაღუპილობის გამო, ამჟამად არავითარი საშუალება არ არსებობს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ამ საკითხის ზოგადად გაშუქება და გამორკვევა მაინც შეიძლება და წინამდებარე წერილი სწორედ ამის პირველ ცდას წარმოადგენს.

ამხანაგ სტალინის წინაპრების სადაურობის გამოსარკვევად უპირველესად გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ მისი მამა ლილოელი იყო. ეს გარემოება ისედაც ცნობილია, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. ეგნატაშვილმაც დამიდასტურა. მაშასადამე, მამა გარეკახელი იყო.

მეორე საყურადღებო და, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მნიშვნელოვანი ცნობა ზემოაღნიშნული პირისაგანვე მაქვს გაგონილი. ვ. ეგნატაშვილმა მიამბო, რომ პირადად ბელადის დედისაგან გაუგონია, რომ მისი ქმრის, ბელადის მამის, გარდმოცემით, წინათ მათ ბერიშვილი ჰრქმევიათ (ამ ცნობისათვის პატივცემულ ვ. ეგნატაშვილს მადლობას მოვახსენებ). ბელადის გვარი, ოჯახში შერჩენილი ზემოაღნიშნული გარდმოცემა და ცნობა, ისევე, როგორც მისი მამის ლილოელობა საშუალებას აძლევს მკვლევარს მიაგნოს, თუ სად და საქართველოს რომელი თემის ისტორიულ ძეგლებში უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ საჭირო ცნობები აღმოჩნდეს.

სტალინის დედა ეკატერინე (კეკე) გელაძე

მაგრამ ძველ ქართულ ძეგლებში მე-19-20 საუკუნეების გეოგრაფიული და საგვარეულოთა სახელების შესატყვისობათა მოძებნას ხშირად ერთი გარემოება აძნელებს ხოლმე, რომელიც მკვლევარს ამ შემთხვევაშიც უეჭველად უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს. რუსეთის მეფეთა ბატონობის საქართველოში დამყარებისთანავე, პირველ წლებითგანვე მოყოლებული, დროებითი მთავრობის ყველა დაწესებულებაშიც კი საქმის წარმოება რუსულად იყო შემოღებული. ამიტომ ყველა საბუთშიც სოფლებისა და გვარების სახელები რუსულადვე იწერებოდა. ხოლო, რაკი ზოგიერთი ქართული ბგერის გამოსახატავად რუსულს შესაფერისი ასოები არ მოეპოვებოდა, ამიტომ ასეთი ბგერები დაახლოვებით იყო ხოლმე რუსული მართლწერით გადმოცემული. ოფიციურს საბუთებში გეოგრაფიული და საგვარეულო სახელწოდებათა ამნაირი დაწერილობით ხანგრძლივმა ხმარებამ მოსახლეობა ისე მიაჩვია, რომ რუსული დაწერილობა არაერთ შემთხვევაში შემდეგ ქართულს მეტყველებაშიცა და მწერლობაშიც გადმოვიდა და

საწოლი, რომელშიც დაიბადა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (გორის სახლ-მუზეუმი)

განმტკიცდა. მაგრამ, როდესაც ის გარემოება, რომ რუსული ანბანით დაწერილი ქართული სიტყვა ბგერითი შედგენილობით სისწორით აღბეჭდილი არ იყო, გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ მაგ. თ-ს მაგიერ ტ, ქ-ს და ყ-ს მაგიერ კ, ღ-ს მაგიერ გ და სხვაც ამის მსგავსად იყო ხოლმე დაწერილი, მაშინ ოფიციური რუსული დაწერილობის გადმოქართულებისას ცდილობდნენ ეს ნაკლი შეევსოთ. რასაკვირველია, ამის შეუცდომრად გასწორება მხოლოდ ძველი ქართული საბუთების მიხედვით შეიძლებოდა, ამისთვის კი არც ვისმე ეცალა და არც რაიმე გამოცემა არსებობდა, რომ შიგ ჩახედვით ასეთი საკითხის გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასეთი წყარო ჯერჯერობით არც ეხლა მოგვეპოვება. ამ გარემოებამ საქმე არია და იმის შიშით, რომ რუსულს ოფიციურს მართლწერას ქართული ნამდვილი ბგერა სისწორით არ ჰქონდა ხოლმე დაცული, ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიული და საგვარეულო სახელების დაწერილობა შესწორდა იქაც კი, სადაც ნამდვილად არავითარი შეცდომა არ იყო და

სტალინის მამა ბესარიონ ჯუღაშვილი

ერთ-ერთ ბრიტანულ ტანკ „ვალენტაინს“ სტალინის სახელი უწოდეს

„დიდი სამეულის“ შეხვედრა პოტსდამში, 1945 წლის ივლისი

სადაც სიტყვის ან გვარის ქართული ბგერითი შედგენილობა რუსულს ოფიციურს დაწერილობას სრული სისწორით ჰქონდა დაცული. მაგალითად, ქართული გვარი ღოღაბერიძე, რომლის მართლწერა ყველა საბუთებით არის დადასტურებული, რუსულად Гогоберидзе, გოგაბერიძე-დ შეიძლებოდა მხოლოდ გამოსახული ყოფილიყო და შემდეგ ეს რუსული გამოთქმა თვით ქართველებმაც შეითვისეს და ისე განმტკიცდა, რომ ეხლაც გამოითქმის და იწერება ხოლმე. ასეთი მაგალითი არაერთი სხვაც არსებობს, მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება არა ღირს. ამის წინაუკმო შემთხვევებიც არაერთია, როდესაც პირიქით სწორე რუსული დაწერილობა შეცდომის შიშით გადმოქართულების დროს „შესწორებულ“ იქმნა იქ, სადაც არავითარი შესწორება საჭირო არ იყო. ამის ერთ მაგალითსაც მოგახსენებთ და შემდეგ თვით საკითხის განხილვას შევუდგები. ცნობილია მაგ., რომ ქართულ ზეპირს მეტყველებაშიც და მწერლობაშიც კი განმტკიცდა გვარის აღლაძე-დ წერა. ქართველი ლიტერატორი „ილია აღლაძე“-ც თავის გვარს წინათ ასე სწერდა, სხვებიც ყველანი მას ასევე ასახელებდნენ. ნამდვილად კი, მათი გვარი ქართულად აგლაძე-ა და ეს შესაძლებელია ძეგლებითაც დამტკიცდეს. ამრიგად, მკვლევარს ასეთი შესაძლებლობა ძველ ძეგლებში შესატყვისობათა ძებნის დროს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს.

რაკი ხალხთა ბელადის მამა ლილოელი ხელოსანი იყო, ამიტომ, ცხადია, რომ მათი გვარი უპირველესად კახეთის ძველ ძეგლებშია საძებნელი.

მართალია, კახეთის საბუთები ჯერ ცოტაა გამოცემული და, რაც გამოქვეყნებულია, იქაც ჯერ არაფერი ჩანს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მოსახლეობის გვარების წინაპრების შესახებ ცნობები მკვლევარს უმთავრესად ხალხის აღწერის ძველ დავთრებში შეუძლიან აღმოაჩინოს. უკვე კარგა ხანია, რაც კახეთის ხალხის აღწერის მე-18 საუკუნის დამდეგის დავთრებზე მუშაობისა და გამოსაცემად დამზადების დროს, შევამჩნიე, რომ იქ ამ გვარის წარმომადგენელი არაერთგან არის დასახელებული და მაშინვე დავრწმუნდი, რომ ბელადის გვარის დაწერილობასაც ქართულად იგივე დაჰმართნია, რაც აგლაძისა და სხვების გვარებს დაემართათ: ძეგლებში ყველგან ჯუგაშვილი სწერია და არსად ჯუღაშვილი არ გვხდება.

სამწუხაროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაცულს ამ ხალხის აღწერის დავთარში სოფელ ლილოს მცხოვრებთა აღწერილობა აღარ არის შერჩენილი, ამიტომ გამოურკვეველი რჩება, მე-18 საუკუნის დამდეგს ჯუგაშვი-

სტალინის პლაკატი საპირველმაისო ფესტივალის გაფორმებისას, 1934 წელი

ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი

ლები ცხოვრობდნენ უკვე ლილოში, თუ იქ შემდეგ არიან მისულნი და დასახლებულნი. მაგრამ სამაგიეროდ, სხვა სოფლებში ჯუგაშვილი არაერთია დასახლებული. ამ ძეგლის ნაწყვეტების პირველი შესწავლის დროს, ასეთი გვარი მარტყოფშიც შემხვდა. სამწუხაროდ, ჩემს გარდმონაწერებში ამჟამად ამ ნაწყვეტის ტექსტს ვეღარ ვპოულობ, მაგრამ სხვა ნაწყვეტებში კახეთის ორი სოფლის მოსახლეობაში ამ გვარის წარმომადგენელი დავთარში რამდენიმე მეკომურია შეტანილი, სახელდობრ, სოფელ მარილისში „ოთარის ყმათა“ შორის აღნიშნულია: „გუტი ჯუგაშვილი აზადი“, ე.ი. შეუვალობის მქონებელი და „ლაზარე ჯუგიას შვილი“ (იხ. საქ. ს. მუზ. გრაგნილი № 1607). იმავე სოფელს მარილისში „ფარსადან მეითრის ყმათა“ შორის ორი აგრედვე ამავე გვარის მეკომურია: „სვიმონ ჯუგაშვილი აზადი“ კომლი ა(1), თავი ა(1), თოფი ა“(1) და „ნასყიდა ჯუგაშვილი აზადი“, კომლი ა(1), თავი ა(1), თოფი ა“ (1) (იქვე).

კახეთის 1801-1802 წლების ხალხის აღწერის დავთრის დაცულს ნაწილშიც გვხვდებიან ჯუგაშვილები, სახელდობრ, სოფელ მატაანში „სალთხუცის გიორგისა და ქაიხოსროს ყმათა“ შორის აღნიშნულია „ჯუგაშვილი ზურაბ კომლი ა(1), თავი (1)“ და ამავე სოფლის „სახასო მარილელთა“ შორისაც დასახელებულია „ჯუგაშვილი ბერო, ძმა გრიგოლ დიაკონი კომლი ა(1), თავი ბ(2) (იხ. „კახეთის აღწერა 1801-1802 წ.“ და „საქართველოს არქივი“ წიგნი II, გვ. 149, 46 და 65, იხ. აგრედვე სურათი № 3).

ამრიგად ირკვევა, რომ ჯუგაშვილების გვარის უკვე მე-18 საუკუნის დამდეგს კახეთში არსებობა ქართული ისტორიული ძეგლებით უცილობლად მტკიცდება. იმ დროს მათ გვარის შვილებს როგორც გარეთ კახეთში, ისევე შიგნით კახეთშიც უცხოვრიათ. ამასთანავე, სოფელ მარილისში მობინადრე ორივე მეკომური ჯუგაშვილი აზადიც ყოფილა და მოლაშქრეც.

მაგრამ ჯუგაშვილების ზემოდასახელებულ სოფლებში მხოლოდ თითო-ოროლა კომლად სახლობის გამო, საფიქრებელი ხდება, რომ ეს ადგილები მათი გვარის ბინადრობის თავდაპირველი ადგილი და სამშობლო არ უნდა ყოფილიყო, რათგან ძველად საქართველოში სოფლები მთლიანად ერთი და იმავე გვარის შვილებს ეკავათ ხოლმე. ამიტომაც, უეჭველია, რომ ჯუგაშვილები გარეთი და შიგნითი კახეთის იმ სოფლებში, სადაც ისინი მე-18 საუკუნის დამდეგს ყოფილან, სხვა ადგილითგან უნდა იყვნენ მისულნი და დასახლებულნი.

იმის გადაწყვეტაც შეიძლება, თუ, სახელდობრ, სად უნდა ყოფილიყო ამ გვარის თავდაპირველი სამშობლო. ქიზიყში ეხლაც არსებობს სოფელი, რომელსაც ჯუგაანი ეწოდება, სწორედ ისეთი სახელი, რომელიც თვითვე მოწმობს, რომ თავდაპირველად ის მთლად ჯუგაშვილების სამოსახლოსა და, მაშასადამე, სამშობლოს წარმოადგენდა. სოფლების ამავე თვისების სახელები საქართველოს ამ თემშიც და სხვაგანაც არაერთია და ყველა ასეთი სახელის მქონებელი ადგილები ძველისძველია. ჯუგაანი ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს შეტანილი ქართლ-კახეთის სოფლების სიაში.

დასასრულ, იმ საოჯახო გადმოცემის შესახებაც, რომელიც ბელადის დედას ვ. ეგნატაშვილისათვის უამბნია, რომ წინათ მათ ბერიშვილები ჰრქმევიათ. უეჭველია, ეს ზეპირი გარდმოცემა სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს და ფრიად საყურადღებოც არის. საქმე ის გახლავთ, რომ ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს

გარდა, გვარის სხვადასხვა შტოს განსარჩევად კიდევ დამატებითს სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის, ანდა პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები. ძველი ქართველი ხალხის აღწერის დავთრებითგან ჩანს, რომ არაერთს შემთხვევაში ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება შემდეგში გვარის სახელადაც კი ქცეულა. ამ შემთხვევაშიც ბერიშვილი, უეჭველია, ჯუგაშვილის გვარის ერთი შტოს, პაპის ანდა პაპის მამის სახელისაგან ნაწარმოები, განმასხვავებელი სახელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ბერო უნდა ჰრქმეოდა. მართლაც, საკმარისია კახეთის 1801-1802 წლების ხალხის აღწერის დავთარი გადაშალოთ, რომ იქ, როგორც უკვე აღნიშნული მქონდა, სოფელ მატაანში ჯუგაშვილი ბერო იპოვოთ. ის სხვებთან ერთად მარილელად, ე.ი. სოფელ მარილისითგან გადმოსულად არის აღნიშნული. როგორც ჩანს, შემდეგ ან ის, ანდა მისი შვილი, იქითგან სოფელ ლილოში გადასახლებულა. მის შთამომავლობას, როგორც ამ ოჯახში დაცული გარდმოცემაც მოგვითხრობს, რასაკვირველია, მართლაც ჯუგაშვილი ბერიშვილი ერქმეოდა.

მაშასადამე, ყველა ზემოაღნიშნული და მოყვანილი ძეგლებისა და მოსაზრებათა მიხედვით, უფლება გვაქვს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის გვარის წინაპრების, ჯუგაშვილების თავდაპირველი სამშობლო სოფელი ჯუგაანი უნდა ყოფილიყო. უკვე მე-18 საუკუნის დამდეგს რამდენიმე კომლი მათგანი თავიანთ სამშობლო სოფლითგან გადასულა ზოგი სოფელ მარილისში, ზოგი სოფელ მარტყოფში. მე-19 საუკუნის დამდეგისათვის მარილისში დასახლებულთაგანი სამი მეკომური უკვე სოფელ მატაანში ყოფილა, მათ შორის ის ჯუგაშვილი ბეროც, რომლისგანაც უნდა წარმომდგარი იყოს ჯუგაშვილ ბერიშვილებად წოდებული ხალხთა ბელადის უშუალო წინაპრის შტო.

ივანე ჯავახიშვილი
1939.14.XII.

საბჭოთა პრესაში ბელადის ნეკროლოგი გამოქვეყნდა

გელათის მთავარი ტაძარი

როგორ ეძებდა თამარის საფლავს ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა გელათის მონასტრის სიძველეთა შესწავლაზე. მის არქივში შემონახულია 1905 წლის 10 აგვისტოს ჩანაწერი მონასტრის ფრესკების შესახებ. მოგვიანებით მეცნიერი არაერთხელ ეწვია გელათს სიძველეების შესასწავლად და მის არქივშიც მონასტრის შესახებ საკმაოდ ბევრმა მასალამ მოიყარა თავი, შესაბამისი ილუსტრაციებით. ექვთიმე თაყაიშვილს მოცემული აქვს როგორც გელათის კომპლექსში შემავალი მთავარი ტაძრის, ასევე წმინდა გიორგის ეკლესიის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი. დაწვრილებითაა განხილული ფრესკები და ლაპიდარული წარწერები. აღწერილია მონასტერში დაცული სიძველეები, მათ შორის საეკლესიო ნივთები, ხელნაწერები, სიგელები. როგორც ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნულ მასალას ცალკე გამოსაქვეყნებლად ამზადებდა ემიგრაციაში წასვლამდე, მაგრამ მისი დასრულება ვერ მოასწრო.

ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაიფიქრა გელათის სიძველეებისადმი ნაშრომის მიძღვნა. შემონახულია ნაშრომის გეგმის შავი ვარიანტი: „გელათი — 1. ლიტერატურა (ქართლის ცხოვრებისა და ვახუშტის ცნობებითურთ); 2. სახარება — წყაროსთავის, ბერთისა, გიორგი მთაწმინდელის სახარება; 3. განრიგება ფრესკებისა ეკლესიაში; 4. სია გელათის გუჯრებისა; 5. შენიშვნები გელათის შესახებ — დე ბუას, ბროსეს და სხვ. ევთიმი საყვარელიძე (უნდა იყოს ექვთიმე I საყვარელიძე — 1578-1616), დაახლოებით 1578-1611. 6. „ტუფლი“;

7. დავით აღმაშენებლის ეპიტაფია; 8. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ნივთები; 9. „ქრონიკა“. მოგვიანებით მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ამ შრომის დასრულება ვერ მოახერხა. გიორგი ლომთათიძის მიერ ჩაწერილ თაყაიშვილის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „გელათის სიძველეებიც გამოუცემელი დამრჩა, თუმცა ხელნაწერიც მაქვს და ფოტოსურათებიც. ერთ ამათგანზე გადაღებულია მარგალიტდაყრილი ქოშები. ისინი რომელიღაც ეპისკოპოსის ნაქონი უნდა იყოს (ეცვათ ხოლმე ასეთი ქოშები) და ჩვენებური ნაზღაპრის წყალობით კი მაინცდამაინც თამარ მეფის ქოშებადაა მიჩნეული. ასე სჩვევია ხალხს! (თამარ მეფის საფლავისა არ იყოს, ყველგან რომ ის ეგულებათ!)“. ჩვენი აზრით, სწორედ გელათში მუშაობის ჟამს უნდა შეეტყო ზედმიწევნით ექვთიმე თაყაიშვილს იმ ტრადიციის შესახებ, რომელიც თამარის საფლავთან დაკავშირებით მონასტერში არსებობდა. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ მეცნიერი 1919-1920 წლებში ინტენსიურად იკვლევდა გელათის მონასტერს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, მანამდეც ჰქონდა თუ არა მას გელათში ასეთი მასშტაბის კვლევა-ძიებითი სამუშაოები ჩატარებული. ადრეული ნაშრომებიდან ერთადერთი ჩანაწერი დათარიღებულია 1905 წლით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ დიდი მეცნიერი ამის შემდეგაც არ ჩასულიყო გელათში ადგილობრივ სიძველეთა სანახავად და შესასწავლად.

1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა დაავალა. მეცნიერმა რამდენიმე პირის თანხლებით იმოგზაურა საქართველოში საეკლესიო სიძველეების შესასწავლად. 3-4 აგვისტოს ექვთიმე თაყაიშვილი ქუთაისში იყო, 6-10 აგვისტოს — გელათში, ხოლო 10 აგვისტოს მოწამეთაში. ამ ექსპედიციის დროს დიდმა მეცნიერმა საგულდაგულოდ შეისწავლა გელათის მონასტრის ის სიძველეები, რომლებიც მანამდე არ ენახა. ამ პერიოდში ექვთიმეს დაინტერესება თამარის საფლავით არ ჩანს, თუმცა არსებობს ერთი ჩანაწერი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ 1919 წელს მეცნიერმა წინასწარი სამუშაო ჩაატარა წმინდა თამარ მეფის აკლდამის გათხრასთან დაკავშირებით. ეს მონათხრობი პეტრე ჭაბუკიანს ეკუთვნის. მისი თქმით, 1919 წლის ზაფხულში „ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში არქეოლოგიური გათხრა აწარმოა საიდუმლოდ, სამღვდელოების საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძისა და იმერეთის ეპარქიის მიტროპოლიტ ნაზარ ლეჟავასთან ერთად“.

ჩვენ ადრეც ვფიქრობდით, რომ აქ პეტრე ჭაბუკიანს თარიღები და მოვლენები ერეოდა. მას 1919-1920 წლებში გელათში ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობა ერთ ეტაპად წარმოედგინა, რაც შეცდომა იყო. როგორც ვხედავთ, მეცნიერი ორივე წელს ზაფხულში რამდენიმე დღით ეწვია მონასტერს. 1919 წელს გელათის სიძველეთა აღწერისას ტრიფონ ჯაფარიძე მართლაც იმყოფებოდა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად. ამას ადასტურებს „გელათის მონასტრის შემოწმების ცნობა“, რომელსაც ხელს აწერენ: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ვასილ ფალავანდიშვილი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი, მღვდელ-მონაზონი ზენონი. შესაძლებელია წინასწარი სამუშაო თამარის საფლავის ძიებასთან ან მის გათხრასთან დაკავშირებით

მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა)

ექვთიმე თაყაიშვილი

ამ დროს განხორციელდა, მაგრამ უშუალოდ გათხრები არ დაწყებულა და ამას ადასტურებს თავად ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერები. ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სწორედ 1919 წელს, გელათში 4-5 დღით ყოფნის შემდეგ იწყებს ექვთიმე თაყაიშვილი თამარის საფლავის გათხრისთვის სამზადისს. რადგანაც ეს ზაფხულში ვერ მოხერხდა, ამიტომაც მეცნიერმა მომავალი წლისთვის გადადო.

1920 წელს 4 ივლისს ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში საგარაუდო გათხრების საკითხი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე განიხილა. საბჭომ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის თხოვნით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობასა და საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს. აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულებით, დიდი ექვთიმე გელათში გათხრებს ფარულად წარმართავდა. ამ აზრს ამაგრებდა მოვლენების თვითმხილველი პეტრე ჭაბუკიანი, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად აღნიშნავდა, რომ „ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში არქეოლოგიური გათხრა აწარმოა საიდუმლოდ... ამ გათხრის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი მენშევიკურ მთავრობას არ უმხელდა. 1919 წლის ზაფხულში (როგორც ითქვა, შესაძლებელია, აქ ავტორი ცდება თარიღში. უნდა იყოს 1920 წელი, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში გათხრები დაიწყო. — ჯ. ს.). ერთ საღამოს, საჭირო საქმის გამო მოვხვდი ნაზარ ლეჟავასთან თავის ბინაზე, სადაც მოსათათბირებლად მოვიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი და ტრიფონ ჯაფარიძე“.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა. 1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილის გადაწყვეტილების შესახებ, გაეხსნა თამარ მეფის საფლავი, იცოდა

გელათის ტაძრის მოპირდაპირე კედლები. ფოტოები გადაღებულია 1920 წელს

გელათის მონასტრის საკურთხეველი. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. მარცხნივ დასვენებულია ხახულის კარედი გაძარცვამდე

ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა. 1920 წლის 14 ივლისს შეიკრიბა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა, რომელსაც ესწრებოდნენ პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ანდრია ბენაშვილი და გიორგი ახვლედიანი. გამგეობაზე მოისმინეს ინფორმაცია: „პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის განცხადება, რომ თანახმად ქუთაისის მიტროპოლიტის წინადადებისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ 4 ივლისის სხდომაზე დაადგინა, შემოწმებულ იქნას ამ ზაფხულში თამარის საფლავი გელათში და თხოვნა შემმოწმებელ კომისიაში უნივერსიტეტის მხრით არჩეულ იქმნეს წარმომადგენელი“. უნივერსიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა: „წარმომადგენლობა თამარის საფლავის შემამოწმებელ კომისიაში დაევალოს პროფ. კორნელი კეკელიძეს და მიეცეს სამგზავროდ და დღიურ სახარჯოდ შესაფერისი თანხა“. ამ ცნობაზე პირველად ინფორმაცია გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ, ოღონდ უშუალოდ ცნობა არ უნახავს. მან უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისადმი ექვთიმე თაყაიშვილის თხოვ-

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) და პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

ნა მიიჩნია როგორც „მაშინდელი მთავრობისგან“ ნებართვის აღების ფაქტი. გამგეობის გადაწყვეტილებაში კი სხვა რამ წერია. ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსაც მიმართა გათხრების წარმოებისას თავისი წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე. საბჭოს კანცელარიის 1920 წლის 17 ივლისის ცნობით, „წმინდა თამარის საფლავის შემოწმება-გამშვენიერების“ საქმეში საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სახელითაც მონაწილეობას მიიღებდა კორნელი კეკელიძე.

ის ფაქტი, რომ მეცნიერი გათხრებს მთავრობისგან დაფარულად არ აწარმოებდა, სხვა ცნობებიდანაც დასტურდება. ჩვენამდე მოაღწია დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ალექსანდრე ლომთათიძის მიერ 1920 წლის 15 ივლისს გაცემულმა მოწმობამ, რომელშიც ნათქვამია, რომ „ეს მიეცა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს, ამხანაგს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს იმაში, რომ მას დავალებული აქვს პრეზიდიუმის, საპროპაგანდო და ხელოვნების კომისიების მიერ შეისწავლოს საქართველოს საკულტურო ძეგლები და ეკლესია-მონასტრების განძეულობა და ამ მიზნით ის თანამშრომლებით დაივლის საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. სახელმწიფო საზოგადოებრივ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ ევალებათ ყოველგვარი კანონიერი, ენერგიული და სწრაფი დახმარება აღმოუჩინონ დასახელებულ ექვთიმე თაყაიშვილს და მის თანამშრომელთ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის“. გამოდის, რომ გელათში გამგზავრებამდე, 1920 წლის ივლისში ექვთიმე თაყაიშვილი აღიჭურვა ოფიციალური ნებართვებით — უნივერსიტეტიდან, საკათალიკოსო საბჭოდან, დამფუძნებელი კრებიდან.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წამოწყებული გათხრები იყო პირველი და ერთადერთი მცდელობა, გახსნილიყო თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამა. მართალია, მანამდე დიმიტრი ბაქრაძესაც ჰქონია მასშტაბური არქეოლოგიური კვლევის იდეა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სიმონ ღოღობერიძე, რომელმაც ფრანგულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიას“, სქოლიოში აღნიშნავდა: „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი საფლავი დიდის მეფის თამარისა. განსვენებული დ. ბაქრაძე იმ აზრის იყო, რომ თამარი გელათში

გელათის ტაძრის სამხრეთ მინაშენი, თამარ მეფის ეკვტერი

თამარის სავარაუდო საფლავი გელათის მონასტერში

უნდა ესვენოს, და კიდეც გამოითხოვა ნებართვა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისგან იმის სამარხის საძიებლად და იატაკის აღებას აპირებდა გელათში. მაგრამ სიკვდილმა აღარ დაცალა და ვეღარ მოასწრო თავის სურვილის აღსრულება". ამის შემდეგ ეს იდეა თითქოს მიივიწყეს. 1920 წელს კი ექვთიმე თაყაიშვილმა, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსა და სამღვდელოებასთან შეთანხმებით, გელათში, თამარის ეგვტერში ერთი საფლავი გახსნა.

ექვთიმე თაყაიშვილის არქივში გელათისადმი მიძღვნილ მასალათა შორის თვალში საცემია მისი შავი ჩანაწერი: „გელათი, 1920 წ. 26 ივლისი. თამარის ეკვდერი". შემდგომ გვერდზე ავტორს მიუწერია: „გელათი, 1920 წელი. იმერეთის დედოფლის თამარის ეკვდერი. ეს საფლავი შემოწმებულია 1920 წელს". ამას მოჰყვება გაკრული ხელით ქართულად და რუსულად წარმოებული რამდენიმეგვერდიანი ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გელათში წარმართული გათხრების დეტალები. რვეულს თან ერთვის ტექსტის სუფთად გადაწერილი პირი, შესრულებული გ. ლომთათიძის მიერ. პეტრე ჭაბუკიანის მონათხრობით, გათხრებს გელათში აგრეთვე ფიცის ქვეშ (რომ არ გაემხილათ) დაესწრნენ და მუშაობაში მონაწილეობდნენ დაქირავებული პირები სოფელ კურსებიდან: ვალერიან გიორგაძე, მაქსიმე და პოლიევქტ ბერეკაშვილები, გელათის ტაძრის მცველი ნიკოლოზ ჯანგავაძე და არქიმანდრიტი სერგი ნამორაძე. ამ ვარიანტის საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი ექვთიმესეული მეორე ჩანაწერიც — „სამხრეთ კარისბჭე და ეკუტრები გელათისა (11 ფ.)", სადაც ცალკე ნაწილადაა შესული ქვეთავი „წმიდა ანდრიას ეგუტერი (ეთმობა 3 გვერდი)". მასში მოცემულია ეგვტერის ინტერიერის აღწერა და დაზუსტებულია გათხრების ზოგიერთი დეტალი. ეს მასალა პირველად გამოაქვეყნა ივ. ლოლაშვილმა.

„წმინდა ანდრიას ეგუტერი, — ვკითხულობთ ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერებში, — სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით არის. ეს ეგუტერი მოხატული ყოფილა ორჯერ მაინც. მხატვრობა ეხლა მოშლილია უმეტეს ნაწილად, შერჩენილია მხოლოდ ალაგ ალაგ... მარჯვენა მხრით კარისა, ახალ ნაგლესსქვეშ მოჩანს თავი ძველი მხატვრობისა, თავი ერისკაცისა უნდა იყოს. ამას იქით მარჯვნივ დასავლეთის კედელზე ემჩნევა კიდევ ფიგუ-



ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერების თავფურცელი, მისივე ხელით გაკეთებული შენიშვნებით

რა მთელის ტანით და გულზე სამლოცველოდ მიდებულის ხელებით, ვგონებ მეფისა. ამ ფიგურის ქვემოთ საფლავია, რომელსაც თამარის საფლავს უწოდებენ. ჩრდილოეთ თაღზედ ეგუტრისა დასავლეთისკენ მეფის სურათი ყოფილა მთელის ტანით, ბიზანტიური სამეფო ტანისამოსით. მოჩანს კიდევ ზემო ნაწილი თავისა გვირგვინით და შარავანდედით და წარწერა ასომთავრული მარცხნივ თავისა:

მეფ'თა / [ეფეთა

მ'ფე / მეფე]

ამ მეფის სურათი დაჰყურებს საფლავს, რომელსაც თამარის საფლავს უწოდებენ, მაგრამ რომელიც კომისიის შემოწმებით არ აღმოჩნდა თამარის საფლავად, არამედ საოჯახო საფლავად, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ჩონჩხი იყო, მათ შორის ერთი — კუბოთი ზემოთ და სხვები — კუბოს ქვეშ".

ამდენად, ექვთიმემ თამარის ეგვტერში ნახა ერთი აკლდამა, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ნაშთები აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან მუშაობა შეწყვიტა. ექვთიმეს არ გაუთხრია თამარის ეგვტერში მოთავსებული სხვა საფლავები. რამდენად მართალია ის ვერსია, რომ თითქოს სამღვდელოებამ მას ცილი დასწამა, გელათის საფლავებში ოქროს ეძებსო, ამის გადამოწმება დღეისთვის ძნელია. პირადად ჩვენ, გელათში თამარის აკლდამის შესწავლისას გვიამბეს, რომ მუშაობისას, შესვენების ჟამს იქ მყოფთ წაუკითხავთ გელათის ჩრდილოეთ მინაშენის კარიბჭეში დაკრძალული ზაქარია ქვარიანის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა: „ქ. ღმერთო შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა



ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერები საფლავის გახსნის შესახებ

თამარ მეფის საგარაუდო ფრესკა მისსავე სახელობის ეგვტერში. გელათი

ეს ჩემს უკან გახსნას, შეჩვენებულ იყოს". ამ წყევლა-კრულვისა მუშებს შეშინებიათ და თამარის ეგვტერში გათხრები შეუწყვეტიათ. სამწუხაროდ, ამ გადმოცემის სისწორეც ვერ გადავამოწმეთ. ფაქტი ერთია, დიდი სამზადისის მიუხედავად, დღემდე დაუდგენელ მიზეზთა გამო, ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში გათხრები შეწყვიტა. თამარის საფლავის საიდუმლო კვლავ ამოუხსნელი დარჩა.

ჯაგა სამუშია

დადიანების განძის გადასარჩენად

ზუგდიდი, დადიანების სასახლე

„ერთი ძმა მყავდა, ოზურგეთში ცხოვრობდა და იშვიათად ვხედავდი. ერთხელ დეპეშა მომცა, ავადა ვარო, მაგრამ ვერც მაშინ წავედი ჩემი მუდმივი მოუცლელობის გამო. ოღონდ, წამლები მოვაშველე და თან ზომები მივიღე, რომ კარგ ექიმებს ემკურნალათ მისთვის. ნამეტანი ნაწყენი დამრჩა. მერე რომ შევხვდი, მითხრა: „სულელი ვარ, ჩემი ავადმყოფობა კი არ უნდა მეცნობებინა, არამედ უნდა მომწერა დეპეშა: „ნაპოვნია არქეოლოგიური ფირფიტა“ და ვნახავდი, კისრისტეხვით თუ არ ჩამოირბენდი ოზურგეთშიო“.

ძმის ხუმრობა და წყენა არ გაჰკვირვებია, რადგან ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს საგანძურზე ზრუნვის გარდა აღარაფერი ახსოვდა, დღენიადაგ ამ საგანძურს დაეძებდა, ავსებდა, ამდიდრებდა, დარაჯობდა და მის გადარჩენას ცდილობდა.

არც ერთი ზაფხული არ გაუცდენია, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ტაძარი, ციხე თუ ნაქალაქარი მოიარა, თითქმის ყველა დიდი ისტორიული წარწერა შენიშნა, ყველა ღირსშესანიშნავი ხელნაწერი გადაფურცლა, არასოდეს დაზარებია საქმე, არასოდეს გასჭირვებია შეუძლებელის შეძლება... ამ დაუოკებელი და თითქოს ულევი ენერგიის მიზეზზე მოგვიანებით იტყვის: „სულ იმას ვშიშობდი, ის არ დაიკარგოს, ის არ წახდეს, ყველაფერი ავღწერო, რაც შეიძლება მეტი გამოვცე, გადმოვიღო, შევიძინო, შემოვწირვინო, მუზეუმი შევქმნა, რომ შეინახოს ეს ყველაფერი-მეთქი და ასე მიდიოდა ჩემი მუშაობა... სად მქონდა იმის დრო და საშუალება, რომ დავმჯდარიყავი და ნამდვილი გამოკვლევა მეწერა?! რაც მოვასწარი, ისიც მიკვირს?! როგორ არ მეზარებოდა?! როგორ ვახერხებდი ამდენ რამეს, პირდაპირ საკვირველია! ამას ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ მერე გამოჩნდებოდნენ მკვლევარები და ყველაფერს შეისწავლიდნენ“.

სწორედ ამ მიზნით 1919 წელს მეცნიერი დადიანების სასახლეს ეწვია. ნოე ჟორდანიას დავალებით ექვთიმე თაყაიშვილსა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე გიორგი ფაღავას უფლება მიეცათ, მინგრელსკის ყოფილი სასახლიდან თბილისში გადმოეტანათ ნივთები, რომელთაც მხატვრული და ისტორიული ღირებულება გააჩნდა. 1919 წლის 14 დეკემბერს ისინი გაემგზავრნენ თბილისიდან და მეორე დღეს, 15 დეკემბერს ზუგდიდში ჩავიდნენ. 15, 16 და 17 დეკემბერს მათ შეუგროვებიათ ცნობები სამალავისა და დაცული ძვირფასი ნივთების შესახებ, მაგრამ სამალავს მხოლოდ მაშინ მიაკვლიეს, როცა 20

ან 21 დეკემბერს ზუგდიდში მინგრელსკის მოურავი ჩავიდა და ამ სამალავზე მიუთითა. ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, „1919 წლის გაზაფხულზე მენშევიკური მთავრობის მეთაურმა, ნოე ჟორდანიამ, მიიხმო დადიანების მოურავი ვლადიმერ ალშიბაია და უთხრა: ჩვენთვის ცნობილია, დადიანს დიდი ქონება დარჩა. შენ ეს კარგად იცი და წინადადებას გაძლევთ, ჩააბარე ეს ქონება მთავრობას შესანახად, თორემ იქ გლეხთა აჯანყება ხდება, ქალაქი შეიძლება ბოლშევიკებმა აიღონ და ყველაფერი დაიკარგება, ხოლო ჩვენ ქონებას აქ შევინახავთო. ვლადიმერი შეფიქრიანდა... ენდო მთავრობის მეთაურს და დათანხმდა მის წინადადებაზე“.

I მსოფლიო ომის დასაწყისში დადიანების განძეულობა დაცული ყოფილა ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლის ზემო სართულის ორ ოთახში მოთავსებულ სალაროში. აქვე ყოფილა ჭურჭელი, ყანწები, ხალიჩები, ტყავეული, ფარდები, სურათები, სარკეები და მრავალი სხვა. 1914 წლის დეკემბერში დაიწყო თურქ-ოსმალთა ჯარების შეტევა რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ სარიყამი-

ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილი

დადიანების სასახლეში დაცული ნივთების ფოტოები

უკანასკნელი მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი

შის მიმართულებით და მოსალოდნელი იყო თურქთა შეჭრა სამეგრელოშიც. მოურავს გამოუყვია ოქრო-ვერცხლის ნივთები, რაც მას ყველაზე ძვირფასად მიაჩნდა, ჩაულაგებია ოთხ ყუთში და ვლაქერნის ღვთისმშობლის უზარმაზარ ხატთან ერთად მოუთავსებია ჯერ სასახლის ქვემო სართულის საყინულეში, შემდეგ კი იმავე ქვემო სართულის სამზარეულოს ღრმა და მაღალი კუთხის განჯინაში, რომელიც ამოუქოლავთ ორი ფენა აგურით, გაჯით შეულესავთ და შენიღბვის მიზნით, შეუღებავთ ისევე, როგორადაც შეღებილი იყო კედელი.

ექვთიმე თაყაიშვილს, გიორგი ფაღავასა და ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლეო ქიაჩელს (ლეო შენგელაიას) 21 დეკემბერს შეუღიათ ზუგდიდის სასახლის დალუქული კარი.

აი, როგორაა აღწერილი ეს ფაქტი ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში დაცულ ერთ-ერთ ოქმში: „1919 წლის 21 დეკემბერს... კომისია მივიდა სასახლეში. შესავალ უკანა კარები ზემო სართულისა დაბეჭდილ იყო ლუქით — ორი ბეჭდით... ბეჭდის ახსნის და კარების გაღების შემდეგ საერთოდ დაიარა კომისიამ

ზემო სართულის ოთახები და შემდეგ ჩავიდა ქვემო სართულის სამზარეულოში. ამ სამზარეულოს ეზოდან შესასვლელ კარს და შიგნით კარს ლუქის ბეჭედი მოშლილი ჰქონდა. შევედით სამზარეულოში, სადაც არავითარი ავეჯი არ იყო, გარდა ორი ცარიელი იაშჩიკისა და სქელი ფიცრისა.

აქ გვიჩვენა დადიანების მოურავმა ალშიბაიამ სამალავი, რომელიც მოთავსებული იყო მაღალი კუთხის განჯინაში, განჯინა ამოქოლილი იყო ორი ფენა აგურით და გარედან გალესილი გაჯით და შეღებილი, როგორც სხვა კედელი, გამოანგრიეს ამოქოლილი პირი განჯინისა და შიგ აღმოჩნდა ოთხი იაშჩიკი და ცალკე ბიჭვინთის დიდი ხატი თავისი კიოტით. ოთხივე იაშჩიკი სავსე იყო ოქროს და ვერცხლის ნივთებით, რომელიც კომისიამ დაწვრილებით აღნუსხა ცალკე სიით, მეორე დღეს, 29 დეკემბერს, კომისიამ დაათვალიერა საპარადო ოთახები ზემო სართულისა და აღნუსხა უმთავრესი საგნები და წიგნები ამ ოთახებისა, წვრილმანების აღნუსხვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს დიდ დროს მოითხოვდა. შემდეგ კომისიამ ინახულა ზემო სართულის სალარო — ორ ოთახში მოქცეული. ერთში არის დაგროვილი სასადილო, საჩაიე და საყავე მოწყობილობა მრავალნი, აგრეთვე დიდრონი კიდობანები ნოხებით, ტყავებიანი და სხვ. ესეც კომისიას დაწვრილებით არ აღუნუსხია. კომისიას არ აღუწერია აგრეთვე ზემო სართულის ფლიგელის ოთახები და ასევე ქვემო სართულის ოთახები. ერთ მათგანში მოჩანს სამიწათმოქმედო იარაღები. მეორე სალაროში დაგროვილია ხრუსტალის ჭურჭლები, ყანწები, სუსალები, სარკე და სხვადასხვა წიგნები. თვალსაჩინო წიგნების სია ამ სალაროსაც შესდგა. ყველა აღნუსხვილ წიგნებიდან კომისიამ საჭიროთ სცნო გადატანილ იქმნას ტფილისში შესანახავად, ბიჭვინთის ხატი, რომლის დაწვრილებით აღწერა უნდა შესდგეს, ის წიგნები, რაც ელაგა სამალავში, ამას უნდა მიემატოს ხატები, სამი სახარება და ყანწები.

ჩალაგება წიგნებისა მიენდო თვით ბ-ნ ალშიბაიას ერობის წარმომადგენლის თანდასწრებით. ჩალაგების შემდეგ იაშჩიკები უნდა დაიბეჭდოს ალშიბაიას და ერობის ბეჭდებით. დაცვა ნივთებისა გადატანის დროს ზუგდიდიდან ტფილისამდის მინდობილი აქვს ადგილობრივ მილიციის უფროსს და ის არის

დადიანების სასახლეში დღეს მუზეუმი მოქმედებს

პასუხისმგებელი მთავრობის წინაშე ამ წიგნების მშვიდობით ტფილისში ჩატანისა.

არავითარი ნუსხა თავად დადიანის წიგნებისა ადგილობრივთ არ აღმოაჩნდათ. ბ-მა ალშიბაიამ განაცხადა, რომ თავადს აქვს თავისთვის სრული აღნუსხული სია, მაგრამ მისთვის ამ სიის პირი არ მიუცია... კომისიამ დაადგინა გაგზავნის შემდეგ ოთახები და კარები დაბეჭდილი იყოს ერობის და თვით ალშიბაიას ბეჭდებით, მანამ მთავრობა განკარგულებას არ მოახდენს. თუ ვის გადაეცეს სასახლე და მასში მოთავსებული ქონება შესანახად თუ დასაცავად".

ექვთიმე თაყაიშვილი და მისი კომისია თავდაუზოგავად მუშაობდა და ყოველმხრივ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ნივთის აღწერა მოესწრო. ზუგდიდელი პედაგოგი სიმონ გოგიჩაიშვილი იგონებს: „კომისია შებინდების შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, მუშაობდა ნავთის ლამპის შუქზე. ენთო ხოლმე ორი თუ სამი ლამპა. წასვლის წინ ლამპებს აქრობდნენ. იმ საღამოს, როცა კომისიამ მუშაობა დაასრულა და ლამპები ჩააქრეს, ბურბუშელაში, რომელიც ყველგან ეყარა (ამ ბურბუშელაში ინახებოდა დადიანისეული ძვირფასი საგნები), ერთ ადგილას უცებ ინათა. გვეგონა ბურბუშელას ვისიმე გაუფრთხილებლობით ცეცხლი წაეკიდა და ალი ავარდა, შევვარდით, რომ სასწრაფოდ ჩაგვექრო და სასახლე ხანძრისაგან გადაგვერჩინა, ბურბუშელა გადასწიგადმოსწიეს და ცეცხლის ნაცვლად დაინახეს ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარი. თურმე ის ანათებდა... თვით განძის სასახლიდან გატანას არ დავსწრებივართ, იგი ხეთაში ჩაიტანეს მთავრობის მიერ თბილისიდან გაგზავნილი ორი თუ სამი დაჯავშნილი ავტომობილით, ხოლო ხეთიდან განძი დაჯავშნილი მატარებლით თბილისში ჩაიტანეს".

გიორგი კალანდია

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი

საქართველოს ისტორია და ტაო-კლარჯეთი

„იმოგზაურე ტაო-კლარჯეთში“ — ეს ევროპული Guide book-ის, ანუ გზამკვლევის ტიპის პირველი გამოცემაა საქართველოს ისტორიულ მხარეში მოგზაურობის მსურველთათვის. თუმცა წიგნი არანაკლებ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ მოგზაურებს, არამედ ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ პირებსაც.

წიგნში საქართველოს ისტორია წარმოდგენილია ცალკეულ საეკლესიო ან საერო ცენტრებთან დაკავშირებული მოვლენების ფონზე. აქ ნახავთ ამომწურავ ინფორმაციას იმ ათი სამონასტრო კომპლექსისა და ოთხი ციხესიმაგრის შესახებ, რომლებიც ბედის უკუღმართობამ, ძირძველ ქართულ მიწა-წყალთან ერთად, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოაქცია. წიგნი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში გამოქვეყნებულია ამ ძეგლებზე არსებული, ქვეყნის ისტორიის შესწავლისთვის უმნიშვნელოვანესი წარწერები, აღწერილია ფრესკები და არქიტექტურული დეტალები, მოცემულია გასული საუკუნის მოგზაურთა და მეცნიერთა მიერ მოპოვებული ცნობები და მათი შეფასებები. გზამკვლევი ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, ერთვის სამოგზაურო რუკა, რომელზეც ისტორიული ძეგლებისა და მარშუტების გარდა, დატანილია ტურისტისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაციაც (სასტუმროები, კვების ობიექტები, ავტოგასამართი სადგურები). გზამკვლევი უხვადაა ილუსტრირებული გოგა ჩანადირის ფოტოებით. ტექსტის ავტორი და ალბომის შემდგენელია მოგზაური ისტორიკოსი, ტაო-კლარჯეთის მკვლევარი, პროფესორი გიორგი კალანდია.

გიორგი კალანდია, წიგნის ავტორი: — ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას ხშირად შევხვედრივარ ქართველ და უცხოელ ტურისტებს, საქართველოს წარსულით დაინტერესებულთ, რომელთაც შემოუჩივლიათ, კარგი იქნებოდა, აქაური ძეგლების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია გვქონდესო. სწორედ ამან გადამაწყვეტინა აღნიშნული გზამკვლევის შედგენა. მინდა ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დაგვაახლოოს ქვეყნის წარსულთან და იმ ისტორიულ ძეგლებთან, რომლებიც ერთიანი საქართველოს სურათს წარმოგვიდგენენ.

თეა ცაგურიშვილი

იშხანი

ოშკი

გრიგოლ I-ის წინაპრები და ნათესავები დედის მხრიდან

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გენეალოგიიდან



ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გრიგოლ I-ის (1789-1830) უშუალო წინაპრები მამის მხრიდან იყვნენ ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ — კახეთის, ხოლო ბოლოს — ქართლ-კახეთის მეფეები და საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწენი, რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ ჟურნალ „ისტორიანში“ (იხ.: №№ 11, 15, 40) გამოქვეყნებულ სტატიებში. წინამდებარე ნარკვევში მოგითხრობთ მეფე გრიგოლის დედის — ქეთევან წერეთლის (1772-1823), მისი წინაპრებისა და ნათესავების შესახებ, რაც ნაკლებად არის ცნობილი.

მომავალი მეფის დედა ქეთევან წერეთელი დაიბადა 1772 წელს, საჩხერეში, იმერეთის სამეფოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სახლთუხუცესის, გავლენიანი თავადის, ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის (1747-1823) ოჯახში.

ქეთევანი — ღრმად მორწმუნე მანდილოსანი, ქართული მწერლობის საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი ყოფილა. მისი შეკვეთით არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი გადაიწერა. წიგნისადმი სიყვარული და ზრუნვა მან თავის ერთადერთ ძესაც ჩაუნერგა.

სწორედ ზემოთქმულის დამადასტურებელია გრიგოლ ბაგრატიონის ნაქონი ერთ-ერთი წიგნის შემდეგი მინაწერი: „ეს წიგნი მეფის რძლის, წერეთლის, სახლთუხუცეს ზურაბის ასული ქეთევანის იყო და იმის მიცვალების შემდგომად დაშლილიყო და ძემან მისმან, მეფის ძის ძემ გრიგოლმა შეკავერეინე სამ მინალთუნად სულისა მისისა საოხად. მკითხველნო, შენდობას უყოფდით“.

ისტორიიდან ცნობილია ზურაბ წერეთლის უშუალო წინაპარი — ქველი წერეთელი, რომელიც XVII საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწეობდა. ის ყოფილა გიორგი საакაძესთან დაპირისპირებული ფეოდალი, რომელიც სახელოვან სარდალთან გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაუჭრიათ.

ზურაბ წერეთლის გენეალოგიური ხაზი ასე წარმოგვიდგება: 1. **ქველი წერეთელი** (მოღვაწეობდა XVII საუკუნის პირველ მესამედში) — 2. **ბეჟანი** (გარდაიცვალა 1639 წელს) — 3. **ქაიხოსრო** (სარდალი, იხსენიება 1639-1673 წლებში) — 4. **ქველი** (სარდალი) — 5. **პაპუნა** — 6. **ქაიხოსრო** (სარდალი, გარდაიცვალა 1769 წელს) — 7. **ზურაბი** (1747-1823).

ზურაბის დედა იყო მარიამ ჯაფარიძე, ხოლო ბებია (მამის დედა) — ქეთევან ზურაბის ასული აბაშიძე. ასე რომ, ზურაბმა თავის უფროს ასულს ბებიის სახელი დაარქვა.

უფროსი ძმა ზურაბისა — პაპუნა წერეთელი (1740-1790) იყო ზემო იმერეთის სარდალი. მას ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის, გიორგი VII-ის (მეფობდა 1741 წელს) ასული — მარიამი, იგივე მზეხათუნი (1748-1810).

ზურაბ წერეთლის პირველი მეუღლე იყო

თამარ გიორგის ასული დადიანი (გარდაიცვალა 1823 წელს), ხოლო მეორე — ირინე მერაბის ასული ჯაფარიძე (გარდაიცვალა 1832 წელს). ზურაბის შვილები იყვნენ: **ქეთევანი** (1772-1823), რომელიც ცოლად ჰყავდა უფლისწულ იოანეს (1768-1830), ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟს; **სვიმონი** (1773-1855), რომელსაც ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის დავით II-ის ასული მზეხათუნი (1783-1829); **დავითი** (1780-1853) — ხონის მიტროპოლიტი, ჭყონდიდის ეპისკოპოსი; სალომე (1780-1843), რომელიც ცოლად ჰყავდა პაატა ევგენის ძე აბაშიძეს; **გრიგოლი** (1787-1843) — სახლთუხუცესი, პოლკოვნიკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ელისაბედ მანუჩარის ასული დადიანი (გარდაიცვალა 1850 წელს); **გიორგი** (გარდაიცვალა 1804 წელს) — სახლთუხუცესი; **ნინო** (გარდაიცვალა 1811 წელს); **მართა**, რომელიც ცოლად ჰყავდა ოდიშის მთავარს, ლევან V დადიანს; **მაკრინე** (1790-1855), რომელიც ცოლად ჰყავდა დავით თარხან-მოურავს.

გრიგოლ I — ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე

გრიგოლ I-ის ბიძის — ქართლ-კახეთის გამგებლის, დავით გიორგის ძე ბაგრატიონის საფლავის ქვაზე ამოტვიფრული გერბი (პეტერბურგი, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრა)

უფლისწული იოანე ბაგრატიონი, სიძე თავად ზურაბ წერეთლისა

თავად წერეთელთა საგვარეულო გერბი

დიდშემძლე თავად ზურაბ წერეთელს პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ იმერეთის მეფეები: სოლომონ I, დავით II და სოლომონ II.

1778 წელს სოლომონ I-ს აუჯანყდა თავისივე ტახტისმაძიებელი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი (1760-1780), რომელსაც იმერეთის ფეოდალთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიემხრო. ამ ვითარებაში ზურაბ წერეთელმა მეფის ერთგულება შეინარჩუნა. ამისთვის მადლიერმა სოლომონ I-მა ზურაბს უბოძა სახლთუხუცესობა, რომელიც აჯანყების მონაწილე თავად დავით აბაშიძეს ჩამოართვა.

ძმები ზურაბ და პაპუნა წერეთლები იმ ფეოდალთა შორის იყვნენ, რომლებმაც სოლომონ I-ის გარდაცვალების (1784 წ.) შემდეგ მხარი დაუჭირეს იმერეთის სამეფო ტახტზე მეფე გიორგი VII-ის ვაჟის — დავით II-ის (მეფობდა 1784-1789 წლებში) ასვლას.

მადლიერმა დავით II-მ ძმებს — ზურაბ და პაპუნა წერეთლებს უბოძა ახალი ყმა-მამული იმერეთში, რაჭის დაბა-ქალაქი ონი იქაური ვაჭრებითურთ და სოფელი წედისი. გარდა ამისა, მეფემ რუსეთის საიმპერატორო კარზე 1784 წლის შემოდგომაზე გაგზავნილი თავისი დელეგაციის შემადგენლობაში ჩართო ზურაბ წერეთელი, რომელიც რამდენიმე უცხო ენას ფლობდა. მის გარდა, ამ დელეგაციაში შედიოდნენ კათოლიკოსი მაქსიმე და მდივანბეგი დავით კვინიხიძე.

1785 წელს ზურაბ წერეთელი გენერალ-

საჩხერე — დედულეთი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფისა. ***დიუბუა დე მონპერეს (1798-1850) ნახატი***

ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინს წერდა: „იმერეთი ოსმალთათვის ყოველთვის საშინელი იყო და აწცა არის... ყოველთვის არაფრად მიგვაჩნდა სიმრავლე მათის ჯარისა და მხნეობა ძალისა მათისა“.

მეფე დავით II ამჩნევდა, რომ იმერეთში თანდათან იზრდებოდა წერეთლების გავლენა, რის გამოც მათი დასუსტება გადაწყვიტა. მან პაპუნა და ზურაბ წერეთლებს თავის მიერვე ნაბოძები მამულები ჩამოართვა, ხოლო პაპუნა საწერეთლოს მეთაურობიდან გადააყენა და ეს პატივი მის ბიძაშვილს, ბეჟან წერეთელს უბოძა. ყოველივე ამან ძმები წერეთლები მეფის წინააღმდეგ განაწყო.

1789 წელს, როდესაც დავით II სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს, თბილისში ჩამოვიდა იმერეთის უწარჩინებულეს ფეოდალთა დელეგაცია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს იმერეთის შეერთება შესთავაზა.

იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონ II-ის (მეფობდა 1789-1810 წლებში) ასვლის შემდეგ, ზურაბ წერეთელი მის სამსახურში ჩადგა. მან ახალგაზრდა მეფის პოზიციების გაძლიერებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სოლომონ II-ის სამსახურში ჩამდგარმა თავადმა სოლომონ ლიონიძემ იმერეთის მეფის დიდი ნდობა და კეთილგანწყობა მოიპოვა. მან თანდათან დაჩრდილა იმერელი ფეოდალები და მათ შორის ზურაბ წერეთელიც. ამის გამო, ისინი მტრად მოეკიდნენ მეფესაც და მის ახალ რჩეულსაც, უკვე იმერეთის მდივანბეგად აღზევებულს.

იმერეთის მეფე სოლომონ I

1806 წლის ღვინობისთვის 30-ს, სოლომონ ლიონიძემ გულზვიად ზურაბ წერეთელს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა:

„სოფლისათვის ცრუსა და მართლისა უკ-

სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი თავის ვაჟთან, გრიგოლთან ერთად. ნახატი შესრულებულია XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე



მეფე სოლომონ I-ის მიერ 1779 წლის 20 მაისს გაცემული მამულის წყალობის სიგელი ძმების — პაპუნა, ზურაბ და ბერი წერეთლებისადმი. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ვდავებისათვის გეტყვით წრფელ სულობით და უკეთუ არ ირწმენთ, მე რა ვყო?

შენ კაცი ხარ და არა ღმერთი. გინდა, რომ ცა და ქვეყანა შენს ფიქრზედ ბრუნვიდეს... არ იქნება...

თუ კარგი მონარდე ბრძანდები, იაგანში დუშაში ითამაშე!

რა გაჯავრებს?

მართალია, დიდი კაცი ხარ, ათასი კომლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის ქარტა რომ არის დახატული, თუ კაცი ხარ, იმაში შენს საჩხერეს იპოვნი ან შენს სასახლეს მიაგნებ, თუ სად ზიხარ და სად გძინავს!?

თურმე არაფერი ყოფილხარ რა და რას დიდგულობ?“

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა აღმოსავლეთ საქართველო თავისი უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია, იმერეთის სამეფოს ჯერიც დადგა. ყოველივე ეს გაითვალისწინა სოლომონ II-ის მეფობით უკმაყოფილო ზურაბ წერეთელმა, რომელმაც რუსთა მხარე დაიკავა. ამისათვის მას იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ წერეთლის უფროსი ვაჟი, სვიმონი (1773-1855) მეფე სოლომონ II-ის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა რუსთა მიერ ვერაგულად დატყვევებული სოლომონ II-ის თბილისიდან ახალციხეში გაქცევის ორგანიზებაში, რაც წარმატებით განხორციელდა.

იმერეთის დევნილ მეფესთან ერთად ოსმალეთში გადახვეწილი მისი ერთგული თანამებრძოლი სვიმონ წერეთელი მამას გულმოკლული სწერდა: „აბა, რაღად მინდა სიცოცხლე, ყოველი კაცი, ქართლელი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი თუ ერი, ყმაწვილი თუ მოხუცებული, ვინც ვნახე, ყველა ასე მეუბნება,

რომ რა ქნა ეს მამაშენმაო, მეფე რომ გასცაო!

ეს ხმა რა საძაგელია ხომ იცით და მომიხსენებია: ნეტამც ოცის წლითაც ადრე ამოვწყვეტილიყავით სუყველა ქალებიან-კაცებიანად და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო, სჯობდა ჭეშმარიტად!

რას შვრები, რას უყურებ, შენც აქ ჩამოდი და ამასთან (იგულისხმება სოლომონ II. — ნ. ჯ.) დაიკარგე, თორემ ამ ხმას ჩვენ ვეღარ მოვიხდით".

საგულისხმოა, რომ საქართველოში დამკვიდრებული რუსეთის საიმპერიო ადმინისტრაცია ბოლომდე მაინც არ ენდობოდა ზურაბ წერეთელს, რომელსაც იმერეთის მმართველად დანიშნული გენერალი ფიოდორ სიმონოვიჩი ასე ახასიათებდა: „მეეჭვება, რომ ის ბოლომდე ჩვენი ერთგული იყოს... მას მხოლოდ პირადი სარგებლობა აიძულებს, რომ ჩვენთვისაც რამდენადმე სასარგებლო აღმოჩნდეს".

1819-1820 წლებში, როცა იმერეთში ანტირუსული სახალხო აჯანყება მიმდინარეობდა, სამეფო ტახტზე ასაყვანად, სხვა პრეტენდენტებთან ერთად, ზურაბ წერეთლის კანდიდატურაც განიხილებოდა. თვით ზურაბი კი იმერეთში გასამეფებლად ამზადებდა თავის ვაჟს, გრიგოლს (1787-1843).

1823 წელს ზურაბ წერეთელი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ახლა რაც შეეხება ქეთევან ზურაბის ასული წერეთლის დედის, ანუ გრიგოლ I-ის ბებიის, თამარ დადიანის წინაპრებს.

თამარი იყო ასული **გიორგი ოტიას ძე დადიანისა** (?-1799) და **მარიამ აბაშიძისა**. გიორგის მამა იყო ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი **ოტია დადიანი** (მთავრობდა 1728-1757 წლებში), ხოლო დედა — გულქანი, ასული რაჭის ერისთავ შოშიტა III-ისა. გიორგის პაპა იყო ოდიშის მთავარი **ბეჟან დადიანი** (მთავრობდა 1714-1728 წლებში), ხოლო ბებია — თამარ გელოვანი.

უფროსი ძმა გიორგისა იყო **კაცია II დადიანი**, რომელიც 1757-1788 წლებში მთავრობდა. მას ცოლად ჰყავდა მეფე თეიმურაზ II-ის ასული ელისაბედი. მათი ვაჟი **გრიგოლ დადიანი** — 1788-1804 წლებში მთავრობდა. სწორედ ამ გრიგოლის შთამომავლები იყვნენ ოდიშის უკანასკნელი მთავრები — **ლევან V** (მთავრობდა 1805-1846 წლებში), რომელსაც ცოლად ჰყავდა მართა ზურაბის ასული წერეთელი; **დავით ლევანის ძე** (მთავრობდა 1846-1853 წლებში) და ასევე, **ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე**, რომელიც მთავრად ითვლებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ და რომელსაც ოცი წლის ასაკში, 1867 წელს, ტახტზე უარი ათქმევინეს.

გიორგი ოტიას ძე დადიანი დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა ოდიშის სამთავროში. იგი ხშირად ასრულებდა სამთავროს სარდლის მოვალეობას. 1780 წელს იგი მონაწილეობდა რუხის ბრძოლაში, რომლის დროსაც გამოჩენილი სიმამაცისთვის შექებულია ბესარიონ გაბაშვილის პოემაში „რუხის ბრძოლა". უდიდესი ამაგი დასდო თავის ძმისწულს — მთავარ გრიგოლ დადიანს, რომელსაც ტახტის შენარჩუნებისთვის ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან. იგი იყო ხსენებული მთავრის საიმედო მრჩეველი და თავდადებული მხარდამჭერი, მისი ვაჟის, მომავალი მთავრის, ლევან V დადიანის აღმზრდელი. გარდაიცვალა 1799 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში.

გიორგი დადიანის ვაჟი, ანუ თამარის ძმა და ქეთევან ზურაბის ასულ წერეთლის ბიძა იყო ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, ოდიშის სამთავროს მდივანბეგი, რუსეთის საიმპერიო არმიის გენე-

იმერეთის მეფე სოლომონ II

ოდიშის ყოფილი მთავრის, ნიკო დავითის ძე დადიანისა და მის შთამომავალთა გერბი

რალ-მაიორი ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი (1764-1834). მას მეტსახელად „დიდ ნიკოს“ ეძახდნენ. 1804 წელს, როდესაც მოულოდნელად გარდაიცვალა მთავარი გრიგოლ დადიანი, ხოლო ტახტის მემკვიდრე ლევან გრიგოლის ძე მძევლად ჰყავდა აფხაზეთის მთავარ ქელაიშ აჰმად-ბეგ შარვაშიძეს, დაინიშნა ოდიშის სამთავროს მმართველი უმაღლესი საბჭოს წევრად. 1805 წელს მისი ხელმძღვანელობით პეტერბურგში ჩავიდა ოდიშის დელეგაცია, რომელმაც საიმპერატორო კართან დიპლომატიური მოლაპარაკებები აწარმოა სამთავროს რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 და 1828-1829 წლების ომებში. დაჯილდოვდა წმ. ანას I ხარისხის ორდენით. მისი საისტორიო თხზულება „ქართველთ ცხოვრება“ წარმოადგენს ფრიად საყურადღებო წყაროს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. ცოლად ჰყავდა ჯერ მარიამ ერისთავი — ასული როსტომის გურიის ერისთავისა (წარმომავლობით შარვაშიძისა), ხოლო შემდეგ — აფხაზი თავადის ასული ეკატერინე მარშანია.

ასე რომ, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის წინაპრები დედის მხრიდან იყვნენ დასავლეთ საქართველოს უწარჩინებულესი საგვარეულოების შთამომავლები.

ქეთევან ზურაბის ასული წერეთელი თავის მეუღლესთან, უფლისწულ იოანე გიორგის ძესთან ერთად ცხოვრობდა პეტერბურგში. 1823 წელს, იგი პეტერბურგში, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ქეთევან წერეთლის ერთადერთ მემკვიდრეს, გრიგოლ ბაგრატიონს ნება დართეს, სამშობლოში დროებით ჩასულიყო და განსვენებულის პირადი ნივთები გადაებარებინა.

1824 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოსულ გრიგოლს დედის პირადი ნივთები გადასცა ბიძამ, პოდპოლკოვნიკმა გრიგოლ წერეთელმა. ქეთევან წერეთლისეული ნივთების 17 და 20 იანვრით დათარიღებული ჩამონათვალი ასეა დასათაურებული: „კურთხეულისა და სანატრელის, ღვთისადმი განსვენებულის, საქართველოს მეფის სძლის ქეთეონის დანაშთის ნივთების ნუსხა“. ჩამონათვალიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი ნივთები: „ხატი ღვთისმშობლისა, პატარა, გვირგვინი თვალით და მარგალიტით მოოჭვილი და გარემო ორპირად მარგალიტ-მოვლებული, ოქროსი, კარებიანი, თავისის მოქლონით და გასაღებით... ქარვის გულსაკიდი ჯვარცმის ხატი, ოქროთი მოჭედილი... ერთი იეშმის ჯვარი... ერთი იეშმის ყუთი, რომელშიაც ასვენია ცხოველ-მყოფელის ძელის ნაკვეთი ორი და წმინდის მინას ნაწილი... წირვის იარაღი სრულიად სახარებით და ჯვრით... წიგნები საღმრთო თუ საერო, ცხოვლის წიგნი ლათინური, კრიელეისნები მარჯნისა და ქარვისა“ და სხვ.

ნუსხის ბოლოს ვკითხულობთ გრიგოლ ბაგრატიონის თხოვნას ბიძისადმი: „ამას გარდა, რაც წვრილმალი არის, ან ქვეშსაგებელი, ნება მოგეც, ბიძაჩემო გრიგოლ წერეთელო, რათა გაჰყიდო და დედის ჩემის სულის საწირავად მისცე“.

ამრიგად, მომავალი მეფე გრიგოლ I — ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლის, უფლისწულ იოანე ბაგრატიონისა და იმერეთის უწარჩინებულესი თავადის ასულის — ქეთევან წერეთლის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. მას ფრიად გავლენიანი სანათესაო ჰყავდა როგორც მამის, ასევე დედის მხრიდანაც.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა

335 მნიშვნელოვანი რჩევა **ნადირობის** შესახებ

ფასი
29.95 ლარი

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge

სიმონ ხუხუნაიშვილის დაბრუნება

„ისტორიანში“ გამოქვეყნებული 1918 წლის ომის ქართველი გმირის ფოტო ნათესავებმა იცნეს

სიმონ ხუხუნაიშვილის ძმა (შუაში), სევერიან ხუხუნაიშვილი თანამებრძოლებთან ერთად

ჟურნალ „ისტორიანის“ 2014 წლის თებერვლის ნომრის გარეკანზე სახალხო გვარდიის პოლკოვნიკის, სიმონ ხუხუნაიშვილის ფოტო გამოქვეყნდა. ისტორიამ მის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია შემოგვინახა. მიახლოებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ სიმონ ხუხუნაიშვილმა 1919 წელს, გვარდიის მეთაურთან, ვალიკო ჯუღელთან დაპირისპირების გამო თავი მოიკლა. დაპირისპირების მიზეზი დღემდე უცნობი რჩებოდა... გარდა ამისა, მის შესახებ ინფორმაციის სიმწირის მიზეზი საბჭოთა რეჟიმის სასტიკი დამოკიდებულებაცაა. დაღუპულის ოჯახის წევრები, დედაც კი, შვილის შესახებ ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა, რადგან რეპრესიების, გადასახლების ეშინოდათ... რედაქცია შეეცადა ტრაგიკული ამბის დეტალების გარკვევას. ამის შესახებ სტატიას ჟურნალის ამავე ნომერში გთავაზობთ.

როცა „ისტორიანმა“ სიმონ ხუხუნაიშვილის ფოტო გამოაქვეყნა, რედაქციას მისი დისშვილი, მანანა ოსეფაიშვილი დაუკავშირდა, რომელმაც გვიამბო, რომ მაშინ ბოლშევიკების წინააღმდეგ სიმონის ძმებიც იბრძოდნენ და სასჯელს ვერც ისინი გადაურჩნენ.

მანანა ოსეფაიშვილი:

— ეს ფოტო შემთხვევით ვიპოვეთ. ჩემი მეუღლე „ლელოს“ მუდმივი მკითხველია და ერთ დღესაც საგაზეთო რეკლამაში, ჟურნალ „ისტორიანის“ გარეკანზე ნაცნობ ფოტოს მოჰკრა თვალი... ვიფიქრე, რადგან ფოტო დაბეჭდეს, იქნებ რამე ამბის შესახებაც ჰყვებოდნენ-მეთქი. ხუხუნაიშვილის ნაცვლად ხუხუნაშვილი ეწერა, მაგრამ ბიძაჩემის ფოტო ვიცანი, ეტყობა გვარი შეეშალათ-მეთქი. როცა რედაქციას ვესტუმრე, აღმოჩნდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში დაცული ფოტოს უკანა მხარეს მკრთალად, ფანქრით ეწერა ხუხუნაშვილი. რა თქმა უნდა, დავინტერესდი, რედაქციაში თუ იცოდნენ რამე ბიძაჩემის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათაც მცირე ინფორმაცია ჰქონდათ...

— თქვენ რა იცით მასზე?

— ის, რაც ჩემი ნაცნობებისა და ოჯახის ახლობლებისგან მომისმენია. ბებიას, დედაჩემის დედას, კესარიასა და მის მეუღლე მათეს ათი შვილი ჰყავდათ: ოთხი ვაჟი — სიმონი, სევერიანე, სარდიონი და ვალოდი და ექვსი ქალი — კალენტი, ლუბა, ქეთევანი (თამარი) პატკუ (ნინა), მარინე, შუშანა. ვაჟებიდან ყველა მენშევიკი იყო, სამი გადაასახლეს, სიმონმა კი, როგორც იცით, თავი მოიკლა. მაშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, მას უსიამოვნება ჰქონია გვარდიის მეთაურ ვალიკო ჯუღელთან, მაგრამ ამ თემაზე დედამისიც კი, ანუ ბებიაჩემი, არაფერს ლაპარაკობდა. სამ გადასახლებულ შვილს დასტიროდა, სიმონზე კი კრინტს არ ძრავდა. გადასახლებული ბიჭებიდან მხოლოდ ორი დაბრუნდა. ერთ-ერთი, სევერიანე, ბაქოში იმ ხანებში ყოფილა, როცა ალყაში იყო მოქცეული და ერთხანს

ჩაიკეტა. მერე ბაქოც „გაწითლდა“ და იგი საქართველოში დაბრუნდა... მოკლედ, ოთხივე ძმა ეროვნულ საქმეში ყოფილა ჩართული, მაგრამ სევერიანე აქტიურობით არ გამოირჩეოდა თურმე. ვალოდი 16 წლისა გადაუსახლებიათ. მახსოვს, ბებია იმ დაწყევლილ დღეს მთელი ცხოვრება ცრემლმორეული იხსენებდა — როცა მის დასაჭერად მოვიდნენ, ვემუდარებოდი, 16 წლის არის ჯერ, იქნებ ეს ერთი შვილი მაინც შემარჩინოთო. ვინ შეარჩენდა... გადაასახლეს, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა. ციმბირიდან რუსი ცოლი ჩამოიყვანა, ოთხი შვილი ჰყავდათ. ბიძამ დარჩენილი ცხოვრება ტყეში გაატარა. ცდილობდა, კომუნისტებისგან თავი შორს დაეჭირა, ხან ბახმაროში, ფერმაში მუშაობდა და ხან სად... შემდეგ, როცა კომუნისტები მოღონიერდნენ, ხანდახან ჩვენს სოფელში ვინმე მათი თავი კაცი შემოვლიდა, რათა ადგილობრივ პრობლემებს გასცნობოდა. მაშინ განათლებული, კარგად მოსაუბრე ადამიანები ჭირდა, არადა, ვინმეს ხომ უნდა ეთქვა ამ კომუნისტისთვის, რა სჭირდებოდა სოფლის ხალხს. ყველა ვალოდისკენ იშვერდა თითს, — კარგად ეტყვის სათქმელსო... ერთხელ ხუმრობით ვუთხარი, ბიძია, ბარემ რამე თანამდებობა მოითხოვე, მაინც სულ შენ გალაპარაკებენ-მეთქი. ღიმილით მიპასუხა, — ბიძი, ვინ დამნიშნავს მე თანამდებობაზე ან რა ოხრობად მინდა მაგათი თანამდებობაო...

— სევერიანე რა გზას დაადგა ბაქოდან დაბრუნების შემდეგ?

— წლების განმავლობაში, მწერალთა კავშირში მუშაობდა, ტექნიკურ საქმეებს აგვარებდა. სარდიონი საერთოდ არ დაბრუნებულა... ბიძაშვილებიდან, ვალოდის ოთხ შვილს ვგულისხმობ, მხოლოდ ერთია ცოცხალი, უფროსი გოგო. მის გარდა, კიდევ ერთი დეიდაშვილი მყავს. მათესა და კესარიას ათი შვილიდან, მხოლოდ სამნი ვართ ცოცხალი.

— თქვით, რომ ბებია არაფერს ამბობდა სიმონის სიკვდილზე. ალბათ ბოლშევიკების ეშინოდა...

— ეშინოდა კიდეც, მაგრამ რამდენადაც ვხვდები, ცოტა ნაწყენიც იყო მასზე, ასეთი განაჩენი რომ გამოუტანა საკუთარ თავს... პატარა ვიყავი, როცა ბებია თავის დარდზე ლაპარაკობდა და მაინცდამაინც ყურადღებას არ ვაქცევდი მის სიტყვებს. როცა წამოვიზარდე, დავინტერესდი, მაგრამ ბებია უკვე აღარ

სიმონ ხუხუნაიშვილის მიერ დედისა (ზემოთ) და დისთვის (ქვემოთ) გამოგზავნილი ღია ბარათები

მყავდა. ახლა კი ვნანობ, ნეტა რამე მეკითხა, იქნებ იცოდა და გულით ატარებდა შვილის დარდს-მეთქი. მეზობლებისგან მომისმენია, — ტყუილად დაიღუპა თავი იმ უბედურმა, მალევე გაირკვა, რომ არაფერ შუაში ყოფილაო... ეს რომ არ ჩაედინა, კომუნისტები მაინც არ მოასვენებდნენ. ან გადაასახლებდნენ, ან დახვრეტდნენ, ამიტომ ჯობდა, ისევ ჟორდანიას გაჰყოლოდა ლევილშიო...

— სამხედრო პირი იყო, არა?

— დიახ, სამხედრო განათლება რიგაში მიუღია. პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა. ამხელა წოდებას პატარა ბიჭს არ მისცემდნენ, თავი რომ მოიკლა, 25 წლის მაინც იქნებოდა... არ ვიცი, რიგაში როგორ წავიდა სასწავლებლად, მაგრამ ბაბუას სახლში, სიმონისგან მოწერილი ბარათები მაქვს ნანახი. კრემლის ეზოში ზარბაზანი იდგა, იმის ფოტო ფოსტის მარკასავით ჰქონდა კონვერტზე დაკრული. ბარათში დედაჩემს წერდა, — დაო, ეს ზარბა-

მანანა ოსეფაიშვილი

მანანა ოსეფაიშვილი: „წლების განმავლობაში დაგროვებული წერილები, სამწუხაროდ, დაიკარგა. სიმონისგან ხის კოლოფი დამრჩა (მაშინ ხომ მამაკაცები იპუდრებოდნენ)“

ზანი კრემლის ეზოში ვნახე, ძალიან დიდიაო... ჩვენებურები როგორ არიან, მენატრებითო... ამას რიგიდან იწერებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მოსკოვშიც მოუწია ყოფნამ. კიდევ რამდენიმე ბარათი ინახებოდა სახლში, აღდგომას ულოცავდა ოჯახის წევრებს.

— მისი და ვალიკო ჯუღელის ურთიერთობის შესახებ რას ამბობდნენ თქვენს ოჯახში?

— არაფერს. ან რაღაც იცოდნენ და ვერ ამბობდნენ, ან არაფერი იცოდნენ. მათგან მხოლოდ ის ვიცი, რომ 1924 წელს, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავი მოუყარა ავჯანყებულებს და კომუნისტების წინააღმდეგ შეკრეს პირი, მაშინ ვალიკო ჯუღელი თურქეთში ყოფილა და დაბრუნებულა... ჩვენს სოფელს, აკეთს, უღრანი ტყე ესაზღვრებოდა, სადაც ფირალები და ბოლშევიკური რეჟიმისგან დევნილი ხალხი აფარებდა თავს (ტყე ახლაც არის, მაგრამ მაშინდელთან შედარებით, გაჩეხილია). რადგან ჩვენი სახლი ახლოს იყო, ეს ხალხი, აივანზე ან სადმე კუნჭულში, ისე ათევდნენ ღამეს, რომ ბებია და ბაბუა მათ იქ ყოფნას ვერ კი იგებდნენ. რამე საფრთხეს თუ იგრძნობდნენ, ტყეს მისცემდნენ თავს... ერთხელ ვალიკოსაც გაუთევია ღამე ჩვენს სახლში და კარ-მიდამოსთვის რომ მოუკრავს თვალი, უთქვამს, — სიმონი რა ღარიბი ოჯახიდან ყოფილაო... ღარიბები კი იყვნენ ბებია და ბაბუა, მაგრამ განათლება ათივე შვილს მისცეს. იმ წლებში ხალხს განათლება კი არა, პური ენატრებოდა. მშრომელი ადამიანები იყვნენ, ერთ ცალ ხილს არ დააგდებდნენ მიწაზე, არაყს ხდიდნენ და მერე ჰყიდდნენ. ასე გაჰქონდათ თავი... მიწები ჰქონდათ, რომელიც შემდეგ ჩამოართვეს.

— შემდგომ წლებში, სიმონის ან მისი ძმების თანამებრძოლებიდან ხომ არავინ შეგხმიანებიათ?

— არავინ. წლების შემდეგ დეიდა იხსენებდა, ერთხელ ქუჩაში უცხო კაცი შემხვდა, კარგა ხანს მიყურა და მერე გადასახლებაში მყოფ ძმაზე, სარდიონზე მითხრა, შენი ძმა კარგი კაცი იყო, ჩვენ გავუთხარეთ აზიაში საფლავი და დავკრძალეთო... დეიდა განიცდიდა, სახელი და გვარიც არ მიკითხავსო. ერთხელ წავიკითხე სარდიონის წერილი, რომელსაც დედაჩემს წერდა, — მარინე, შენ ყოჩაღი ქალი ხარ, შენ და დედაჩემმა გაარკვიეთ, რა მუხლით გადამასახლესო, თორემ ისეთ დღეში ვარ, თქვენი ნაშრომი წყალში ჩაიყრებაო... დედა მასზე უფროსი იყო და ეტყობა, ბებიას სარდიონის გაზრდაში ეხმარებოდა. სავარაუდოდ, ამას გულისხმობდა ბიძაჩემი... თბილ წინდებს, ღორის ქონსა და სხვა საჭირო ნივთების გამოგზავნას სთხოვდა ოჯახს.

— ეს წერილები დაიკარგა?

— დიახ, სამწუხაროდ დაიკარგა! წლების წინ ერთი ახლობელი მოვიდა, მუზეუმი იხსნება, სადაც გადასახლებულთა ნივთები და წერილები გამოიფინება, ცოტა ხნით მათხოვეთ და დაგიბრუნებთო. ყველაფერი მოვაგროვე, რაც კი შენახული მქონდა და გავატანე. მერე გავიგე, რომ ის კაცი უეცრად გარდაცვლილა. იმ დროს ჩემი შვილები პატარები იყვნენ და დროც არ მქონდა, რომ მის მიერ წაღებული ნივთები მეძებნა. მხოლოდ სიმონის ფოტოები შემრჩა... და კიდევ, სიმონისგან ხის კოლოფი დამრჩა, მაშინ ხომ მამაკაცები იპუდრებოდნენ (ქალბატონი მანანა მუქ ყავისფერ კოლოფს მანახვებს, რომლის ფუნჯს დღემდე შერჩენილი აქვს კოსმეტიკის სუნი). როცა დეიდაჩემი გარდაიცვალა, მეზობლები გვეხმარებოდნენ და ერთ-ერთს შინ წაუღია. გავბრაზდი, იმ ნივთს შენ ვერ მოიხმარ, ჩვენი ოჯახის რელიკვიასავით არის და დამიბრუნე-მეთქი და მომიტანა. დიდი ხნის ამბავია, მაგრამ ჩემი ოჯახის წარსულის ნაწილია და ის ფოტო რომ ვნახე ჟურნალ „ისტორიანში“, ყველა ტკივილი ერთად განმიახლდა, რაც კი ჩემმა ოჯახმა საბჭოთა რეჟიმისგან იწვნია...

გოგოებს, დედაჩემის დებსაც მძიმე ცხოვრება ჰქონდათ. სულ შიშში იყვნენ. მთავრობის ხალხი შუაღამეს შემოგვივარდებოდა სახლში და დაიწყებდნენ ჩხრეკას. ყველაფერს გადაქოთებდნენ. ბიძების დანატოვარ წიგნებს

ბუხარში შეყრიდნენ, აკრძალული ლიტერატურააო... ბიძები, სანამ სახლში იყვნენ, სახლ-კარს უვლიდნენ, ხეხილს რგავდნენ. მერე, როცა მიწები ჩამოგვართვეს, რაც დაგვიტოვეს მიწის ნაკვეთი, იმაზეც არ დატოვეს ხეხილი, — კოლექტივი გვავალებსო და ნერგი ნერგად მიჰქონდათ და ხილსაც დაუკითხავად კრეფდნენ... ვინ გაბედავდა პროტესტის გამოთქმას, ხმაგაკმენდილი ვიტანდით ყველაფერს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც იქნა, ყველაფერი შევაკოწიწეთ და დავიბრუნეთ, თუმცა მანამდე ჯოჯოხეთი გამოვიარეთ...

იმ დროს, როცა სტალინმა მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობიდან დაბრუნებულთა გადასახლება დაიწყო, ვიფიქრეთ, რომ ჩვენც მოგვადგებოდნენ, რადგან როგორც გითხარით, მამაჩემი გაქანებული კომუნისტი იყო, ბიძები კი სახალხო გვარდიის წევრები. მაშინ ასეთი რამეებისთვის დიდი მიზეზების ძიება არ სჭირდებოდათ... ერთი სიტყვით, დეიდამ უსიტყვოდ დაიწყო თბილი ტანსაცმლის ჩალაგება. შენ ჯერ პატარა ხარ და არ წაგიყვანენ, ნათლიაშენთან გადადი და ის შეგიფარებსო. თან ცრემლებს იწმენდდა, ციმბირისთვის ემზადებოდა... ამ დროს ეზოდან ძახილი შემოგვესმა. მახსოვს, შიშისგან ცივმა ოფლმა დამასხა. დეიდას მუხლები აუკანკალდა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე...

— თქვენც მოგადგნენ?

— არა, ჩვენ გადავრჩით. მეზობელი ყოფილა, დანა უნდოდათ, ღორი რომ დაეკლათ და ხორცი გზაში საგზლად წაეღოთ. ერთი სიტყვით, გადაასახლეს. ასეა, ხალხი მაშინ მუდმივად შიშის ქვეშ იყო. ყველაფრის გვეშინოდა, ნებისმიერ სიტყვას ვუკვირდებოდით და ვუფრთხილდებოდით, რომ ცუდად არ შემოგვბრუნებოდა. მით უმეტეს, ჩვენს ოჯახს გაფაციცებით უყურებდნენ, რადგან აქ რეჟიმის ამდენი მოწინააღმდეგე დაიბადა. ყველაფერი არ მახსოვს, მაგრამ დეიდებისგან მსმენია, რა დღეები გვაქვს გამოვლილი. მათი შიში მეც გადმომედო. და მაინც, დებს შორის ყველაზე უფროსი, ჩემი გამზრდელი დეიდა, რწმენითა და უფლის სიყვარულით ცხოვრობდა. ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე, ალიონზე დგებოდა და ჯიხეთის მონასტერში, რომელიც ჩვენგან საკმაოდ შორს არის, ფეხით მიდიოდა. ჩუმად ღებავდა საადგომო კვერცხებს, საშობაო ღვეზლებს აცხობდა...

— თქვენზე რას გვეტყვით, გარდა იმისა, რომ დეიდამ გაგზარდათ...

— დიახ, დედა (მარინე) ადრე დამეღუპა, 7 წლის დავობლდი. გამზრდელ დეიდას, პატკოს ქმარი 1937 წელს გადაუსახლეს. მან თავისთან წაიყვანა ერთი გაუთხოვარი დეიდა, ქეთევანი (იგივე თამარი). მეც შვილივით მიპატრონეს. შვილი არც ერთს არ ჰყავდა. ჩემი მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ, ახლანდელ კოსტავას ქუჩაზე, ფილარმონიის ქვემოთ. სანამ დედა ცოცხალი იყო, თბილისში ვიზრდებოდი, შემდეგ დეიდასთან, სოფელ შუხუთში წამიყვანეს...

მაშინ, უმაღლესში რომ ჩაგებარებინა, სადმე უნდა გემუშავა. ერთი დეიდა კაჭრეთში იყო გათხოვილი და იქ მომაწყვეს ფერმაში, სადაც რამდენიმე თვე ვიმუშავე. შემდეგ უმაღლესში ჩავარე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და 30 წელი გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ვმუშაობდი... ასე წვალებით მოვედით აქამდე. სამი შვილი მყავს, ერთი გოგო და ორი ბიჭი, სამივე დაოჯახებულია. გოგოს იტალიელი მეუღლე ჰყავს. არ მინდა, ჩემს სიძეს ვაწყენინო, მაგრამ სიმართლე ღმერთსაც გაუხარდება, იმ კარგ იტალიელს, ერთი ქართველი გლეხის კაცი მერჩივნა... ბიჭებისგან ხუთი შვილიშვილი მყავს, მადლობა უფალს, რომ ისინი მაჩუქა.

ლალი პაპასკირი

სიმონის დები — კალენტი და პატკუ (ნინა)

გამოცხადებული სიკვდილის ქართული ქრონიკა

გვარდიის საგანგებო ბატალიონის მეთაურის, სიმონ ხუხუნაიშვილის თვითმკვლელობის სულის შემძვრელი ისტორია

1919 წლის 6 სექტემბერს დღის 2 საათზე, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, სადაც სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, გვარდიის მთავარი შტაბიც იყო განთავსებული, ამ შტაბის სხდომაზე რევოლვერის გასროლის ხმა გაისმა. როგორც მომდევნო დღეების პრესაში დაიწერა, შტაბში თავი მოიკლა გვარდიის საგანგებო ბატალიონის მეთაურმა, სომხეთ-საქართველოს ომის გმირმა სიმონ ხუხუნაიშვილმა. რა მოხდა ისეთი ამ სხდომაზე, რამაც სიმონა, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ, ამ ზომამდე მიიყვანა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში საისტორიო არქივსა და იმდროინდელ პრესაში მოპოვებული ინფორმაცია და თავად ვალიკო ჯუღელის დღიურის ჩანაწერები დაგვეხმარება.
ეს ამბავი პირველად ქვეყნდება და სიმონ ხუხუნაიშვილის ნათესავებიც ჟურნალის ამ ნომრიდან შეიტყობენ მომხდარი ტრაგედიის დეტალებს.

სანამ ახალგაზრდა და პოპულარული სამხედრო მეთაურის ტრაგიკულ აღსასრულზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვა მის საბრძოლო გზაზეც ვთქვათ. სიმონ ხუხუნაიშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჩაება ომში და აღმოსავლეთის ფრონტზე ებრძოდა გერმანიისა და ავსტრიის საარმიო ნაწილებს. რევოლუციის შემდეგ სიმონი

საქართველოს მთავრობა, დამფუძნებელი კრება და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში განთავსდა (ხედი შიდა ეზოს მხრიდან)

საქართველოში დაბრუნდა და გურიაში მოხალისეთა რაზმის ოფიცერი გახდა. მისმა რაზმმა თავი გამოიჩინა თბილისში რევოლუციური ანარქიისას წესრიგის დამყარებაში. შემდეგ, რაზმთან ერთად, სიმონი პირველ ჯავშნოსან მატარებელში საკუთარ რაზმთან ერთად ჩაირიცხა. მონაწილეობდა ჩოლოქის ბრძოლაში 1918 წლის 7 აპრილს, როცა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართველებმა ოსმალურ სამხედრო შენაერთებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მოწინააღმდეგეს შემდგომი წინსვლის შესაძლებლობა მოუსპეს. მონაწილეობდა შავი ზღვის სანაპიროზე 1918 წლის ზაფხულში სოხუმი-ტუაფსეს ოპერაციაში და აქ მიღწეული დამსახურებებისთვის განსაკუთრებული (საგანგებო) ბატალიონის მეთაურად დანიშნეს.

ბატალიონის მეთაურის რანგში სიმონმა საბრძოლო ნათლობა 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დროს მიიღო. სწორედ მის მიერ განხორციელებულმა ღამის მარშმა იხსნა ეკატერინენფელდში (დღევანდელი ბოლნისი) უხეიროდ განლაგებული გვარდიის ნაწილები მარცხისგან და ქართველებმა 19 დეკემბერს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. სიმონის ბატალიონი სანდარიდან (დღევანდელი მარნეული) წამოწყებული ღამის მარშით ეკატერინენფელდში დილის 5 საათზე ჩავიდა, მტერმა კი ქართულ ნაწილებზე იერიში 6 საათზე მიიტანა. ვალიკო ჯუღელის თქმით, სიმონის ბატალიონს რომ რამდენიმე საათით დაეგვი-

სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი

„ისტორიანის“ 2014 წლის თებერვლის ნომრის გარეკანზე გამოქვეყნებული სიმონ ხუხუნაიშვილის სწორედ ეს ფოტო შენიშნეს მისმა ნათესავებმა

ანებინა, სრულ კატასტროფას განიცდიდნენ. ხუხუნაიშვილი გმირობის მაგალითს თავად აძლევდა საკუთარ მებრძოლებს: „სიმონა იდგა მებრძოლთა პირველ რიგში და თავისი მაგალითით ყველას ამხნევებდა. მისი წვრილი, მაგრამ მკაფიო და მტკიცე ხმა სერავდა ყინვიან ჰაერს და შორს გადადიოდა“. ეკატერინენფელდში გამარჯვების შემდეგ, ხუხუნაიშვილი გმირულად იბრძოდა ბოლნის-ხაჩინისა (ახლანდელი სოფელი ბოლნისი, ქალაქ ბოლნისიდან 9 კილომეტრში) და სოფელ დაღეთ-ხაჩინისთვის მიმდინარე ბრძოლებში. მიუხედავად იმისა, რომ ყურში დაიჭრა, ბრძოლის ველი არ მიუტოვებია.

სიმონმა თავი გამოიჩინა 1919 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის ფრონტზე დენიკინის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში. 17 აპრილის დილას დაწყებული შეტევის დროს ის საკუთარი ბატალიონით უტევდა მარჯვენა ფლანგიდან და მნიშვნელოვანი მაღლობი დაიკავა. თუმცა შეტევის დაწყებამდე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ღამით ადიდებული მდინარე ბზიფის გადალახვა, რასაც მთელი ღამე დასჭირდა.

რა მოხდა ამის შემდეგ? რამ მიიყვანა პოპულარული და წარმატებული სამხედრო მეთაური თვითმკვლელობამდე? 1919 წლის ზაფხულში გვარდიის შტაბს საველე შტაბიდან მოუვიდა შეტყობინება სიმონ ხუხუნაიშვილის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ. ვალიკო ჯუღელმა მოითხოვა საქმის გულდასმით გამოძიება, რათა ტყუილად არავის მოეცხო ჩირქი საუკეთესო გვარდიელის სახელისთვის. საგამოძიებო კომისია საქმიანობას განაგრძობდა, როცა ვალიკო ჯუღელი და სიმონ ხუხუნაიშვილი თბილისში, სასახლის ეზოში შეხვდნენ ერთმანეთს. სიმონმა თავი იმართლა, მაგრამ გამოტყდა, რომ ორი ყალბი ანგარიში დაწერა, მაგრამ ამ ანგარიშების მეშვეობით აღებული ფული გვარდიელებს გადასცა დამატებითი სამსახურისთვის და საკუთარ ჯიბეში კაპიკიც არ ჩაუდევს. გვარდიის მეთაურმა მას უსაყვედურა. ამასობაში კომისიამ დაადგინა, რომ მთელი „ბოროტმოქმედება“ გამოიხატებოდა 5-6 ათას მანეთში (შედარებისთვის: 1919 წლის ზაფხულში ბატალიონის მეთაურის თვიური ხელფასი შეადგენდა 2500 მანეთს). თუმცა ძიება ბოლომდე არ იყო დასრულებული და გვარდიის მთავარი შტაბი იმედოვნებდა, რომ საქმეს ჯეროვნად გამოიძიებდნენ, სიმონს დაუსჯელად არ დატოვებდნენ, მაგრამ არც ბოლომდე გასწირავდნენ. მთავარ შტაბს იმედები გაუცრუვდა, როდესაც საველე შტაბმა სიმონის ორი წერილი გამოუგზავნა, სადაც იგი მეგობრებს ყალბი ანგარიშების მოპარვასა და მისი ჩვენების მსგავსი ჩვენების მიცემას სთხოვდა. ამიტომაც საველე შტაბმა სიმონის დაპატიმრება მოითხოვა.

გვარდიის მთავარმა შტაბმა სიმონი გამოიძახა და ისიც 6 სექტემბრის, დილით გამოცხადდა შტაბში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის შენობაში. სწორედ იქ, იმ დღეს მოიკლა მან თავი. მისი თვითმკვლელობის გარემოებები დეტალურად აღწერა ვალიკო ჯუღელმა გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 11 სექტემბრის ნომერში და კიდევ უფრო დეტალურად თავის დღიურში. ჯუღელის ჩანაწერები „მძიმე ჯვარის“ სახელწოდებით 1920 წელს გამოიცა.

სახალხო გვარდიელები სოჭში, რიგში მარცხნიდან მეექვსე — ვალიკო ჯუღელი

შტაბის სხდომაზე სიმონს პირდაპირ წაუკითხეს მის მიერ დაწერილი ორი წერილი და გამოუცხადეს, რომ მთავარმა შტაბმა მისი დატუსაღება გადაწყვიტა. სიმონი გაშრა და ითხოვა, არ დაეპატიმრებინათ. ჯუღელი გაბრაზდა და უპასუხა, რომ: „როგორ თუ ნუ დაგატუსაღებ? შენ თვითონ უნდა ითხოვდე დატუსაღებას და საქმის სასტიკ გამოძიებას!“ მთელი ამ საუბრის დროს სიმონს მარჯვენა ხელი ჯიბეში ქონდა ჩაყოფილი. ყველა ხვდებოდა, რომ მას ჯიბეში იარაღი ედო. გვარდიის შტაბში სიჩუმე ჩამოწვა. ხმას ვერავინ იღებდა, ძალიან უჭირდათ მათთვის ძალიან ახლობელი და გამორჩეული გვარდიის მეთაურის ამ მდგომარეობაში ხილვა. ვალიკო ჯუღელმა გვარდიელები გვერდით ოთახში გაიწვია სათათბიროდ, რუბენ აუშტროვმა უთხრა, სიმონის გვერდით დავჯდები და იარაღის ამოღებისა და თვითმკვლელობის საშუალებას არ მივცემო. სანამ ჯუღელი და აუშტროვი ლაპარაკობდნენ, სიმონს აუღია კალამი ხელში და

გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და 6 სექტემბრის სხდომის მონაწილე რუბენ აუშტროვი



სამძიმრის დეპეშა გვარდიის მთავარ. შტაბს. ამხანაგ ხუხუნაშვილის ტრაგიკულად სიკვდილმა ჭეთათური ამხანაგები ძლიერ დაგვალონა, გმირი იყო და გმირული გამოსავალი ნახა. თავმჯდომარე ჭუმბურიძე.

სამძიმრის დეპეშა. გამოქვეყნდა გაზეთ „ერთობაში“

№ 12

სიმონ ხუხუნაშვილი

ბელოვნების მეგობელი

სიმონ ხუხუნაიშვილის ნეკროლოგი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1919 წლის მე-12 ნომერში

დაუწერია: „ძვირფასო დედა და მამა...“ ამ დროს მას სტაცეს ხელი ვასო გოგიშვილმა და კოლია ორაგველიძემ და იარაღი ჯიბიდან ამოაცალეს. იარაღაყრილი სიმონი ითხოვდა, ბორკილასხმული არსად წამიყვანოთ, არ შემარცხვინოთ, ან მომკალით, ან კიდევ იარაღი დამიბრუნეთ და თავის მოკვლის საშუალება მომეცითო. შტაბის წევრები მკვდრებივით გახევდნენ, აღარ იცოდნენ რა ექნათ. ვალიკო ჯუღელმა ისინი სასახლის ბაღში კიდევ ერთხელ გაიწვია სათათბიროდ. ჯუღელმა მათ განუცხადა: „მე მივცემ მას იარაღს და ვეტყვი: — შენ ყოველთვის გმირი იყავი და გმირად უნდა მოკვდე! მიდი, შენ თვითონ გადაწყვიტე შენი ბედი“. მას ყველა დაეთანხმა და ჩათვალეს, რომ სიკვდილი სიმონისთვის ერთადერთი საშველი იქნებოდა. შტაბის წევრები შებრუნდნენ სიმონთან, ვალიკო ჯუღელმა სიმონთან ერთი-ერთზე დარჩენა ითხოვა. ხუხუნაიშვილმა ისევ ითხოვა იარაღის მიცემა, ჯუღელი დათანხმდა და უთხრა: „შენ ყოველთვის გმირი იყავი, შენ ყოველთვის იყავი ძალიან ძვირფასი ჩვენთვის, პირადად ჩემთვის კი ძმაზე ძვირფასიც კი (ვალიკო ჯუღელის ძმა ილიკო და სიმონ ხუხუნაიშვილი უახლოესი მეგობრები იყვნენ და პირველ მსოფლიო ომში ერთ შენაერთში იბრძოდნენ) და შენ უნდა დარჩე გმირად ბოლომდე. ჩვენ გაგიყვანთ მუხარინსკის ოთახში და იქ შეძლებ, გადაწყვიტო საკუთარი ბედი“. სიმონმა ფანქარი და ოთახამდე გაცილება ითხოვა. ოთახში შესვლამდე ვალიკომ და სიმონმა ხელი ჩამოართვეს და გადაკოცნეს ერთმანეთი. ვალიკო ჯუღელი წერდა, რომ იგი, რომელსაც არ უტირია ძვირფასი სანდროს ცხედართან (იგულისხმება ეკატერინენფელდის ბრძოლაში დაღუპული, გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი სანდრო მაისურაძე), ბავშვივით ატირდა. ოთახში შესვლიდან სამიოდ წუთში გაისმა სროლის ხმა და გვარდიის საგანგებო ბატალიონის მეთაურმა, სომხეთ-საქართველოს ომის გმირმა თავი მოიკლა. ოთახში შესულ შტაბის წევრებს სიმონის მიერ დატოვებული ორი წერილი დახვდათ, ერთი მშობლებისადმი, ხოლო მეორე ვალიკო ჯუღელის ძმისადმი: „ილიკო!, ხელიც წამიხდა... უბედურობა მეწვია. ტყულათ დავიკარგე, ძმობა რომ შეგფიცე, მაინც არ გავტეხე და ეს არის, ვიღუპები... ვიღუპები, მაგრამ მართლათ, თქვენ კი გაიმარჯვეთ... ხა, ხა, ხა!.. ბიჭო, სარდიონს მოუარე. უკანასკნელი სალამი ყველას. სიმონა“.

სახალხო გვარდიელი ილიკო ჯუღელი — ვალიკო ჯუღელის ძმა და სიმონ ხუხუნაიშვილის უახლოესი მეგობარი. სიმონმა წერილი, მშობლების გარდა, მხოლოდ ილიკოს დაუტოვა

8 სექტემბერს სიმონის ცხედარი თბილისიდან მშობლიურ სოფელ აკეთში გადაასვენეს, მის ნეშტს მიაცილებდნენ თბილისის ყველა რაიონის გვარდიელები. 11 სექტემბერს სიმონი მიწას მიაბარეს. მის დაკრძალვას ბევრი ადამიანი დაესწრო. იქ იყვნენ ოზურგეთისა და ლანჩხუთის გვარდიელები, უკრავდა სამხედრო სასულე ორკესტრი. გვარდიის მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა კი სიმონის შესახებ დაწერილი ნეკროლოგი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „გმირი გმირულად მოკვდა! სიმონ ხუხუნაიშვილის სიკვდილი კი მუდამ ჩვენი ზნეობის გვირგვინი იქნება“.

დიმიტრი სილაძაძე

ისტორიის დოქტორანტი

არქიეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის ძეგლი ახალქალაქში

ვინ იყო არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი?

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1828-1829) ოსმალები ეჭვობდნენ, რომ სომხები რუსის ჯარს გაუწევდნენ დახმარებას. მათი ვარაუდი საფუძვლიანი აღმოჩნდა. ადგილობრივი სომხები, ოსმალოთა ჯარის გადაადგილების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ რუსებს, უწევდნენ მეგზურობას. ამის შესახებ სომეხი ისტორიკოსები დუმან, ან ძუნწად აღნიშნავენ, ისევე როგორც პროფესორი კარო ღაფადარიანი: „ადრიანოპოლის ზავის შემდეგ (1829), როცა რუსის ჯარმა დატოვა კარინი, ყარსი, ბაიაზეთი და ისინი დაუბრუნა თურქებს, ამ პროვინციებში მცხოვრებ სომხებს შეეშინდათ თურქი მტარვალების და მოინდომეს გადასახლება და დამკვიდრება რუსეთის იმპერიაში“.

თურქებმა გაუხსენეს სომხებს განდგომა და სამაგიეროს გადახდა მოინდომეს. იყო შურისძიების შემთხვევები, მაგრამ ეს არ მომხდარა ფართო მასშტაბით, უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ეს მომენტი გამოიყენა არქიეპისკოპოსმა კარაპეტ ბაგრატუნმა. სიტუაცია უფრო მძიმედ, ტრაგიკულად დახატა, შეადგინა გენერალ ივან პასკევიჩის სახელზე მიმართვა, რომელშიც სთხოვდა, კარინისა და ერზრუმის სომხები რუსეთის იმპერიის საზღვრებში — კერძოდ, ახალციხესა და მის მიმდებარე სოფლებში დაესახლებინა. წამომსვლელთა რიცხვი ჯერ მცირე ყოფილა, შემდეგ სწრაფად გაზრდილა. ამ თხოვნას ხელს აწერდნენ კარინის წარჩინებული პირები — ვართაპეტები, მაჰტესები და ერესფოხანები.

გენერალ პასკევიჩისადმი გაგზავნილ თხოვნაში რამდენიმე პირობა იყო წამოყენებული. მათგან საინტერესოა შემდეგი:

1. ჯავახეთში შემოსახლებული სომხების

სოფლებში სხვა ეროვნების (იგულისხმება ქართველობა. — ბ. ა.) ხალხს არ უნდა ეცხოვრა;

2. შემოსახლებულ სომხებს თავიანთი ეროვნული სასამართლო უნდა ჰქონოდათ (ე.ი. სომხური უნდა ყოფილიყო სასამართლოს ოფიციალური ენა. — ბ. ა.);

3. შემოსახლებული სომხები დროებით გადასახადებისგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ.

მეფის მთავრობამ ამ მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთი შეუსრულა და ისინი რამდენიმე წლით გადასახადებისგან გაათავისუფლა. ფულადი დახმარებაც გაუწია — 25 მანეთი დაურიგა თითოეულ ოჯახს.

რუსეთი სომხებს ერთგულ და საიმედო ძალად მიიჩნევდა, როგორც აპოლიტიკურ ხალხს. ამიტომ ყოველნაირად უწყობდა ხელს არქიეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის, რათა ჯავახეთის ქართულ ძირძველ მიწაზე სომხები მყარად დაემკვიდრებინა. რუსეთის საზღვრის გასწვრივ იმპერიის ერთგული ხალხის დასახლებით, ეს მხარე საიმედოდ იქნება დაცულიო, განაცხადა მეფე ნიკოლოზ პირველმა მესხეთში მოგზაურობის დროს (1837).

მკითხველს მოკლედ გავაცნობ **არქიეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის** ბიოგრაფიას (1779-1856). იგი პროვინცია სპერის მკვიდრი იყო. ვინაიდან სპერი ქართველი ბაგრატიონების პირვანდელი სამკვიდრო იყო, ამიტომ აიღო გვარად მისი სომხური ფორმა — ბაგრატუნი (პაპამისი ატარებდა ერზინკ-ოღლის გვარს). წამომსვლელთა პირველ ნაკადს თვითონ წამოუძღვა და როცა ჯავახეთის ქართულ მიწაზე დაადგა ფეხი, ეპისკოპოსის ჯოხი დაჰკრა მიწას და დაიძახა: **„შვილებო, სომხური მიწიდან მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვედითო“!**

სომეხთა ჯავახეთში შემოსახლების ინიციატორი არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი და გენერალი ვალერიან მადათოვი (ამ საქმეში მას ლომის წილი მიუძღვის) შორს იყურებოდნენ. 1829 წელს, როცა სომხები შემოასახლეს ჯავახეთში, მაშინ აქ 90% ქართველები იყვნენ — ქრისტიანიც და გამუსლიმანებულიც, დანარჩენები — თარაქამები, ქურთები, ებრაელები და, მცირე რაოდენობით — სომხები. აქ შემოსახლების შემდეგ დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი სომხების სასარგებლოდ. ამ ხელოვნურმა ფაქტორმა განსაზღვრა შემ-

გენერალი ვალერიან მადათოვი

გენერალი ივან პასკევიჩი

დრამატურგი გალუსტ შერმაზან-ვარდანიანი

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I

დგომ, რომ დაშნაკები, სომეხი ბოლშევიკები და დღეს სეპარატისტები მოითხოვენ — ხან ჯავახეთის ავტონომიას, ხან სულაც მიერთებას სომხეთთან.

კარაპეტ ბაგრატუნის სომხებმა დაუფასეს ამაგი და დღეს მისი ძეგლი ამშვენებს ჯავახეთის ქართულ მიწას — ახალქალაქში.

რუსებმა, ერევნის სახანო რომ შემოიერთეს (1828), მაშინ ამ მხარის გუბერნატორი იყო პოეტი **ალექსანდრე ჭავჭავაძე**, რომელმაც განუსაზღვრელი ღვაწლი დასდო ერევნის გუბერნიის აღორძინება-აყვავებას.

ვფიქრობ, ქართველი კლასიკოსი პოეტის ძეგლი მართლაც დაამშვენებდა ერევანს. ეს იქნებოდა მადლიერების დასტური, მის მიერ გაღებული ამაგისა სომეხი ხალხის მიმართ.

არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი ეჩმიაძინმა 1837 წელს საქართველოს სომხური ეპარქიის წინამძღოლად გაამწესა. ამ თანამდებობაზე იყო გარდაცვალებამდე. ჯავახეთში მისი საქმიანობის შესახებ ცნობილია, მაგრამ საქართველოს სომხური ეპარქიის წინამძღოლობის წლებში (1837-1856) მისი მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცოდით. ვგულისხმობ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას. ეს პიროვნება საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღოლობისას (თბილისში, ვანქის ტაძრის ეზოში იყო საეპისკოპოსოს მართვა-გამგეობა) პატიოსნებით არ გამოირჩეოდა. ამას მოწმობს დრამატურგ **გალუსტ შერმაზან-ვარდანიანის** (1814-1891) პიესა — **„ტაიქელი დევნილების წინამძღოლის, ეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის თაღლითური საქმენის აღწერა“**. პიესა დაწერილია 1830-იან წლებში და დაკარგულად ითვლებოდა 1950-იან წლებამდე. პიესა მატენადარანის საცავში იპოვა მკვლევარმა **ასატურ მნაცაკანიანმა**, რომელმაც გამოაქვეყნა იგი შესავლითა და კომენტარებით.

გალუსტ-შერმაზან-ვარდანიანი დაიბადა 1814 წელს ძველ ჯულფაში. მამა — **არუთინ ვარდანიანი** სპარსეთის შაჰის ხაზინას განაგებდა. ერთგული სამსახურისთვის შაჰმა მისცა ტიტული **„შერმაზან“** და თვითონაც გვარს — ვარდანიანს დაუმატა „შერმაზანი“. მათი ოჯახი 1818 წელს საცხოვრებლად გადავიდა ძველ ნახჭევანში, შემდეგ არქიეპისკოპოს **ნერსე აშტარაკეცის** მოწვევით — თბილისში. 1825 წელს შევიდა ნერსესიანის სემინარიაში და 1828 წელს დაამთავრა. გალუსტ შერ-

ეჩმიაძინის კათედრალი

მაზან-ვარდანიანი თბილისის მერადაც კი აირჩიეს 1864-1865 წლებში. სხვათა შორის, იგი იყო პირველი „ახალმოსული“ არჩეული ქალაქის მერი, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია თბილისის მოსახლეობაში, რადგანაც, წესისამებრ, მერად ტრადიციულად ირჩევდნენ მხოლოდ ქალაქის მკვიდრს, რომელსაც მოქალაქეობა ჰქონდა მინიჭებული. გალუსტ შერმაზან-ვარდანიანი კი „ახალმოსული“ იყო. მან ეს წინააღმდეგობა გადალახა და ქალაქის მერი გახდა. მის დროს, 1865 წელს, მოხდა „ამქრების“ ცნობილი გამოსვლა, რაც გამოწვეული იყო გადასახადების გაზრდით. უკმაყოფილო თბილისელმა ამქრებმა გაფიცვა გამოაცხადეს, რაც არეულობაში გადაიზარდა. გაფიცულები მიეჭრნენ ქალაქის მერს გალუსტ შერმაზან-ვარდანიანს და სახლ-კარი დაურბიეს. ამ დროს განადგურდა მისი ცნობილი ბიბლიოთეკა და ნაწერები, თვითონ სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ბეგარის ამკრეფი **ბაჟბეუქ-მელიქოვი** კი საკუთარ სახლში მოკლეს. „ამქართა“ ამ გამოსვლაში აქტიური მონაწილეობა მიუღია სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელს, „პეპოს“ ავტორს — **გაბრიელ სუნდუკიანს**.

გალუსტ შერმაზან-ვარდანიანის ლიტერატურულ მოღვაწეობას რაც შეეხება, გარდა აღნიშნული პიესისა, მას ეკუთვნის „სარიბეკი და გიქო“, „ჩემი სასიძო არაზი“, „ნაციონალური ქორწილი“, „ანეკდოტები... მხიარული საუბრები“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში ასახულია სომეხთა ცხოვრება, ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის, ძველი ადათ-წესები, ხალხური სიმღერები და სხვ. მას ეკუთვნის აგრეთვე ენციკლოპედიური სახის ნაშრომი — „ბიოგრაფიები სპარსულიდან გამოსულ სომეხი მოღვაწეების შესახებ“...

როგორც აღვნიშნეთ, გალუსტ შერმაზან-ვარდანიანმა 1830-იან წლებში დაწერა პიესა „ტაიქელი დეენილების წინამძღვრის, ეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის თაღლითური საქმენის აღწერა“. პიესა რეალურ ცხოვრებას ასახავს და მისი გმირებიც თავიანთი ნამდვილი გვარ-სახელებით არიან გამოყვანილი.

დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი

მასში მოქმედი გმირების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი გმირები არიან არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი, თევზის ვაჭარი — მდიდარი მელიქი, თერძების უსტაბაში და სხვ.

არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი ტიპური წარმომადგენელია სომხური მაღალი სასულიერო პირისა, რომელიც ანგარებით გამოირჩევა. **„რუსეთის სომხებს შორის ეს არის პირველი კომედია, რომელშიც გადმოცემულია არქიეპისკოპოსის კარაპეტ ბაგრატუნის და მისი მექრთამე მეგობრის, თევზის ვაჭრის მელიქის ვაჭრული მაქინაციები. ეს გენიალური ნაწარმოები ხელნაწერის სახით საიდუმლოდ ხელიდან ხელში გადადიოდა იმ დროის თბილისის ლიტერატორთა შორის. არქიეპისკოპოსმა კარაპეტ ბაგრატუნიმ სთხოვა პოლიცმაისტერს, მოეძებნა კომედიის ავტორი, მაგრამ ვერ მიაგნო პოლიციამ“**, — წერდა თავის დროზე ალ. ერიციანი.

რა თქმა უნდა, ეს პიესა გენიალური არ არის, როგორც ალ. ერიციანი უწოდებს, მაგრამ გალუსტ შერმაზან-ვარდანიანმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა სომხური კლერიკალური საზოგადოების წინააღმდეგ და ამხილა მათი მოჩვენებითი პატიოსნება და საჯაროზე გამოიტანა მათი თაღლითური კომერციული საქმიანობა. სხვათა შორის, პიესა დაწერილია თბილისისა და ახალციხის სომხურ დიალექტზე, ამიტომ მასში გვხვდება ქართული სიტყვები: დიახ, ეგება, განა, ძლივ, მაგრამ, მუშტიკრივი, უფრო, ოდა და სხვ.

ძველი თბილისელების დაცინვისა და გაქილიკების საგანი გამხდარა არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი, მისი ანგარებიანი საქმიანობის გამო. ეს კი თბილისის ზეპირსიტყვიერებაშიცაა ასახული. ამის შესახებ წერს თბილისის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარი, პროფ. თეიმურაზ ბერიძე:

„თბილისის სომეხთა ეპარქიის არქიეპისკოპოსს — კარაპეტას ცალი თვალი ჰქონია და მასაც გამოუთქვეს ლექსი:

ქალაქში მოსულა წითელი ბალი,
სომხის არქიელს არა აქვს თვალი“.

ალბათ კვლავ გაჩნდება კითხვა: მაინც ვინ იყო არქიეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი?..

გონდო არველაძე

ჟურნალთან ერთად
შეაგროვე 2014 წლის
მსოფლიო ჩემპიონატის
ფავორიტების
პოსტერები!

ყველა დროის საყვარელი სპორტული გაზეთი ყოველდღე
ყოველ შაბათს „ლელო“ ჟურნალის სახით!

„ჩინეთის არმიის გენერალი სი და მა — გორელი გიორგი სიდამონიძე“

გენერალი გიორგი სიდამონიძე ჩინეთის არმიაში 1923-1945 წლებში მსახურობდა. მიღებული ჰქონდა ჩინეთის არმიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. იქ მას გენერალ სი და მას სახელით იცნობდნენ.

შანდუნის დივიზიის რუსული ბრიგადის მეთაური გენერალი გიორგი სიდამონიძე (ლეგენდარული გენერალი სი და მა).

გიორგი კონსტანტინეს ძე სიდამონიძე 1896 წლის 26 დეკემბერს ქალაქ გორში დაიბადა. დაამთავრა ტფილისის პრაპორშჩიკთა პირველი სკოლა. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა 299-ე ქვეით პოლკში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის შტაბსკაპიტანი სიდამონიძე „წმ. ვლადიმირის“ IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მარშალი ჩჟან ცოლინი

სამოქალაქო ომში, აღმოსავლეთის ფრონტზე, თეთრების მხარეს იბრძოდა (1918 წლიდან) მსახურობდა 1-ელ სახალხო პოლკში, ქალაქ უფაში (შემდგომში უფის მე-13 პოლკში). 1918 წლიდან კაპიტანი გახდა, ხოლო მომდევნო წელს — პოდპოლკოვნიკი და უფის მე-13 პოლკის მეთაურადაც დაინიშნა.

მონაწილეობდა ციმბირის „დიდ ყინულოვან“ ლაშქრობაში — ადმირალ კოლჩაკის არმიის აღმოსავლეთისკენ უკან დახევაში, თითქმის 2000 კილომეტრზე 1920 წლის 12 მარტს პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა, ხოლო 15 ნოემბრიდან უფის მე-2 დივიზიას ჩაუდგა სათავეში, რომელთან ერთად მთელი იმიერბაიკალი და ზღვისპირეთი გაიარა.

1921 წლის მარტიდან კვლავ მეთაურობდა პოლკს უფაში, მონაწილეობდა ხაბაროვსკის ლაშქრობაში და ორჯერ დაიჭრა ბრძოლებში. მომდევნო წლის 2 ნოემბერს, თეთრი არმიის ბოლო ნაწილებთან ერთად, ჩინეთში გადავიდა.

ემიგრაციაში გიორგი სიდამონიძე მანჯურიაში, ქალაქ გირინში ცხოვრობდა. 1923 წელს მარშალ ჩჟან ცოლინის არმიაში შევიდა, სადაც 27 წლის ასაკში გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭეს და შანდუნის დივიზიის რუსული ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. ბრიგადა დაკომპლექტებული იყო მოხალისეებით, რომლებიც ადრე თეთრ არმიებში მსახურობდნენ.

მონაწილეობდა ჩინეთში გაჩაღებულ სა-

თეთრი არმიის ყოფილი წევრები ჩინეთში წვრთნებს გადიან

მოქალაქე ომში (1924-1928 წწ.). მარშალმა ჩჟან ცუჩანმა გენერალ-მაიორი გიორგი სიდამონიძე 1926 წლის 9 დეკემბერს „უდიდესი თავთავის“ II ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. მარშალმა თავის სამადლობელ სიტყვაში განაცხადა: „ლეგენდარული გენერალი სი და მა ჯილდოვდება პირადი მამაცობისთვის, ბოლშევიკებთან და მათ მოკავშირეებთან ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისთვის“. 1927 წლის ბოლოს რუსული ჯგუფის ბაზაზე 109-ე ცალკეული ბრიგადა შეიქმნა, რომლის მეთაურადაც გენერალი გიორგი სიდამონიძე დაინიშნა.

მომდევნო წლებშიც გენერალი ჩინეთში დარჩა და 1945 წლის სექტემბრიდან კი ქალაქ შანხაიში გადაბარგდა, მას შემდეგ, რაც მანჯურია საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს. შანხაიში სიდამონიძე დაკავებული იყო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. შედიოდა „რუსეთის საერთო-საჯარისო კავშირში“ და იყო რუსი ემიგრანტების საქმეთა ბიუროს წევრი.

1949 წელს, შანხაიდან რუსების სასწრაფო ევაკუირებისას, ბევრმა რუსმა, რომელიც ჩინეთის ნაწილებში მსახურობდა, თავისი ჯილდოების გაყიდვა დაიწყო, ოღონდ კი რამე თანხა მიეღოთ. ასე დაემართა გენერალ სიდამონიძესაც, რომელმაც „უდიდესი თავთავის“ ორდენი გაყიდა. ის დღეს კერძო კოლექციონერის საკუთრებაა.

შანხაის დატოვების შემდეგ გენერალი აშშ-ში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა 1971 წელს, 75 წლის ასაკში, სან-ფრანცისკოში. გიორგი სიდამონიძე იქვე დაკრძალეს.

მამუკა გოგიტიძე

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი

გენერალ-მაიორი სიდამონიძე „უდიდესი თავთავის“ ორდენით დააჯილდოვა მარშალმა ჩჟან ცუჩანმა

ორდენის მეორე მხარეს წარწერაა ჩინურ ენაზე — „გენერალი სი და მა“

ნორვეგიაში თითო ძველ სახლზე თითო ტბა თუ არა, თითო გუბურა მაინც მოდის. ავტორის ფოტოები

ნორვეგია
ტბებისა და მუზეუმების ქვეყანა

თუ ბოლო წლებში ზაფხულობით მაინც ამოდიხართ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ მუზეუმს რომ ეძახით „შინაურულად“, აუცილებლად შენიშნავდით ქართველი დურგლების გვერდით უცხოელებს — მაღალ, თეთრ, ქერათმიან ნორვეგიელებს, ძველქართულ სახლებს რომ აღადგენენ. რამდენიმე წელიწადია, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ოსლოს სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის პარტნიორობით, ნორვეგიელი მეცნიერები და დურგალ-მშენებლები ჩვენი მუზეუმის მასპინძლებადაც კი იქცნენ. ნორვეგიელებმა საქართველო ხომ შეიყვარეს, ახლა ქართველ მეცნიერებს ჩვენი ქვეყანა უნდა შევაყვაროთო და თავიანთ სამშობლოში მიგვიწვიეს.
ეს რეპორტაჟებიც ნორვეგიულ დღიურებს მოიცავს.

გზა ჩრდილოეთისკენ...

თბილისიდან გამთენიას გავფრინდით. სამ საათში რიგაში ვართ. რიგიდან იმავე თვითმფრინავით — ოსლოში საათ-ნახევარში. ვტოვებთ ბალტიის ზღვას, ქარვისფერ ქარვის სანაპიროს, რიგის უბეს. ნორვეგიას ესაზღვრება ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვასთან დამაკავშირებელი სრუტეებიდან ბოლო — სკაგერაკის სრუტე, რომლის ვიწრო და ხმელეთში ღრმად შეჭრილ ყურესთან მდებარეობს დედაქალაქი ოსლო. ნორვეგიას აკრავს ჩრდილოეთის, ნორვეგიისა და ბარენცის ზღვები. სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარე ნორვეგია მდიდარია ტბებითაც.

მკითხველმა ალბათ მშვენივრად იცის, რომ რუკაზე სკანდინავია ვეფხვივით გადაჭიმულა ევროპის ჩრდილო-დასავლეთში. ნახევარკუნძულზე განთავსებულია ნორვეგია და შვედეთი. ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, სკანდინავიის ქვეყნებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ისლანდიას, დანიასა და ფარერის კუნძულებს. სკანდინავიელი ხალხი ძველგერმანული ტომების შთამომავლები არიან, რომელთაც ცენტრალური ევროპიდან ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლეს. როგორც

ჩანს, ჯერ იუტლანდიის ნახევარკუნძულზე (სადაც დანია მდებარეობს) და შემდეგ უშუალოდ სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ეს უნდა მომხდარიყო ჩვენს ერამდე 2300-2200 წლის წინ. ისტორიულ-გეოგრაფიულად სკანდინავიის ქვეყნებთან ახლოსაა ფინეთიც, რომელიც ამ ქვეყნებთან ერთად შედის ფენოსკანდიის მხარეში.

სკანდინავიის ქვეყნებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ნახევარკუნძულს გერმანულენოვანი ტომების ახალმა ტალღამ გადაუარა, რომელთა შთამომავლებიც არიან დღევანდელი სკანდინავიელები.

ნორვეგია ყველაზე „გრძელი“ ქვეყანაა დასავლეთ ევროპაში. კონტინენტის უკიდურესი ჩრდილოეთის კონცხ ნორდკინიდან, ლილელსნესის კონცხამდე სამხრეთში, ის 1752 კმ-ზეა გადაჭიმული. ქვეყნის საერთო ფართობი 324 ათასი კვკმ-ია, რაც მეტია მაგალითად, დიდ ბრიტანეთზე ან იტალიაზე. მაგრამ ამ უზარმაზარ სივრცეზე ცხოვრობს დაახლოებით იმდენი ადამიანი, რამდენიც საქართველოში (დღევანდელი ოფიციალური მონაცემებით 4,5 მლნ). მკაცრი კლიმატური

მაიჰაუგენის მუზეუმში ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონა ეგებება სტუმრებს

ბუხართან, ეროვნულ სამოსში

ძველი საცხოვრებელი სახლები მაიჰაუგენში

ოლიმპიური ექო ლილეჰამერში

ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ამჯერად ქართველი მოგზაურები ვდგავართ (მარცხნიდან): ნოდარ შოშიტაშვილი, ელისო კიკნაძე და ნუგზარ მიქაძე

პირობების გამო ქვეყნის დიდი ნაწილი ფაქტობრივად დაუსახლებელია.

ნორვეგია მცირე ზოლით რუსეთსაც ესაზღვრება უკიდურეს ჩრდილოეთში. რუსეთთან მეზობლობის „სიკეთე“ მათ ჩვენსავით ბევრჯერ იწვნიეს. ჩვენი ღვინისა და „ბორჯომის“ მსგავსად, წუნი მსოფლიოში განთქმულ ნორვეგიულ ქაშაყს, ორაგულსა და თევზის კონსერვებსაც დასდეს.

ლილეჰამერი... ქარიშული დროშით

ლილეჰამერი პატარა საკურორტო ქალაქია, სულ 26 ათასი მცხოვრებით. აქ არის ნორვეგიის სამთო-სათხილამურო ცენტრი და სამუზეუმო ცენტრიც. ლილეჰამერს მაიჰაუგენის სკანსენის, ანუ ღია ცის ქვეშ მუზეუმის გამო მუზეუმების ქალაქს ეძახიან. თვით მაიჰაუგენი კი მაისის მთას ნიშნავს.

გახსოვთ ალბათ, რომ 1994 წელს ლილეჰამერმა ზამთრის მსოფლიო ოლიმპიადას უმასპინძლა. მაშინ ძნელად წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ ამ პატარა ოლიმპიურ ქალაქში აღმოვჩნდებოდი. ბუნებრივია, როცა მოგზაურობაზე ფიქრობ, პარიზს, მადრიდს ან რომს უფრო წარმოიდგენ, ვიდრე ასეთ პატარა ქალაქს... სხვათა შორის, მასპინძლებმა სიურპრიზიც მოგვიწყვეს — ქართველ მეცნიერებს ოლიმპიური კვარცხლბეკი დაგვითმეს, ადგილები გაგვინაწილეს და ჯილდოებიც გადმოგვცეს — 1994 წელს გამოცემული სამკერდე ნიშნები საქართველოს დროშის გამოსახულებით. მოგვიბოდიშეს, დროშა სამფეროვანია, მაშინ თქვენი სახელმწიფო დროშა ასეთი იყოო. სამკერდე ნიშნები ოლიმპიადის მონაწილე ყველა ქვეყნის დროშების მიხედვით მოამზადეს. ქართულდროშიან სამკერდე ნიშანს „თოვლის ქუდები“ ახურავს. ამ ოლიმპიადის ქართველმა მონაწილეებმა, ტრადიციულ ოლიმპიურ დევიზს უერთგულეს — მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა!

ქართულდროშიანი სუვენირი დღესაც იყიდება სამუზეუმო მაღაზიაში. აქაც და საერთოდ, ნორვეგიის მუზეუმების მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ სამუზეუმო ექსპონატების ასლები, ეროვნული ატრიბუტიკა და სუვენირები, მუზეუმის ლოგოთი დამშვენებული მაისურები თუ მკვიდრად ნაქსოვი ნორვეგიული ცხვრის მატყლის სამოსი. სხვათა შორის, ეს ტენდენცია მსოფლიოს ყველა მუზეუმშია

ასეთი იყო ძველი ნორვეგიული ოჯახი

და თანდათან მკვიდრდება საქართველოშიც. ასე, მაგალითად, წნორის ოქროს მინიატურული ლომი (ძვ.წ. III ათასწლეულის), უნატიფესი ყელსაბამები ანტიკური ვანიდან შეგიძლიათ შეიძინოთ ეროვნული მუზეუმის მაღაზია-სალონებში (რაღა თქმა უნდა, მაღალი ოსტატობით შესრულებული ასლები, ძირითადად მოოქრული).

ჩვენ და ლვოველი ეთნოგრაფები

ჩვენთან ერთად სამუზეუმო შეხვედრებში უკრაინელი კოლეგებიც მონაწილეობდნენ

ამგვარ სურათს ლილეჰამერში ყოველდღე შეხვდებით

ნორვეგიული კარ-მიდამო მაიჰაუგენში

ნორვეგიელი გოგონას მიერ მუზეუმის მოსასვენებელ დარბაზში მორთმეული აქაური ლუდი გერმანულს არ ჩამოუვარდება

ქალბატონი ოგუტი გამერსკვიკი ლვოველ ეთნოგრაფებთან

ლვოვის მუზეუმიდან. მაშინ უკრაინაში ჯერ კიდევ სიმშვიდე იყო. მოგეხსენებათ, ნორვეგია იმდენად აწყობილი ქვეყანაა, რომ წლიდან წლამდე ბიუჯეტი პროფიციტულია, ანუ მაღალი შემოსავალი აქვთ. ამიტომ შეუძლიათ, ნამეტი თანხის ნაწილი განვითარების გზაზე მდგომ ქვეყნებსაც წაახმარონ. ჩვენთან კონტაქტების შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ასეთივე ურთიერთობის დამყარება სცადა რუსეთის ერთ-ერთმა მუზეუმმაც. აი, აქ კი გამოვლინდა სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის, ქალბატონ ოგუტი გამერსკვიკის პრინციპულობა და სოლიდარობა ქართველი კოლეგებისადმი. ეს რამდენიმე წლის წინანდელი ამბავია — როცა აგრესორი რუსეთი დაუნდობლად უსწორდებოდა ქართულ სოფლებს და ბომბავდა შიდა ქართლის მიწა-წყალსა და კოდორის ხეობას, რუსეთის ერთ-ერთი მუზეუმი ნორვეგიას დონორობას სთხოვდა. ქალბატონმა ოგუტმა არაორაზროვნად განუმარტა რუს კოლეგებს, რომ არაეთიკური იქნებოდა ეს ურთიერთობა, რადგანაც რუსეთი იმ ქვეყანას ებრძოდა, რომელთანაც ლილეჰამერის მუზეუმს მჭიდრო პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ ამ ვითარებაში წამოიწია უკრაინის თემამ და საფუძველი ჩაეყარა კონტაქტებს ლვოვის ღია ცის ქვეშ მუზეუმთან.

ლვოვის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ისტორია 1928 წლიდან იწყება, როდესაც ცნობილი მოღვაწის, მიტროპოლიტ ანდრეი შეპტიცკის ინიციატივით XVIII საუკუნის ეკლესია კარპატების ერთ-ერთი სოფლიდან გადმოიტანეს. 1966 წლიდან კი ისევე, როგორც თბილისში, ლვოვშიც ღია ცის ქვეშ მუზეუმი ოფიციალურად დაარსდა.

ლვოვის „მხარეს“ ლილეჰამერში წარმოადგენდნენ მუზეუმის დირექტორი ივან კოვასევიჩი, მოადგილე მიჰაილო ლაბოიკო, კოლექციების მენეჯერი რუსლან სირიი, კონსერვატორი იჰორ კუშნირუკი და ეთნოლოგი ტეტიანა ჰელეტიი. როგორც ხედავთ, რუსეთისგან „იზოლირებულმა“ უკრაინელებმა, მით უფრო ლვოველებმა სახელებს უკრაინული ჟღერადობა დაუბრუნეს! თუმცა ნორვეგიელთაგან განსხვავებით, სამუზეუმო პირობები თითქმის ჩვენნაირი აქვთ.

საღამოობით მეგობრულ ვახშამზე თამადობას, ჩვეულებრივ, ქართველებს გვთხოვდნენ. აი, სწორედ აქ მიეცა კოლხი რაინდის,

ბატონი ნუგზარ მიქაძის ასპარეზს გასაქანი და მჭევრმეტყველებით თუ სიმღერით უკრაინელი და ნორვეგიელი კოლეგები მოხიბლა. ტეტიანამ თავის თანამემამულეებს ისიც კი უთხრა, უყურეთ ქართველებს და ახლა მაინც ისწავლეთ ქალისადმი რაინდული დამოკიდებულებაო...

ერთ-ერთ შეხვედრაზე რუსლან სირიი ტრადიციული, გულისპირმოქარგული „უკრაინკით“ გამოცხადდა, რამაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. მაშინ კი ინანა ბატონმა ნუგზარმა, რომ ქალიშვილებს არ დაუჯერა და ქამარ-ხანჯლით გაწყობილი ჩოხა შინ დატოვა...

ლილეჰამერის მუზეუმის დირექტორი გაუტე იაკობსენი თბილისში, დია ცის ქვეშ მუზეუმში

„არყის ხის ფეხების“ ლეგენდა

ლილეჰამერში ჩვენს სასტუმროს „ბირკებეინერენი“ ერქვა. ცხადია, დავინტერესდით ამ სიტყვის წარმომავლობით. XIII საუკუნის დასაწყისში ნორვეგიაში სამოქალაქო დაპირისპირება გამძაფრდა. მოეწყო შეთქმულება, რომელსაც მეფე ჰოკონი ემსხვერპლა. შეთქმულებმა მეფის ოჯახის მთლიანად განადგურება განიზრახეს, განსაკუთრებით სამეფო ტახტის მემკვიდრის თავიდან მოშორება უნდოდათ. სამეფო კარის ერთგული მხოლოდ ბირკებეინერენის რაზმი დარჩა. ნორვეგიულად ეს არყის ხის ფეხებს, ანუ თხილამურებს ნიშნავს. ამ რაზმის წევრები არყის ხისგან დამზადებული თხილამურებით მოძრაობდნენ.

კნუდ ბერგსლიენის ამ ნახატზე პატარა პრინცის მტერთაგან გარიდების სცენაა ასახული

ნორვეგიული ძველი სახლი



XIII საუკუნის ეკლესია, რომელიც გადმოტანილია უძველეს ქალაქ გარმოდან

1205 წლის შობის ღამეს ბირკებეინერენის რაზმის მებრძოლებმა ტორსტენ სკევლამ და სკერვალდ სკრუკამ ოსლოდან ქალაქ ტრონ-ჰეიმის მახლობლად, ნიდაროსის დასახლებაში გადამალეს პატარა პრინცი ჰოკონ ჰოკონსონი. გზად ლილეჰამერში შეჩერებულან, ღამეც გაუთევიათ.

პატარა უფლისწული გაიზარდა და სამეფო ტახტიც დაიბრუნა...

ლილეჰამერი დღესაც ამაყობს იმით, რომ პატარა უფლისწული შეიფარა.

ყოველწლიურად, ზამთარში იმართება მოთხილამურეთა მასობრივი შეკრება-შეჯიბრება. მასში ათას ხუთასზე მეტი მოხალისე-მოთხილამურე მონაწილეობს.

ერთ-ერთ სასტუმროს, რომელიც 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის აიგო, სწორედ „ბირკებეინერენი“ ჰქვია. სასტუმროს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ცნობილი მხატვრის კნუდ ბერგსლიენის ნამუშევარი, რომელზეც დრამატიზმითაა გადმოცემული პატარა უფლისწულის მტერთაგან გარიდების სცენა.

ნორვეგია თხილამურების სამშობლოდ ითვლება. როგორც სარბოლო, ისე სლალომის თხილამურები პირველად ნორვეგიელებმა დაამზადეს. სიტყვა სლალომიც ნორვეგიული წარმოშობისაა. ასეთი ისტორიაც არსებობს: როცა XIX საუკუნეში ნორვეგიელების დიდი ნაწილი ამერიკის კონტინენტზე გადასახლდა, ზამთარში სიერა-ნევადას შტატში საფოსტო კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდათ. აქ გამოჩნდა გამოცდილი ნორვეგიელი მოთხილამურე, რომელმაც ეს პრობლემა მოაგვარა — და თხილამურებით ყოველდღე უზარმაზარ მანძილს ფარავდა და ადრესატებს გზავნილებს აბარებდა.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ

გაგვიმართლა! ჩვენი ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოზე შეყვარებული ახალგაზრდა ვიკინგია, ლილიჰამერის მუზეუმის კოლექციების ხელმძღვანელი, ახლა უკვე დირექტორი გაუტე იაკობსენი. თითქმის ყოველ წელს ჩამოდის საქართველოში. კარგად იცნობს ჩვენი ეთნოგრაფიული მუზეუმის

კოლექციებს და იმ სირთულეებსაც, რაც თან ახლავს ჩვენს პირობებში სამუზეუმო ნივთების მოვლა-პატრონობას, კონსერვაციასა თუ რესტავრაციას...

ამ ვიზიტებისას ვერც ქართულ სუფრას ასცდა და ქართული ტრადიციებიც შეითვისა. შინ, მაიჰაუგენელ კოლეგებს ხშირად აოცებს ნორვეგიულ ყაიდაზე გადამღერებული დედამიშვილების, დიდი წინაპრებისა და მეგობრობის სადღეგრძელოებით. გაუტე ტიპური ვიკინგია, ლამის ორ მეტრამდე სიმაღლის, სპორტული აღნაგობის, ქერა, მონაცრისფრო თვალებითა და ნორვეგიული მუყაითობით გამორჩეული.

მუზეუმში მისვლამდე რთული სამხედრო გზაც გაიარა — რამდენიმე წელი საერთაშორისო ძალებში მსახურობდა ლიბანში — ნაგზთან ერთად, რომელიც თავადვე გამოწვრთნა (ერთხანს კინოლოგიითაც იყო გატაცებული).

ამჯერად გაუტე ნორვეგიული სოფლის მასპინძელია.

იაკობსენი ერთ ადგილას არ ჩერდება, მუდმივად მოგზაურობს. ჩვენი წამოსვლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში აპირებდა გამგზავრებას. გაუტეს ქართული ხასიათი კიდევ ერთ რამეში გამომჟღავნდა: პროტოკოლით გათვალისწინებული იყო ვახშამი თითო ჭიქა ღვინით. ქართულ მასპინძლობას ნაზიარები ნორვეგიელი, ცხადია, თავს „არ ირცხვენდა“ და თითო ჭიქა ღვინოს თავისი ხარჯით ღვინოსაც უმატებდა და ლუდსაც... თითქოს არაფერია, მაგრამ ნორვეგიაში, სადაც ალკოჰოლისადმი ჩრდილოური ქვეყნების დარად მეტად ფრთხილი და კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ, კათხა ლუდი 80 კრონი (10 დოლარი) ღირს. მისი გულუხვობა არც ლვოველ კოლეგებს გაჰკვირვებიათ, რომელთაც არანაკლებ იცოდნენ ქართული სტუმარმასპინძლობის შესახებ.

P.S. ლილეჰამერში ბაიკერთა მორიგი შეკრების მოწმენიც გავხდით. ოღონდ ხანში შესული ბაიკერებისა! ბაიკერების არავის უკვირს, მაგრამ თვალში საცემი იყო, რომ მზით გარუჯული, სპორტული აღნაგობისა და უხვად მოსვირინგებული 60-70 წლის ქალები და მამაკაცები ახალგაზრდებს არაფრით ჩამორჩებოდნენ...

ნოდარ ფოფიტაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პატარა ლილეჰამერელები

ბაიკერები

ნორვეგიის ზღვის ნობათი და კარტოფილი „მუნდირში“

ჯერ კიდევ 1939 წელს ფიქრობდა ლონდონი, როგორ მიეზღო სამაგიერო საბჭოთა კავშირისთვის, გაწეული დახმარების სანაცვლოდ, რაც ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება ისტორიკოსთა შორის გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლონეთისადმი სსრკ-ის ტერიტორიულ პრეტენზიებს ჩერჩილი და რუზველტი იალტაში სტალინის დაჟინებული მოთხოვნით დაყაბულდნენ. ამ ვერსიის შეთხზვა და გავრცელება ბრიტანელ და ამერიკელ ლიდერებს უფრო ამომრჩეველთან თავის გასამართლებლად დასჭირდათ — ასეთია პოლონური მხარის მოსაზრებები, რომლებიც ამ ქვეყნის პრესაში მოვიძიეთ.

უინსტონ ჩერჩილი

ჩერჩილის „პოლონური შეცდომა“

დასავლეთის „ანტიპოლონური პოლიტიკა“ მეორე მსოფლიო ომის წინ – პოლონური ვერსიით

ჩერჩილის უჩვეულო წინადადება

ევროპის თავზე ომის ღრუბლები გროვდებოდა. 1939 წლის 3 აპრილს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იოსებ ბეკი ლონდონში ჩაფრინდა. ის კარგად მიიღეს. თემთა პალატაში უკვე მესამე დღე მიმდინარეობდა დებატები პოლონეთისთვის მისაცემ გარანტიებზე, რომლებსაც პრემიერი ჩემბერლენიც ესწრებოდა. სხდომები დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მინისტრების ლოჟიდან მთავრობის პოლიტიკის მთავარი ოპონენტი კონსერვატიული პარტიიდან, უინსტონ ჩერჩილი სიტყვის სათქმელად წამოდგა. ორატორმა მოხსენება იმით დაიწყო, რომ „დიდებული“ და „აუცილებელი“ უწოდა პოლონეთისთვის ამგვარი გარანტიების მიცემას. შემდეგ გაიხსენა ერთი წლის წინანდელი თავისი წინადადება დიდი კოალიციის შექმნის თაობაზე, რომელშიც რუსეთიც უნდა შესულიყო. მისი აზრით, ჰიტლერის შეკავება მხოლოდ ამგვარ გაერთიანებას შეეძლო. მას შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა, რამაც ჩერჩილის წინადადება, მისი შეფასებით, კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

„ნახევრად გაკეთებულ საქმეს სულ არაფრის გაკეთება სჯობს, — თქვა მან, — პოლონეთისთვის გარანტიის მიცემა ნიშნავს იმ ადგილას შეჩერებას, სადაც ირგვლივ თხრილებია, შენ კი არაფრით არ ხარ დაცული. აგრესორის შესაკავებლად კოალიციის შექმნის გზაზე ჩვენ შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. არადა, სწორედ შეცდომა იქნებოდა, მისი საეჭვო შიდა სისტემის გამო, რუსეთთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. ამჟამად ის მძლავრი ბერკეტია მსოფლიო მშვიდობის დამყარების გზაზე. ჩვენ წარმოდგენაც კი გაგვიჭირდება

იმ დიდი დახმარებისა, რომლის აღმოჩენაც საბჭოთა კავშირს შეუძლია. ახლა მას ნაცისტებისგან დიდი საფრთხე ემუქრება. ვერავინ უარყოფს დემოკრატიული დასავლეთისა და საბჭოთა რუსეთს ერთობლივ ინტერესებს. საჭიროა, ინტერესთა ამ თანხვედრას ხელი არ შევუშალოთ. დიდი სისულელე იქნებოდა უგულისყუროდ მოვკიდებოდით ან უარგვეყო ამ სახის ბუნებრივი თანამშრომლობა, რომელსაც რუსეთი საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით გვთავაზობს. ბრძნულად მოვიქცევით, თუ დავივიწყებთ ბოლშევიკთა წარსულს და დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის ძალებს სამმხრივ კავშირში გავაერთიანებთ".

დებატების მსვლელობას საბჭოთა კავშირის ელჩი ივან მაისკიც ადევნებდა თვალს. საღამოს, სხდომების დასრულების შემდეგ, საბჭოთა დიპლომატი ჩერჩილთან და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯთან ერთად განაპირდა. ჩერჩილი ელჩს გამოუტყდა: „ჩვენი პოლიტიკის წარმატებისთვის რუსეთის დახმარება დაგვჭირდება. მე არ მაინტერესებს თქვენი სისტემა, მაგრამ პოლონელებსა და რუმინელებს ის ძალიან არ მოსწონთ... თუ ისინი იძულებული გახდებიან შეგიშვან თავიანთ ტერიტორიაზე, მათ ენდომებათ რაღაც რწმუნება, რომ თქვენ შემდეგ უკანაც გახვალთ. შეგიძლიათ ასეთი გარანტიის მოცემა?" ლოიდ ჯორჯი ელჩს გამოექომაგა და თქვა, რომ მას მთავრობასთან შეუთანხმებლად ასეთი გარანტიის მიცემა არ შეუძლია, ხელკავი გაუკეთა მაისკის და დარბაზის გასასვლელისკენ გაემართა. თუმცა ჩერჩილი კვლავ თავისას იმეორებდა.

ლოიდ ჯორჯი

ნევილ ჩემბერლენი

ჩემბერლენის გეგმები

პრაღაში ნაცისტთა შეჭრიდან მცირე ხნის შემდეგ ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა მოქმედების გეგმა შეიმუშავა. განვლილ ერთ წელიწადში სამხედრო მზადყოფნა თითქოს გაუმჯობესდა. დასრულებული იყო საექსპედიციო კორპუსის ფორმირების პირველი ფაზა, მწყობრში იყო მოყვანილი სამხედრო გემები. შეიარაღების გასაძლიერებლად მუშაობდნენ საფრანგეთშიც.

პრემიერ ჩემბერლენის მიზანს არა ომი, არამედ მშვიდობა წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ გერმანიას ეკონომიკური თვალსაზრისით უსწრებდნენ, მათი რწმენით, და-

ჩეხოსლოვაკიის ანექსია ჰიტლერელთა მიერ. 1938 წ.

სავლეთის ქვეყნებმა შეიარაღების მხრივაც ისეთ უპირატესობას მიაღწიეს, რომ ჰიტლერს მათთან ომი უნდა გასჭირვებოდა. ფიურერი ასეთ ავანტიურაზე რომც წასულიყო, დასავლეთს ჰქონდა სამხედრო პოტენციალი ნაცისტების თავდასხმის მოსაგერიებლად. ახლა დასავლეთს სურდა, აღმოსავლეთით ისეთ ძალას დაჰკავშირებოდა, რომელიც ჰიტლერს დაემუქრებოდა. ასეთ ძალებს პოლონეთი და საბჭოთა კავშირი წარმოადგენდნენ.

ჩემბერლენს არჩევანი გაკეთებული ჰქონდა. მისთვის მიუღებელი იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება, რომელიც თავდაუსხმელობის პაქტზე არ შეჩერდებოდა და მეტს მოინდომებდა. ამას გარდა, სუდეტის კრიზისის მსვლელობამ ჩემბერლენისთვის ნათელი გახადა, რომ საბჭოთა კავშირის მიზანს მშვიდობა კი არა, ომის პროვოცირება წარმოადგენდა, რომლისგანაც იგი კარგად ისარგებლებდა. ეს ბრიტანეთის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა. ჩემბერლენს საბჭოთა კავშირის სამხედრო სიძლიერისაც ეეჭვებოდა. სამაგიეროდ, პრემიერი მეტად აფასებდა პოლონეთის პოტენციალს, ამ ქვეყნის პრინციპულ პოზიციას. თუმცა მისმა პასიურობამ სუდეტის მოვლენების მიმართ დასავლეთის ქვეყნებში უკმაყოფილება გამოიწვია. დროთა განმავლობაში იმედგაცრუება დაცხრა და ლონდონში მიაჩნდათ, რომ პოლონეთი შესაძლოა მათი სერიოზული სამხედრო პარტნიორი გამხდარიყო. პოლონეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობაც ეკავა. თუმცა იმის გამო, რომ პოლონელები თავიანთ შიშს საბჭოთა კავშირისადმი არ მალავდნენ, კოალიციაში შესვლას გამორიცხავდნენ. ჩემბერლენს ისიც აფიქრებდა, რომ დასავლეთის ქვეყნების საბჭოთა კავშირთან დაკავშირება პოლონეთს გერმანელებთან დაახლოებისკენ უბიძგებდა. მოვლენათა ამგვარი განვითარება თუ მოსკოვისთვის ხელსაყრელი იყო, ლონდონს ეს ხელს არ აძლევდა. ჰიტლერი აღმოსავლეთით დაცული იქნებოდა და თავისუფლად შეძლებდა, მთელი ძალებით საფრანგეთისთვის დაერტყა.

რთული ანალიზი და მარტივი შეცდომა

ბრიტანეთის არმიის შტაბების უფროსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მართალია, რუსებს რიცხობრივად დიდი ძალები გააჩნდათ, მაგრამ მათი შეიარაღების დონე კვლავ დაბალი რჩებოდა. უკვე მესამე წელიწადი იყო ქვეყანაში გრძელდებოდა სისხლიანი წმენდა, რომელმაც ბევრი გამოჩენილი სამხედრო პირი შეიწირა, როგორც „მტერი და მოღალატე". ამან წითელი არმია საგრძნობლად დაასუსტა. ჩემბერლენმა საქმის დაჭერა პოლონელებთან ამჯობინა — არა იმიტომ, რომ საბჭოელები არ უყვარდა, არამედ იგი ამ გადაწყვეტილებამდე გულდასმით წარმართული გეოპოლიტიკური სტრატეგიული ანალიზის გზით მივიდა.

რაც შეეხება სამმხრივ ალიანსს, მასზე საავტორო უფლება ჩერჩილს ეკუთვნოდა. მალე ასეთი კავშირის შესახებ საბჭოთა მინისტრმა ლიტვინოვმა ოფიციალურად ისაუბრა. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო „უსაფრთხოების უზრუნველყოფა" იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირს ესაზღვრებოდნენ. სანაცვლოდ, ისინი თავიანთ ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შეშვებას უნდა დათანხმებოდნენ.

უკვე 1939 წლის 13 აპრილიდან ჩერჩილმა ზემოხსენებული გეგმის ინტენსიური პროპაგანდა წამოიწყო. იგი ლაპარაკობდა პარლამენტში, პრესაში, პოლიტიკოსებთან პირადი შეხვედრებისას და ამომრჩევლებთანაც. მალე მან პოლონელთა კრიტიკაც დაიწყო, რომ ისინი ამ კონცეფციის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, 4 ივნისს „დეილი ტელეგრაფში" დაბეჭდილ სტატიაში ჩერჩილი წერდა: ...ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსებმა დახმარება შემოგვთავაზეს. ბრიტანელ ხალხს, ფრანგებთან ერთად, უფლება აქვს მოითხოვოს პოლონელებისგან, ხელი არ შეუშალონ ამ საქმის განხორციელებას". ჩერჩილმა კარგად იცოდა, რომ პოლონეთის ხელისუფლებას არ მოსწონდა საბჭოთა კავშირის პროექტი ამ ალიანსთან დაკავშირებით, თუმცა არ იყო წინააღმდეგი, ამ თემაზე მოსკოვთან მოლაპარაკებები დაეწყო. ამიტომ იყო, რომ პოლონეთზე საბჭოთა კავშირის თავდასხმა საყოველთაოდ კი დაიგმო, მაგრამ ჩერჩილსა და ლოიდ ჯორჯს ამ საკითხის მიმართ ცოტა სხვაგვარი მოსაზრებანი ჰქონდათ. ეს უკანასკნელი იმეორებდა საბჭოთა პროპაგანდის პოსტულატებს, რომ პოლონეთს მართავს ექსპლოატატორთა კლასი, რომელიც

ჩამოგდებული გერმანული თვითმფრინავი ლონდონში. უკანა პლანზე ჩანს პარლამენტის შენობა

ნაცისტები ვარშავის ქუჩებში. 1939 წ.

უხეშად ჩაგრავს მუშებსა და გლეხებს, და რომ თითქოს სტალინს პოლონეთის მიწის ერთი გოჯიც არ სურდა.

ლოიდ ჯორჯს არც ჩერჩილი ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირის მოქმედებათა გამართლებაში. მან, მაგალითად, 1-ელ ოქტომბერს „ბიბისის“ რადიოთი გამოსვლისას ასეთი რამ განაცხადა: „პოლონელის სული სალ კლდესავით უტეხია. ის შეიძლება ზღვის ტალღებმა დაფარონ, მაგრამ მაინც კლდედ რჩება“. შემდეგ კი მოხსენების მთავარ ნაწილზე გადასვლისას აღნიშნა: „უფრო დავაფასებდი რუსების მოქმედებებს, თუ რუსეთის არმია მათ მიერ დაკავებულ ადგილებს დატოვებდა, როგორც პოლონეთის მეგობარი და მოკავშირე და არა როგორც დამპყრობელი. აქამდე რუსების მიერ ამ პოზიციების დაკავება აუცილებლობით, რუსეთისთვის გერმანული საშიშროების წინააღმდეგ თავის დასაცავად იყო გამოწვეული... ეჭვი არ არის, რომ ამრიგად წარმოიშვა აღმოსავლეთის ფრონტი, რომელზე შეტევის გაბედულებაც გერმანელებს არ აღმოაჩნდებათ“. ჩერჩილის აზრით, საბჭოელთა მოქმედებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, არა მხოლოდ რუსეთის მკვიდრი ხალხების ინტერესები, არამედ იმ ხალხებისაც, რომლებიც მის მეზობლად სახლობენ. ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, საბჭოთა რუსეთმა შეაკავა გერმანელთა ექსპანსია აღმოსავლეთისკენ კიდევ უფრო ეფექტიანად, ვიდრე 1914 წელს. ამის წყალობით სიტუაცია, ჩერჩილის ვერსიით, ახლა უფრო „დამამშვიდებელი“ იყო, ვიდრე 25 წლით ადრე. აღმოსავლეთის ფრონტის შექმნითა და ევროპის ამ ნაწილის უსაფრთხოების ზონის ჩამოყალიბების წყალობით, საბჭოთა კავშირმა, ჩერჩილის აზრით, საკუთარ, ეროვნულ ინტერესზე ზრუნვის უფლებაც მოიპოვა...

მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა

ინფორმაცია, რომელიც მიზანში ხვდება!

ჯარისკაცი



სამხედრო-ანალიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!
წიგნები ადგილზე მიტანით-elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

ალჰამბრა
„მუჰამედის სამოთხე" ესპანეთში



სამხრეთ ესპანეთში, სიერა-ნევადის მთებთან, ქალაქ გრანადას 150-მეტრიან ბორცვ ლა-საბიკაზე აგებული შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი ალჰამბრა დაჰყურებს (არაბულად „წითელი სასახლე"). საუკუნეებია, ალჰამბრა მავრიტანული ხელოვნების მწვერვალად ითვლება, რომელსაც მავრი პოეტები „მუჰამედის ჭეშმარიტ სამოთხეს" უწოდებდნენ.

არაბი ოსტატები მართლაც ცდილობდნენ აქ მიწიერი სამოთხის შექმნას. სიერა-ნევადის თოვლიანი მწვერვალებიდან მომდინარე წყალი ალჰამბრაში უხვად მიედინებოდა — ეს ყველაზე დიდი ფუფუნება იყო უდაბნოს ცხელ ჰავას მიჩვეული ხალხისთვის. შედეგად, ალჰამბრა განთქმულია არა მარტო ბრწყინვალე სასახლეთა კომპლექსით, არამედ საუცხოო ბაღებით, შადრევნებითა და წყალსატევებით. მავრები შადრევნებს, ხელოვნურ რუებსა თუ წყალვარდნილებს არქიტექტურის ისეთივე ბუნებრივ ნაწილად მიიჩნევდნენ, როგორც ძველი ბერძნები კოლონებს. ტყუილად არ შემონახულა ლომების ეზოს ერთ-ერთ შადრევანზე წარწერა: „უყურე წყალს და შენ ვერ გაარჩევ, წყალია წყნარი თუ მარმარილო მიედინება".

გრანადის წითელ ბორცვზე ანუ ლა-საბიკაზე არაბებმა ჯერ კიდევ რომის ეპოქამდე ააგეს სიმაგრე ილბირა (ესპანურად — ელვირა). XI საუკუნეში კი უკვე ნახევრად დანგრეული სიმაგრე შეაკეთა გრანადის ემირმა — ზირიდების დინასტიის წარმომადგენელმა ბადის იბნ ჰაბუსმა. თუმცა ნასრიდების დინასტიის გაბატონებამდე ალჰამბრა უბრალოდ გამაგრებულ კვარტალს წარმოადგენდა.

1238 წელს მუჰამედ I იბნ ნასრმა, მეტსახელად ალ-ახმარმა ანუ წითურმა, გრანადა მურსიის ემირს წაართვა. ალ-ახმარი ქალაქში ელვირას ალაყაფიდან შევიდა და ქალაქის მცხოვრებთა მისალმებაზე — „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ალაჰის წყალობით გამარჯვებულო!" — გამუდმებით პასუხობდა — „არ არს გამარჯვებული, ალაჰის გარდა". ეს სიტყვები მის მიერ დაარსებული ნასრიდების დინასტიის დევიზად იქცა და ხშირად მეორდება ალჰამბრის კედლებზე.

სასახლის ინტერიერი

ნასრიდების პირველმა ამირამ ლა-საბიკაზე სამთავრობო რეზიდენციის აგება 1239 წელს დაიწყო. სასახლეთა კომპლექსის აგება განაგრძო ალ-ახმარის ვაჟმა და მემკვიდრემ მუჰამედ II-მ (1273-1302). იუსუფ I-ის (1332-1354) ეპოქაში აშენდა კომარესის სასახლის კოშკი, ხოლო მუჰამედ V-ს დროს (1354-1359) აიგო ლომების ეზო, ცალკე გამოიყო ალკასაბას ციტადელი და მედინა — საცხოვრებელი უბანი ამირას სასახლით. მუჰამედი თავად ხელმძღვანელობდა მშენებლობებს, ესაუბრებოდა არქიტექტორებს, მხატვრებსა და მუშებსაც კი, მონაწილეობდა ბაღების დაგეგმარებაში, არგვევინებდა იშვიათი ჯიშის მცენარეებს, ლამაზ ბუჩქებსა და ყვავილებს — სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ალჰამბრა დღემდე ასეა შემონახული.

მავრებს მიაჩნდათ, რომ შენობა უნდა გალამაზდეს აგების შემდეგ და არა აგებისას. ისინი სასახლეების მოსაპირკეთებლად ფართოდ იყენებდნენ ხელოვნურ მარმარილოს — ე.წ. სტუკოს, რომელიც უმაღლესი ხარისხის ბათქაშს წარმოადგენდა. არაბი ხელოსნები სწორედ სტუკოზე კვეთდნენ აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ მაქმანისებურ ორნამენტებს, რომლებიც უსასრულოდ მეორდება. მდიდრული ჩუქურთმით მორთული ზოგი თაღი ჰგავს ულამაზეს სტალაქტიტებს, რომელთა სიმეტრიაც ზუსტადაა დაცული. ასევე დამახასიათებელია ოთახების კედლის ძირში მკვეთრი ფერების გამოყენება, რაც ქმნის კონტრასტს მობათქაშებული კედლის მუქ ტონებთან.

ალჰამბრის მთავარი რეზიდენცია გახდა კომარესის სასახლე, რომლის ცენტრშიც მდებარეობს საყოველთაოდ ცნობილი „მირტის ეზო“ — ასე მას XVII საუკუნეში უწოდეს ეზოში არსებული მართკუთხა ფორმის წყალსატევის გვერდების გასწვრივ დარგული მირტის ხეების გამო. წყალსატევის სარკისებური ზედაპირიდან არეკლილი კომარესის მოვარდისფრო-ოქროსფერი, 45 მეტრი სიმაღლის კოშკი და ლურჯი ცა ეზოს მოცულობას ზრდის და სიმსუბუქისა და სივრცის შეგრძნებას ქმნის.

კომარესის კოშკის ცენტრში მდებარეობს XIV საუკუნეში აგებული კვადრატული ფორ-

ალჰამბრა განთქმულია საუცხოო ბაღებით, შადრევნებითა და წყალსატევებით. შუა ფოტოზე — კომარესის სასახლე „მირტის“ ეზოთი, ქვედა ფოტოზე — ლომების ეზო

მის შესანიშნავი ე.წ. სატახტო ანუ ელჩების დარბაზი, რომელიც ცერემონიებისთვის იყო გათვალისწინებული. გრანადის მმართველთა ტახტი ზუსტად დარბაზის შესასვლელის საპირისპიროდ იდგა. ეს დარბაზი ალჰამბრაში ყველაზე დიდია — მისი სიგრძე და სიგანე 11,3 მეტრი, ხოლო სიმაღლე 18,2 მეტრია. სამი მეტრი სისქის კედლების გამო თითოეული ფანჯარა იქცა დამოუკიდებელ, მდიდრულად შემკულ ე.წ. ლოჯიის ტიპის სივრცედ.

ელჩების დარბაზში ცხრა დიდი თაღოვანი ფანჯარაა, რომლებიც იატაკის დონეზეა გაჭრილი. მათგან სამი გამოყოფილია შუაში აღმართული მარმარილოს სვეტებით და ამ ფანჯარა-ლოჯიების ფერადი მინებიდან შემოსული შუქი დაუჯერებელ ჯადოსნურ გარემოს ქმნის. დამატებით დარბაზში შუქი იღვრება კიდევ 20 მომცრო ზედა ფანჯრიდან.

არაბი ოსტატების ხელოვნების მწვერვალია კედრის მერქნისგან დამზადებული ელჩების დარბაზის კიდული ჭერი. ის ე.წ. სტალაქტიტური ფრიზითაა გარშემორტყმული და შედგება სამი სიბრტყისგან, რომლებიც ზემოთკენ ვიწროვდება და ცენტრში მცირე სტალაქტიტური გუმბათით სრულდება.

ელჩების დარბაზი ალჰამბრის „ყველაზე ისტორიული“ დარბაზია. მართალია, ყველა ფაქტი ისტორიული მასალებით არ მტკიცდება, მაგრამ მიაჩნიათ, რომ დედოფალმა ისაბელმა ქრისტეფორე კოლუმბი აქ მიიღო და

შესასვლელი ელჩების დარბაზში (ზემოთ) და დარბაზის ჭერი (ქვემოთ)

აღმოსავლური მაქმანისებური ორნამენტები უსასრულოდ მეორდება

ორი დის დარბაზის ჭერი



ნავების დარბაზი

სწორედ ამავე დარბაზში გადააბარა გრანადა სულთანმა ბოაბდილმა ესპანეთის კათოლიკე მეფეებს.

მირტის ეზოს გახსნილი და განათებული სივრცის საპირისპიროდ, დაჩრდილულია და ნახევრად ბნელია კომარესის კოშკის თაღოვანი გასასვლელი. კოშკის შესასვლელის წინ კი განთავსებულია გრძელი და ვიწრო ე.წ. ნავების დარბაზი — „ზალა დე ლა ბარკა“. ზოგი მეცნიერის აზრით, ეს სახელწოდება განპირობებულია დარბაზის ჭერის მსგავსებით ხომალდის ქედთან, თუმცა ესპანელ მწერალ კარლოს პასკუალის ჰიპოთეზით, სიტყვა „ბარკა“ არაბული „ბარაკადან“ უნდა მომდინარეობდეს, რაც დალოცვას ნიშნავს.

კომარესის სასახლის გვერდით განლაგებულია „ლომების ეზო“, რომელიც სასახლე-ბაღის სტილის ნაგებობაა. ძირითადად აქ იმყოფებოდნენ, უცხო თვალისგან დაფარულნი, გრანადის ამირები. ლომების ეზო XIV საუკუნის მეორე ნახევარში აიგო. მის ცენტრში მომცრო შადრევნის გარშემო სხივურად განლაგებული 12 ლომის ფიგურაა. ისინი განსაკუთრებული ნახევრად ძვირფასი მარმარილოსგანაა გამოკვეთილი.

ლომის ფიგურების რაოდენობა არ არის შემთხვევითი. ძველი ლეგენდის თანახმად, სწორედ 12 ლომს ეჭირა სოლომონის ტახტი და ამის შესახებ სულთან მუჰამედ ალ-განის აცნობა მისივე ვეზირმა, წარმოშობით ებრაელმა იბნ ნაგრელამ. მანვე ურჩია შადრევნის გარშემო 12 ლომის ფიგურის დაყენება, რომლებიც აქ ალბუიეინის ძველი სასახლიდან გადმოიტანეს. ამ მოსაზრებას მეცნიერები არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ ლომები შადრევანთან გაჩნდნენ მხოლოდ XVI საუკუნეში ანუ გრანადის დაცემის შემდეგ. თუმცა ისტორიკოსებიცა და ხელოვნებათმცოდნეებიც თანხმდებიან, რომ ლომების ეზოს სიმყუდროვე, რომელსაც მხოლოდ წყლის ჩუხჩუხი არღვევს, მრავალ საიდუმლოს მალავს.

ეზო მხოლოდ ლომების ქანდაკებებით არ არის ცნობილი. მისი კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა დასავლეთ ნაწილში მდებარე „სტალაქტიტების დარბაზი“. დარბაზს სახელწოდება ჭერის მაქმანებიანი შემკულობის გამო შეერქვა. არადა, ეს ჭერი ხანძრის შედეგად XVI საუკუნის ბოლოს განადგურდა და ის 1614 წელს შეცვალეს ელიფსის ფორმის გადახურვით, თუმცა სახელი დღემდე დარჩა.

ლომების ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს ვრცელი „ორი დის დარბაზი“. ლეგენდის მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ და აღესრულნენ პატიმარი ქრისტიანი დები, რომლებიც თავიანთ შეყვარებულებს დააშორეს. არაბმა ოსტატებმა ეს კვადრატული ფორმის დარბაზი გამორჩეული ჩუქურთმებით შეამკეს. ამასთან, დარბაზში ერთმანეთს გენიალურად ერწყმის შორენკეცის (კერამიკული ფილა, იგივე კაფელი) ცივი ბრჭყვიალება, სტუკოს ხავერდოვნება და ხის მასალის სითბო. მნახველებს დღემდე აოცებს, რომ შორენკეცის უთვალავ ჩუქურთმიან ფილას შორის შეუძლებელია ორი ერთნაირის ნახვა, რადგან ასეთი არ არსებობს.

„ორი დის დარბაზის“ პირდაპირ განლაგებულია კიდევ ერთი — „აბენსერჰავის დარბაზი“, რომელსაც დრამატული წარსული აქვს. გადმოცემის თანახმად, სწორედ აქ მოხდა სისხლიანი მკვლელობები 1482 წელს, როდესაც თავისი შვილისთვის ტახტის კონკურენტების ჩამოსაცილებლად, სასტიკმა მმართველმა სასახლეში ტახტის კიდევ 36 პრეტენდენტი მიიწვია. შეხვედრა „აბენსერჰავის დარბაზში“ მიმდინარეობდა და ჯალათმა ყველას ყელი გამოჭრა. მას შემდეგ ექვსი საუკუნე გავიდა, თუმცა ხალხს ამ დარბაზში დღესაც სისხლის ლაქები ელანდება.

ციტადელის ანუ ალკასაბას (არაბულად „ალ-კასბა“ ციხესიმაგრეს ნიშნავს) ყველაზე მაღალი ნაგებობაა 27 მეტრის სიმაღლის 4-სართულიანი საგუშაგო კოშკი. სწორედ მასზე აღმართეს 1492 წელს გამარჯვებულმა კათოლიკეებმა ესპანეთის სახელმწიფო და „სანტიაგოს ორდენის“ დროშები. ალკასაბას ეკუთვნის ასევე 26 მეტრი სიმაღლის 6-სართულიანი კოშკი „ომაჟა“, რომელშიც, ლეგენდის თანახმად, სასახლის აშენებამდე დროებით ცხოვრობდა პირველი ამირა ალ-ახმარი.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, როდესაც ქრისტიანთა არმიები ალჰამბრას მიუახლოვდნენ, სულთანი ბოაბდილი ალჰამბრას გარეთ მდებარე სამალავში დაიმალა, რათა არ ენახა, როგორ აღიმართებოდა გრანადის თავზე ქრისტიანული დროშა. ხოლო დედამ მას უთხრა: „შენ ქალივით გლოვობ იმას, რაც ვერ დაიცავი, როგორც მამაკაცმა“.

აბენსერჰავის დარბაზში, გადმოცემით, 1482 წელს სასტიკმა მმართველმა შვილისთვის ტახტისკენ გზის გასაწმენდად 36 პრეტენდენტი მოაკვდინა

ციტადელის ყველაზე მაღალი ნაგებობაა 27 მეტრის სიმაღლის 4-სართულიანი საგუშაგო კოშკი, რომელზეც 1492 წელს გამარჯვებულმა კათოლიკეებმა ესპანეთის სახელმწიფო დროშა აღმართეს

XVI-XVII საუკუნეებში მეჩეთის ადგილას სანტა მარიას ეკლესია აშენდა

ფანჯარა ლომების ეზოს სასახლეში

ალჰამბრის მშენებლობა დროში დაემთხვა რეკონკისტას — არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ ესპანელების ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლას. ალჰამბრის მმართველებს კი ძალიან სურდათ საგანგაშო მოვლენებსა და უსიამოვნო აზრებს სასახლის სქელი კედლების მიღმა დამალვოდნენ, დაევიწყებინათ ყველა საშიშროება და არ ეფიქრათ ხვალინდელ დღეზე. ჩანს, ალჰამბრის ფუფუნებაში ამიტომაც იგრძნობა დღემდე ყოვლისმომცველი უშფოთველობა. უბრალო არქიტექტურული ელემენტების უთვალავჯერ განმეორებით, არაბმა ოსტატებმა განუმეორებელი რთული ფორმების შექმნა შეძლეს. მუსლიმებს რელიგია უკრძალავს ცოცხალი არსებების გამოსახვას, ამიტომ ისინი იდეებსა და შთაგონების წყაროს ბუნებაში პოულობდნენ. ყვავილების ფურცლებზე დაკვირვების შემდეგ, ოსტატები მათ ფორმებს გეომეტრიულ შედევრებად აქცევდნენ. საჭრეთლის ოსტატების მიერ ხელოვნების ნიმუშად იქცა არაბული დამწერლობაც — ალჰამბრაში ჩუქურთმებად უთვალავჯერ მეორდება ისლამის მთავარი შეგონება — „არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული“.

1492 წლიდან ალჰამბრას კათოლიკე მეფეები განაგებდნენ — ის სამეფო რეზიდენციად იქცა. ალჰამბრის პირველ ალკალდად და გრანადის გენერალ-კაპიტნად დაინიშნა გრაფი დე ტენდილია. 1515 წელს გამოიცა სპეციალური ბრძანებულება ალჰამბრის, როგორც „განსაკუთრებული და შესანიშნავი ნაგებობის“ დაცვის შესახებ.

XVI-XVII საუკუნეებში მეჩეთის ადგილას სანტა მარიას ეკლესია აშენდა, სასახლეების კომპლექსის გვერდით კი კარლოს V-ის

სასახლე გაჩნდა. კარლოსმა გადაწყვიტა ალჰამბრა მეტად აღარ გადაეკეთებინა და მხოლოდ როტონდა აეშენებინა. თუმცა მისი მშენებლობაც აღარ დასრულებულა. სასახლე არქიტექტორმა პედრო მაჩუკამ ააგო, რომელსაც ალჰამბრის სასახლეთა რესტავრაცია და ბაღების მოვლაც ევალებოდა. მაჩუკა დიდი მიქელანჯელოს მოწაფე გახლდათ და სასახლე რენესანსის სტილში ააშენა. შედეგად, პილასტრებითა და ბარელიეფებით დამძიმებული ახალი სასახლე ალჰამბრის ანსამბლის მავრიტანულ შენობებს შორის იმდენად უცხოდ გამოიყურება, რომ ამერიკელმა მწერალმა ვაშინგტონ ირვინგმა ის „ქედმაღალ დაუპატიჟებელ სტუმარს“ შეადარა...

ტახტზე ბურბონთა ასვლის შემდეგ, ანუ ფილიპე V-ის მეფობის დროიდან (1700-1746) ესპანელმა მეფეებმა ალჰამბრასადმი ინტერესი სრულად დაკარგეს.

1812 წელს ფრანგულმა საოკუპაციო არმიამ ალჰამბრას დატოვებისას აქ ბევრი კოშკი ააფეთქა. გადმოცემის თანახმად, ფრანგები სასახლეთა კომპლექსის აფეთქებასაც აპირებდნენ, მაგრამ ძეგლი კაპრალმა ხოსე გარსიამ გადაარჩინა, რომელიც დენთის ასაფეთქებელ ზონარს სხეულით გადაეფარა. მართალია, ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს, სამაგიეროდ, არსებობს მემორიალური დაფა ალკასაბას ერთ-ერთ მოედანზე, რომელიც კაპრალის გმირობას უკვდავყოფს.

XIX საუკუნიდან ალჰამბრა ბაირონის, შატობრიანის, ჰიუგოსა და სხვა მწერლებისა თუ პოეტების ყურადღების ცენტრში მოექცა. იმ პერიოდიდან დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები.

რამაზ გურგენიძე

ჰიტლერიუბენდი
ხაკისფერი ჭირის აღზევება

ბერლინი, 1928 წელი

ყავისფერ უნიფორმაში გამოწყობილი ყმაწვილები საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში გამოჩნდნენ. ყველას რეზინის ხელკეტი ეკავა. შეკითხვაზე, ვინა ხართო, მიუგეს:

— ახალგაზრდა ჰიტლერელები ვართ!

— მერე აქ რა გინდათ?

— ის, რომ ყველა ებრაელმა ბიბლიოთეკის შენობა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს!

რამდენიმე წუთში დარბაზი დაცარიელდა. პროტესტის ნიშნად იქ მყოფი ყველა მოქალაქე გავიდა. ჰიტლერელები აპირებდნენ ხელკეტებით დარეოდნენ მათ, ვინც ასეთი ობსტრუქცია მოაწყო, მაგრამ მეთაურმა ანიშნა, არ გინდათ, ადრეაო:

— მალე ხელისუფლებაში მოვალთ და გერმანიას ამ ნეხვისგან გავწმენდთ! ასე რომ, დაე, ჯერჯერობით იცოცხლონ!

ჰიტლერელებმა იქაურობა ორგანიზებულად დატოვეს.

ფიურერის თანხმობით

ნაცისტური მოძრაობის დაარსებისთანავე ახალგაზრდული მოძრაობის შექმნას უდიდესი ყურადღება ეთმობოდა. ადოლფ ჰიტლერი ამას ხაზს განსაკუთრებით უსვამდა. უკვე 1926 წელს მოიერიშეთა რაზმის (SA) წიაღში ახალგაზრდული მიმდინარეობა გაჩნდა. მისი ლიდერი ბალდურ ფონ შირახი გახლდათ. თავდაპირველად ის მოიერიშეთა მეთაურის, ერნსტ რემის მეგობარი იყო.

შირახი ნაცისტური პარტიის რიგებში სწორედ რემის რეკომენდაციით მიიღეს, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი.

ნელ-ნელა ფონ შირახმა კლანჭები გამოავლინა. „აუცილებელია, ახალგაზრდულ ორგანიზაციას ჰქონდეს ავტონომია და ის მოიერიშეთა შემადგენლობიდან გამოვიდეს“, — განაცხადა მან. რემი ამ გამოსვლამ აღაშფოთა. ჰიტლერი, რომელსაც მოიერიშეთა გავლენის ზრდა აღელვებდა, დათანხმდა და შირახს ორგანიზაციის სტრუქტურის წარმოდგენა დაავალა, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი.

შირახის პროექტით, ორგანიზაცია გასამხედროებული უნდა ყოფილიყო, რომლის წევრებსაც ყავისფერი უნიფორმა ეცმებო-

ჰიტლერიუგენდის წევრები ფიურერთან ერთად

დათ. ისინი გაივლიდნენ როგორც სამხედრო, ისე იდეოლოგიურ მომზადებას. სახელად კი ჰიტლერიუგენდი ან ჰიტლერელი ახალგაზრდობა უნდა ეწოდებინათ. ფიურერს ეს ძალიან ესიამოვნა.

წევრები მხოლოდ ვაჟები (10-დან 18 წლამდე) შეიძლება ყოფილიყვნენ, ხოლო გოგონებისთვის ცალკე ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო. 1926 წელს ჰიტლერიუგენდის შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა.

სანიმუშო კერპები

ჰიტლერიუგენდმა აქტიურად მოქმედება ვაიმარის რესპუბლიკის (1919-1933) ბოლო წლებში დაიწყო. მისი წევრები თავს ესხმოდნენ ებრაულ დუქნებს, არბევდნენ ებრაელთა მაღაზიებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს.

— სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები ერთი ნაგავია! სანამ ამ ხარახურისგან გერმანიას არ გავწმენდთ, ნორმალური ქვეყანა ვერ აშენდება, — ამბობდა ჰიტლერი.

ყავისფერ უნიფორმაში გამოწყობილი ყმაწვილებიც ფიურერის დავალებას პირნათლად ასრულებდნენ. ისინი მალე გადაიქცნენ ძალადობისა და უკანონობის სიმბოლოდ. მაღაზიებისა და დუქნების დარბევას პოლიციის უკურეაქცია მოჰყვა. ჰიტლერიუგენდის რამდენიმე წევრი დააპატიმრეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქუჩაში ყავისფერი უნიფორმით სიარული აიკრძალა, თუმცა ჰიტლერის ახალგაზრდა მიმდევრები ამას არ შეუშინებია.

— მათ ყავისფერი უნიფორმა მეყასბის სამოსით შეცვალეს. წინსაფრის ქვეშ ყველა ჰიტლერიუგენდელს დანა ჰქონდა დამალული, — წერს ტიპელსკირხი.

დანით შეიარაღებული ახალგაზრდა ფანატიკოსები თავს ესხმოდნენ ყველას, ვინც ანტიეროვნულად მიაჩნდათ. მათ მძიმედ დაჭრეს იმ კინოთეატრის მფლობელი, რომლის ეკრანზეც ერიხ მარია რემარკის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი გადიოდა. შემდეგ კომუნისტების მიტინგს დაესხნენ თავს. რამდენიმე კომუნისტი დაჭრეს, სხვები სასტიკად სცემეს.

კომუნისტებმაც საპასუხო აქცია მოაწყვეს. წითელმა ბოევიკებმა ოპერაცია გულდასმით დაგეგმეს. მათ დაადგინეს, რომ ერთ-ერთი ფაბრიკის ახლოს ჰიტლერიუგენდის წევრები მუშებს ნაცისტურ სააგიტაციო ფურცლებს ურიგებდნენ. ორმოცამდე ბოევიკი, რომელიც დანებითა და ხელკეტებით იყო

ბალდურ ფონ შირახი

ჰერბერტ ნორკუსი

ჰიტლერიუგენდი ნიურნბერგში ჰერბერტ ნორკუსის საფლავიდან იმპერიულ პარტიულ ყრილობაზე მარშით მიეშურება

შეიარაღებული, ხუთ ჰიტლერელ ახალგაზრდას თავს დაესხა.

— წითლების დანახვისთანავე ჰიტლერელებმა თავს გაქცევით უშველეს. მხოლოდ ერთი მათგანი, ვინმე ჰერბერტ ნორკუსი, არ გაიქცა და ბოევიკებს შეებრძოლა, — წერს უილიამ შირერი.

ჰერბერტი, როგორც ჩანს, მართლაც მამაცი ყმაწვილი იყო. ერთ-ერთ თავდამსხმელს მან დანა გამოსტაცა და მუცელში გაუყარა. თავდამსხმელი დაეცა. სხვები შეკრთნენ. ჰერბერტს თავისუფლად შეეძლო გაქცევა, მაგრამ სანაცვლოდ დანით შეიარაღებულ თავდამსხმელებს ველური ყიჟინით ეძგერა. მან ოთხი კაცი მოკლა, სამი კი მძიმედ დაჭრა.

ბოევიკებმა ნორკუსი აკუწეს. ნაციონალ-სოციალისტური პრესა იტყობინებოდა, რომ მას ოცდათორმეტი ჭრილობა მიაყენეს. ის საზეიმოდ დაკრძალეს. ჰიტლერმა გმირად გამოაცხადა. მოგვიანებით, როცა ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მის ბიოგრაფიას სკოლებში ასწავლიდნენ, მის მაგალითზე ახალგაზრდობას ზრდიდნენ. — ყველა მოძრაობას თავისი წამებული გმირები სჭირდება. ჰიტლერელთათვის ერთ-ერთი ასეთი გმირი ჰერბერტ ნორკუსი გახდა.

მოგვიანებით ნაციონალ-სოციალისტი პროპაგანდისტები ნორკუსის ბიოგრაფიას უღვთოდ ამახინჯებდნენ. მას „ჭეშმარიტ არიელად“ ასაღებდნენ, თუმცა ნახევრად გერმანელი და ნახევრად პოლონელი იყო. მამამისი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა, შემდეგ მუშად მოეწყო ბერლინის ერთ-ერთ ქარხანაში. ამავე ფაბრიკაში შრომობდა დედაც. ოჯახი სარდაფში დაბინავდა. მათ საშინელი ტრაგედია შეემთხვათ. როცა მშობლები ფაბრიკაში იყვნენ, ჰერბერტის ერთი წლის და ვირთხამ დაკბინა. ბავშვი გარდაიცვალა. დედამ ამას ვერ გაუძლო, არაყს მიეძალა, ტრამვაის ქვეშ მთვრალი მოყვა და გარდაიცვალა. მამა ერთხანს ლოთობდა, შემდეგ ჰიტლერელთა დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის ციხეში მოხვდა, სადაც ავად გახდა და გარდაიცვალა. თავად ჰერბერტი ნაციონალ-სოციალისტთა რიგებში თხუთმეტი წლისა ჩაება, თექვსმეტისა კი კომპარტიის ბოევიკებთან ბრძოლაში მოკლეს.

— ის მართლაც ვაჟკაცურად დაიღუპა, მაგრამ მისი ბიოგრაფიის ბევრი დეტალი ჰიტლერის სქემაში არ ჯდებოდა. აკი ნაცისტები ამტკიცებდნენ, რომ სლავები არასრულფასოვანი რასაა, ნორკუსი კი ნახევრად პოლონელი იყო. მისი ოჯახი გერმანული ტრადიციული ოჯახისგან შორს იდგა. ისინი იმ ფენას განეკუთვნებოდნენ, რომელსაც ლუმპენპროლეტარიატს უწოდებენ, — წერს საბჭოთა მწერალი ლევ ბეზიმენსკი.

ნაცისტური პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ ნორკუსი ტრადიციულ გერმანულ ოჯახში გაიზარდა, ამიტომაც დედ-მამასთან ერთად ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება. დედამისი თითქოს არა ლოთობით, არამედ პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა, მამა „გერმანელი ხალხის იდეალებისადმი“ ერთგულების გამო ციხეში მოხვდა და მოკლესო.

მითებს არა მხოლოდ წითელი, არამედ ჰიტლერელი პროპაგანდისტებიც თხზავდნენ. ეს კანონზომიერია, ტოტალიტარულ რეჟიმს

კერპები სჭირდება. ნორკუსზე 1933 წელს მხატვრული ფილმიც გადაიღეს, რომელიც გებელსმა მოიწონა.

გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობდა ჰორსტ ვესელი (1907-1930), ასევე „მესამე რაიხის“ ოფიციალური გმირი. ვესელის ბიოგრაფია მართლაც უჩვეულოა. ეს იყო გაუწონასწორებელი კაცი, რომელიც თავის დროზე ლოთობის გამო გიმნაზიიდან გარიცხეს. თავს შემთხვევითი სამუშაოებით ირჩენდა, იყო დამხმარე მუშა, შემდეგ ტაქსის მძღოლი. ნაცისტურ მოძრაობაში ჯერ კიდევ 1925 წლიდან ჩაება. ვესელი ჰიტლერიუგენდის დაარსების პირველი დღეებიდანვე მისი აქტიური წევრი იყო. ამ დროს მას ფონ შირახთან გამუდმებული კონფლიქტები ჰქონდა. ვესელი დისციპლინას არ ცნობდა, სვამდა, ხულიგნობდა და შირახიც მის გარიცხვას კატეგორიულად მოითხოვდა. ეს არცთუ იოლი აღმოჩნდა, რადგანაც ხულიგნის დასაცავად ხმა თავად მოიერიშეთა მეთაურმა ერნსტ რემმა აიმაღლა.

ბოლოს და ბოლოს, ვესელმა ორგანიზაცია დატოვა და მოიერიშეთა რაზმის (SA) წევრი გახდა. მოიერიშეთა აქტივისტი ვესელი ანტინაცისტურ მიტინგებს არბევდა, თან ჰიტლერელთა პრესაში ლექსებს აქვეყნებდა. როგორც პოეტს, მას თვით ნაცისტებიც არ აფასებდნენ, სამაგიეროდ, კომუნისტებს დაამახსოვრდათ კარგად მისი მუშტები. 1930 წელს კომპარტიის ბოევიკები ვესელს ჩაუსაფრდნენ და მოკლეს. ეს გაუწონასწორებელი ლოთიც უმალ წამებულ გმირად გადაიქცა.

ჰიტლერმა ვესელი გერმანიის სიამაყედ გამოაცხადა. ის საზეიმოდ დაკრძალეს, მისი ლექსის მიხედვით კი დაწერეს სიმღერა, რომელიც ნაცისტური პარტიის ჰიმნი გახდა. ვესელის პოპულარობის ზრდას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სასამართლომ მის მკვლელებს მხოლოდ რამდენიმე წლით პატიმრობა აკმარა.

— ჩვენი სასამართლო სისტემა მთლიანად კორუმპირებულია და ანტიეროვნული ძალების კონტროლქვეშ იმყოფება, — თქვა ამაზე დოქტორმა გებელსმა.

ხელისუფლებაში ნაცისტთა მოსვლის შემდეგ ვესელის მკვლელები ხელახლა გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს, თავად ვესელი კი ეროვნულ გმირად გამოცხადდა. ბერლინში, ჰამბურგში, მიუნხენსა თუ სხვა ქალაქებში

ჰორსტ ვესელი (მარცხნივ) და ბარათი მისი ლექსის ტექსტით (ქვემოთ) სიმღერისთვის, რომელიც ნაცისტური პარტიის ჰიმნი გახდა

მისი სახელობის ქუჩები გაჩნდა, ვესელზე წერდნენ ლექსებს, მოთხრობებს, რომელთაც სკოლებში ასწავლიდნენ. ცხადია, ბიოგრაფია აქაც იყო დამახინჯებული. ნაცისტი იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ვესელი იყო პატრიოტი, სპორტსმენი, არ ეწეოდა, არ სვამდა და როგორც ყველა არიელი, ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდა.

მალე ეკრანებზე გამოვიდა ფილმი დაღუპული მოიერიშის „გმირულ“ ცხოვრებაზე. სიმღერა „ჰორსტ ვესელს“ კი ყველა ოფიციალურ დღესასწაულზე ეროვნული ჰიმნის შემდეგ მღეროდნენ.

არისტოკრატიიდან ნაცისტებში

რაც უფრო ძლიერდებოდა ნაცისტთა გავლენა, ჰიტლერიუგენდში შესვლის მსურველთა რიცხვიც იზრდებოდა. ცნობილი ფიზიკოსი

ჰიტლერი, ჰერმან გერინგი და ბალდურ ფონ შირახი

ვერნერ ჰაიზენბერგი წერს, რომ ჰიტლერმა ინტელიგენცია ვერ მიიმხრო, სამაგიეროდ, უბრალო ადამიანები, მუშები და გლეხები ნაცისტებს მხარს გულწრფელად უჭერდნენო. თავდაპირველად ამაში ბევრი ხედავდა რაციონალურ მარცვალს.

— ჰიტლერმა წითელი ჭირი მოგვაშორა, კომუნისტური დიქტატურა რასაც ნიშნავს, ეს ყველამ ჩვენს ტყავზე ვიწვნიეთ. როცა ბავარია საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა, ის ძალადობისა და უკანონობის სიმბოლოდ იქცა, — წერს ჰაიზენბერგი და ამატებს, რომ როცა ჰიტლერი რეალურ ძალად გადაიქცა, მისი შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

— მაშინ მივხვდით, რომ ნაცისტურ ჭირსა და წითელ ჭირს შორის არცთუ დიდი განსხვავებაა, — განაგრძობს ჰაიზენბერგი, — მუშები და გლეხები ნაცისტთა მხარეს გადავიდნენ. განსაკუთრებთ ეს მუშა ახალგაზრდობას ეხება.

ახალგაზრდების მიმხრობაში კი უდიდესი როლი სწორედ ნაცისტური პარტიის წევრმა ფონ შირახმა (1917-1974) შეასრულა. ის არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. დედა ამერიკელი ჰყავდა. — შინ ინგლისურად ვლაპარაკობდით, გერმანული მხოლოდ ხუთი წლის ასაკში ვისწავლე, — იგონებდა შემდგომში შირახი.

მიუხედავად ამისა, შირახი თავგამოდებულ გერმანელ შოვინისტად აღიზარდა. განათლება არისტოკრატებისთვის განკუთვნილ დახურულ ლიცეუმში მიიღო, სადაც დიდი ყურადღება ეთმობოდა როგორც მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, ისე მეცნიერებათა დაუფლებასა და პატრიოტიზმს. უკვე ათი წლის ასაკში შირახს მტკიცედ სწამდა, რომ გერმანელები დიდი ერია და უსამართლობაა, რომ ფრანგებს, გერმანელებს, რუსებს უზარმაზარი კოლონიები აქვთ, გერმანიას კი არა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაიპარა, მაგრამ პოლიციამ შინ დააბრუნა. მას ძალიან შურდა უფროსი ძმისა, რომელიც სრულწლოვანი იყო და ფრონტზე გაიწვიეს. ომში დამარცხება მთელმა ოჯახმა მძიმედ განიცადა. უფროსმა ძმამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თავად შირახი კი ნაცისტური პარტიის რიგებში სრულიად ახალგაზრდა შევიდა.

ჰიტლერმა ენერგიული ახალგაზრდა არისტოკრატი უმალ გამოარჩია. შირახს თავისი წარმოშობის გამო ბევრი „კლასობრივად უცხოდ“ მიიჩნევდა. ფიურერმა ის დაიცვა და დაიახლოვა, შემდეგ კი ახალგაზრდული მოძრაობის გაძღოლა ჩააბარა. შირახმა ფიურერის ნდობა სრულად გაამართლა. კარგ განათლებასა და ენერგიულობასთან ერთად, ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ჰიტლერიუგენდის წევრთა რიცხვი მოკლე ხანში ძალიან გაიზარდა. 1930 წელს გერმანიის მაშინდელმა განათლების მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომელიც მოსწავლეებს ჰიტლერიუგენდში გაწევრებას უკრძალავდა. ამან ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ახალგაზრდობა ორგანიზაციას მიაწყდა. ჰიტლერიუგენდი მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა.

საყმაწვილო საარჩევნო მობილიზაცია

მასობრივი ახალგაზრდული მოძრაობის გაძღოლა იოლი როდია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელისუფლებაში ჯერ არ ხარ

მოსული. მიუხედავად ამისა, შირახმა ამოცანას თავი ბრწყინვალედ გაართვა. თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ შირახმა ახალგაზრდების გულის დაპყრობა შეძლო.

ჰიტლერიუგენდის წევრები არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათი წვლილი უდიდესია იმაში, რომ გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტები მოვიდნენ. ჰიტლერიუგენდის წევრები მოიერიშეებთან ერთად ე.წ. „აუტოდაფეშიც“ მონაწილეობდნენ, როცა კოცონზე დაწვეს თომას მანის, კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ჰაინრიხ ჰაინეს, ბერტოლდ ბრეხტის წიგნები. ტიპელსკირხი წერს, რომ შირახი ამ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

მალე ჰიტლერმა, ნაცისტურის გარდა, ყველა პარტია აკრძალა. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჰიტლერიუგენდს უკვე ოფიციალურ დონეზე უჭერდნენ მხარს. შირახი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, გერმანელი ახალგაზრდობა ჰიტლერიუგენდში ძალით შეერეკათ. „ჩვენ რუსების გზით არ წავალთ, სადაც კომკავშირში ხალხს ძალათი ერეკებიან“, — განაცხადა მან. შირახი მიიჩნევდა, რომ ჰიტლერიუგენდში შესვლა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა მომხდარიყო. ის ყურადღებას ორ მომენტზე ამახვილებდა. პირველი, რომ ჰიტლერიუგენდმა ახალგაზრდობა უნდა დაინტერესოს. „ჩვენ უნდა მივცეთ მათ ის, რასაც სხვაგან ვერ მიიღებენ“, — ამბობდა შირახი. მართლაც, სახელმწიფოს მხარდაჭერით ეწყობოდა სპორტული ბანაკები, როგორც სპორტული, ისე იდეოლოგიური წრთვნისთვის, დადიოდნენ ლაშქრობებში, მონაწილეობდნენ სპორტულ შეჯიბრებებში, ეუფლებოდნენ ხელჩართული ბრძოლის ილეთებს, ცეცხლსასროლ იარაღს. ახალგაზრდებს, განსაკუთრებით, უბრალო ოჯახის შვილებს, ეს იზიდავდა.

არგუმენტებს კარიერისტული მოსაზრებებიც ერთვოდა. 1937 წელს შირახისა და ჰიმლერის შეთანხმებით, ჰიტლერიუგენდი SS-ის მთავარ რეზერვად გამოცხადდა. ვინც ჰიტლერიუგენდის სკოლას გაივლიდა, გზა ხსნილი ჰქონდათ არმიაში, უშიშროებაში, უნივერსიტეტებში, სახელმწიფო სტრუქტურებში. ჰიტლერიუგენდი სწრაფი დაწინაურების საშუალებად გადაიქცა. ახალგაზრდობაც მისკენ მიილტვოდა. 1938 წლისთვის მაშინდელი გერმანელი ახალგაზრდობის 88% გაწევრდა ჰიტლერიუგენდის რიგებში.

ჰიტლერიუგენდისა და შირახის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. ირანის შაჰმა რეზა ფეხლევიმ შირახი მიიწვია. კონსულტაციების შედეგად ირანში ბოისკაუტთა ორგანიზაცია შეიქმნა. ის ჰიტლერიუგენდს ძალიან წააგავდა. 1940 წელს მსგავსი რამ მოხდა რუმინეთშიც. მაშინ რუსებმა რუმინელებს ბესარაბია და ბუკოვინა წაართვეს, რამაც ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია გამოიწვია. მეფე კაროლ II, რომელმაც რუსებს ტერიტორია თოფის გასროლის გარეშე დაუთმო, დაამხეს. ტახტზე მისი ახალგაზრდა ვაჟი მიხაი I ავიდა, თუმცა, რეალურ ძალაუფლებას კოალიცია ფლობდა, სადაც გენერალ ანტონესკუს მომხრეები და ულტრამემარჯვენე რკინის გვარდიის წევრები გაერთიანდნენ. რკინის გვარდიელთა ლიდერი ხორია სიმა კარგა ხანია ოცნებობდა რუმინეთში ჰიტლერიუგენდის მსგავსი ორგანიზაციის შექმნაზე. ის საგანგებოდ გაემგზავრა ბერლინში ჰიტლერიუგენდის მაგალითის შესასწავლად და რუმინეთში დაბრუნების შემდეგ მსგავსი სტრუქტურის შექმნა დაიწყო. 1941 წელს ხორია სიმასა და ანტონესკუს შორის კონფლიქ-

ჰიტლერიუგენდის წევრები

პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი ჰიტლერიუგენდელ ყმაწვილს ფრონტზე აცილებს. 1945 წლის 9 მარტი

ტის გამო სიმა ქვეყნიდან გაიქცა და მთელი ძალაუფლება ანტონესკუმ აიღო. მიუხედავად ამისა, ჰიტლერიუგენდის რუმინულ ვერსიას არაფერი დამუქრებია.

ბულგარეთში შირახი 1940 წელს მიიწვიეს. პრემიერმა ბოგდან ფილოვმა ბულგარული მასობრივი პატრიოტული მოძრაობის ორგანიზებაში დახმარება სთხოვა. შირახი დათანხმდა და მისი კონსულტაციების შედეგად გაჩნდება ორგანიზაცია „ბრანიკი“. 1939 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა სლოვაკეთმა და გერმანიის მოკავშირე გახდა. პრეზიდენტი ტისო ბერლინში მოგზაურობისას ჰიტლერიუგენდის საქმიანობით საგანგებოდ დაინტერესდა და ფიურერს სთხოვა, ასეთივე სლოვაკური ორგანიზაციის შექმნაში დახმარებოდა. მალე ჰიტლერის ბრძანებით შირახმა სლოვაკეთში ინსტრუქტორები გაგზავნა. ასე შეიქმნა ორგანიზაცია „გლინკას გვარდია“, რომელიც ჰიტლერიუგენდის ზუსტ ასლს წარმოადგენდა.

ომი „დიდი გერმანიისთვის“

— თანამემამულენო! დიადმა ზარმა დარეკა! დაიწყო ომი, რომელმაც ჩვენი ერის ბედი უნდა გადაწყვიტოს! ამ დიადი ბრძოლების ჟამს ყველანი ერთი იდეის გარშემო უნდა გავერთიანდეთ. ესაა დიდი გერმანიის იდეა, — ასე მიმართა გერმანელებს ჰიტლერმა. იდგა 1939 წელი.

დიდი გერმანიისთვის ბრძოლაში ჰიტლერიუგენდიც ჩაება. მისი წევრები აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის, მუშაობდნენ ჰოსპიტალებში სანიტრებად, გოგონები მედდად მიდიოდნენ. როცა დაბომბვები დაიწყო და გერმანიის ბევრი ქალაქი დაინგრა, ჰიტლერიუგენდის წევრები ეხმარებოდნენ მათ, ვისი სახლებიც დაინგრა და სხვ. განსაკუთრებით ზრუნავდნენ ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებზე — მათ სპეციალური ჯვრებით ნიშნავდნენ. თითოეულ ჯგუფს განაწილებული ჰქონდა, ვის რომელი უბნისთვის უნდა მიეხედა. მათ ულაგებდნენ ბინებს, მიჰქონდათ პროდუქტები, მედიკამენტები, უწევდნენ პირველად დახმარებას და სხვ.

საბჭოთა მწერალი ანატოლი რიბაკოვი აღნიშნავს, რომ გერმანიაში მსგავსი მოძრაობა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს არსებობდა. ჰიტლერმა უბრალოდ იგი აღადგინა და აშკარა იდეოლოგიური ელფერი მისცა. ცნობილი მწერალ-დისიდენტი ვიქტორ ნეკრასოვი ამტკიცებს, რომ საბჭოთა სუკი გერმანულ სამხედრო ტრადიციებს საგანგებოდ სწავლობდა. ნეკრასოვის ცნობით, ლავრენტი ბერიამ პირადად სტალინს მოახსენა, როგორი ფართო მასშტაბი მიიღო პირველი მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვამ. სტალინზე ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ამას ბოისკაუტები აკეთებდნენ? — იკითხა სტალინმა.

— დიახ!

— კარგი იქნებოდა, მათი მაგალითი რომ ჩვენც გადმოგვეღო, — სტალინმა გაიღიმა.

მალე უშიშროებაში ცნობილი მწერალი არკადი გაიდარი (გოლიკოვი) დაიბარეს. დირექტივა მოკლე და ლაკონიური იყო. გერმანული მაგალითის შესწავლა და მისი საბჭოთა კავშირში დანერგვისთვის ხელის შეწყობა. გაიდარმა მოთხრობა „თემური და მისი რაზმი“ გამოაქვეყნა, რომელიც მაშინვე პოპულარული გახდა. საბჭოეთში თემურელთა ცნობილი მოძრაობა გაიშალა, ოღონდ პიონერებისა და კომკავშირლების მონაწილეობით.

სტალინგრადის მარცხის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა გართულდა. გარდაუვალი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ „ფოლკსშტურმი“ შექმნა. ეს გახლდათ ერთგვარი სახალხო ლაშქარი, სადაც სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანი გაერთიანდა. ჯარში 16-იდან 60 წლამდე მოქალაქეებს იწვევდნენ და ჰიტლერიუგენდის წევრებიც ფრონტზე ხვდებოდნენ.

ნორჩი ნაცისტების უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაეცა. ისინი კვდებოდნენ შეძახილით „ჰაილ ჰიტლერ!“ ომის უკანასკნელ წლებში ჰიტლერის ბრძანებით ფრონტზე უკვე ბიჭუნებსაც აგზავნიდნენ. ყოველ მათგანს ჰიტლერიუგენდის სკოლა ჰქონდა გავლილი.

ფინალი

მეორე მსოფლო ომის დაწყებისთანავე ჰიტლერიუგენდის ხელმძღვანელი ფონ შირახი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. ის იბრძოდა ელიტარული ნაწილის, „დიდი გერმანიის“ რიგებში და გამოჩენილი სიმამაცისთვის რკინის ჯვარიც დაიმსახურა. შირახის არყოფნა ჰიტლერიუგენდს ძალიან დაეტყო. 1940 წელს ჰიტლერის ბრძანებით შირახი ფრონტიდან გამოიძახეს და კვლავ ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს. ფიურერმა მას მოკლე დირექტივა მისცა: გასაწვევი ასაკის ყველა ახალგაზრდამ ჰიტლერიუგენდის სკოლა უნდა გაიაროს.

შირახმა ამ ამოცანას თავი ბრწყინვალედ გაართვა, რამაც ბევრს მისდამი შური გაუღვივა. შირახის წინააღმდეგ ინტრიგების მთელი კვანძი ჩაიხლართა. 1941 წელს მას ჰიტლერიუგენდის ერთ-ერთ წევრთან ჰომოსექსუალური კავშირიც დააბრალეს.

ეს მძიმე ბრალდება გახლდათ. ნაცისტური რეჟიმი ჰომოსექსუალისტებს უსწორდებოდა. შირახსაც საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდევა დაემუქრა. ის იღბლიანმა ქორწინებამ იხსნა. მისი მეუღლე ფიურერის პირადი ფოტოგტაფის, ჰოფმანის ქალიშვილი იყო და ჰიტლერმაც შირახი დაინდო. მართალია, ჰიტლერიუგენდის თავკაცობიდან გადააყენა, მაგრამ ვენის გაულაიტერად დანიშნა. ფონ შირახის ნაცვლად ორგანიზაციას სათავეში არტურ აკსმანი ჩაუდგა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორივე სასამართლოს წინაშე წარდგა.

ფონ შირახი ნიურნბერგის ტრიბუნალმა გაასამართლა და ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მან სასჯელი სრულად მოიხადა. გათავისუფლების შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი „მე ჰიტლერისა მჯეროდა“, რომელიც მსოფლიო ბესტსელერად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა. შირახი 1974 წელს გარდაიცვალა, მისი წიგნის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა კი მსოფლიოს კინოეკრანები ტრიუმფით მოიარა. რაც შეეხება აკსმანს, ბერლინის დაცემის შემდეგ ის არალეგალურად საქმიანობდა გერმანიაში და პარტიზანული მოძრაობის გაშლას ცდილობდა. 1949 წელს აკსმანი დაატიმრეს და გაასამართლეს, სამი წლის შემდეგ კი გაათავისუფლეს. აკსმანი პოლიტიკას ჩამოშორდა და ბიზნესში გადაბარგდა. გარდაიცვალა 1996 წელს. ასეთი იყო მათი ბედი, ვინც ჰიტლერიუგენდი შექმნა.

ნიკა თევზაძე

ჰიტლერიუგენდის წევრის ფორმა მუზეუმში

გეპატიჟებით ციხე-გოჯის ნაქალაქარზე!

ციხე-გოჯი. ჭიმკარი აღმოსავლეთიდან

„მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში"

დღევანდელ ქალაქ სენაკიდან ჩრდილოეთით, 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ისტორიული ლაზიკის დედაქალაქი, რომელსაც ბერძნულენოვანი წყაროები არქეოპოლისს უწოდებენ, ხოლო ადგილობრივნი, როგორც მეცნიერები ვარაუდობდნენ, ციხე-გოჯს ეძახდნენ. დღეს აქ არსებული ციხე-ქალაქის გრანდიოზული ნანგრევები ნოქალაქევის, იმავე ნაქალაქების სახელითაა ცნობილი.

გადმოცემით სიმაგრე სვანეთისა და ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ ააგო. ციხე-ქალაქი სტრატეგიულად ფრიად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა. ჩრდილოეთით ქალაქს უნაგირას მთა ეკვრის, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქს ისეთი ფრიალო კლდე იცავდა, რომ ამ მხრიდან მტრის შემოტევა შეუძლებელი იყო. აღმოსავლეთით კი მას ვაკე ადგილი ესაზღვრებოდა. ნოქალაქევის მიდამოები მდიდარი იყო და არის სახნავ-სათესი საკარგულებით, რაც ქალაქის სურსათით მომარაგებას აადვილებდა. კოლხეთის ჭაობიანი ნიადაგისგან განსხვავებით, აქაურობა მშრალია. აღმოსავლეთით გაშლილი ვაკის გამო ციხე-ქალაქი ამ მხარეს განსაკუთრებულ გამაგრებას საჭიროებდა, ამიტომაც აქ სამი კედელია. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს კამაროვანი გადახურვის გვირაბი. იგი მტრისგან შეუმჩნეველი იყო. ამ არქიტექტურული ნიჭის ბრწყინვალე გამოვლინებაში მკაფიოდ იკითხება ეგრისის სამეფოს დაწინაურება კულტურის სფეროშიც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მისი დამსახურებით ალყისას ქალაქის წყლით მომარაგება პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

ციხე-ქალაქი დაშორებული იყო ზღვას, საიდანაც მთავარი მტერი მოდიოდა. სანამ მომხდური ზღვიდან მოაღწევდა, ქალაქი მტერს მომზადებული ხვდებოდა. ის მთისა და ბარის გასაყართან მდებარეობს, აქედან მოსახერხებელი იყო მთის ტომების გაკონტროლებაც. ქალაქი ნაგებია როგორც ნატეხი, ისე კვადრატული ქვით. მდინარე ტეხურის წყალობით ციხე-ქალაქს სანაოსნო მაგისტრალიც გააჩნდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქალაქი უშუალოდ სავაჭრო მაგისტრალზე თუ არა, მის სიახლოვეს მაინც მდებარეობდა. მოკლედ, „ციხე-ქუჯისა", ანუ ციხე-გოჯი თითქმის ყვე-

ლა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, რაც ქვეყნის დედაქალაქისთვის იყო საჭირო.

I-III საუკუნეებში კოლხეთი დასუსტებული იყო, ამ პერიოდში ძლიერი იყო რომის იმპერიის ძლიერი ექსპანსია. ზღვიდან მოშორებული ნოქალაქევის დედაქალაქობა, ვინაიდან მტრისთვის მისი დამორჩილება გაძნელებული იყო, ხელს აძლევდა იმ ძალებს, რომელნიც ქვეყნის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. რომი კი დაინტერესებული იყო ლაზიკის დამორჩილებით და მისი გაძლიერება არაფრად ეპიტნავებოდა. მისთვის უმჯობესი იყო დედაქალაქი არა ქვეყნის შუაგულში (როგორც ეს ნოქალაქევის შემთხვევაშია), არამედ ზღვის სანაპიროს სიახლოვეს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ I-III საუკუნის არქეოლოგიურ ფენებში აშკარად იკითხება ცხოვრების ტემპის მკვეთრი შემცირება.

გამოცოცხლება იწყება IV საუკუნიდან, როცა ვითარება არსებითად შეიცვალა. რომის იმპერია (იგივე ბიზანტია) დაინტერესებული იყო ლაზიკის გაძლიერებით. იმპერია მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მწვავედ ედგა ბარბაროსთა პრობლემას. ლაზიკის ტერიტორია მოქცეული იყო კავკასიის ბარბაროს ტომებსა და ბიზანტიას შორის. იმპერიის დასარბევად დაძრულ ბარბაროსთა ურდოებს ლაზიკაზე უნდა გაევლოთ. სწორედ ამიტომ იმპერატორები ლაზიკის მოღონიერებას ცდილობდნენ, რათა მას ამ ტომების იმპერიაზე თავდასხმებისთვის ხელი შეეშალა. ციხე-ქალაქის დღევანდელი გრანდიოზული ნაშთები ამ ეპოქას განეკუთვნება. გათხრებისას გამოვლინდა სამეფო სასახლის ნაშთი, მოგრძო ფორმის, რომელიც სავარაუდოდ, ორსართულიანი იყო. სასახლეს ორი აივანი ჰქონდა. მსგავსი აივნები დღესაც ტრადიციული ქართული ნაგებობის სახეა. როგორც ჩანს, აქ გვაქვს ადგილობრივი ხალხური ელემენტების შეჭრა არქიტექტურაში. დასაშვებია ვარაუდი, რომ მაშინაც ხშირად აგებდნენ ქართველები სახლებს მსგავსი აივნებით. მართალია, ეს არ კმარა ადგილობრივი ეროვნული არქიტექტურის სკოლაზე საუბრისთვის, მაგრამ ამ დაშვებას არსებობის უფლება აქვს.

ნოქალაქევი ქონგურებისა და ზოგადი აგებულების მიხედვით იმ დროის ბერძნული საფორტიფიკაციო ნაგებობების მსგავსია. ის გონიოს ციხესაც ჰგავს. აქ კიდევ ორი სამეფო სასახლე იყო, გათხრებისას კი ექვსი ტაძრის ნაშთი გამოვლინდა. ორმოც მოწამეთა სახელობის ტაძარი კარგად არის შემონახული. ის თავდაპირველად ბაზილიკური ტიპისა იყო, შემდეგ კი გუმბათოვნად გადაკეთდა. სამეფოს ძლიერების ჟამს IV საუკუნეში აქ უამრავი აბანო აიგო. ერთი მეტად დახვეწილია, ის უთუოდ არისტოკრატიული წარმომავლობის პირთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე — მოსახლეობის დაბალი ფენებისთვის. აბანოთა ამ ნაშთებს საკმაოდ რთული დაგეგმარება აქვთ, რაც აბანოთმშენებლობის დაწინაურებაზე მიუთითებს. აბანოთა ფასადს არც მხატვრული გაფორმება აკლია. ნაგებობათა დიდი ნაწილი ხეტყით მდიდარ ეგრისში

სამეფო უბანი. წინა პლანზე კოშკი (V ს-ის მიწურული – VI ს-ის დასაწყისი) განიერი თაღით, მეფეთა სამყოფის ტრიუმფალურ შესასვლელს წარმოადგენდა

პირველი გალავნის საბრძოლო ბილიკზე ამაღალი კიბე

ადრეული ეკლესიის აფსიდი და სამნავიანი ბაზილიკა გათხრების შემდეგ

მდინარე ტეხურზე ჩამავალი 40-მეტრიანი გვირაბი. მისი საშუალებით ქალაქი წყლით მარაგდებოდა

ბუნებრივია, ხისა იქნებოდა, რომელთა ნაშთი არ შემორჩენილა.

542-562 წლებში ეგრისში დიდი ომიანობა იყო სპარსელებსა და ბერძნებს შორის, სასტიკი ბრძოლები ნოქალაქევთანაც მოხდა. ეგრისელი და რომაელი მოკავშირეები მდინარე ფაზისის შესართავთან იყვნენ, მათ წინააღმდეგ სპარსთა სარდალი მერმეროე დაიძრა. სპარსელებს მათი განეიტრალება სურდა, რათა ნოქალაქევზე შეტევისას საიმედო ზურგი ჰქონოდა. მოკავშირეები მერმეროეს იქ არ დახვედრიან. ისიც მობრუნდა და ნოქალაქევს შეუტია, დაახლოებით 4000-მდე კაცით, სპილოებისა და სამხედრო მანქანების გამოყენებით. ციხეს რომაული გარნიზონი იცავდა, ბაბასა და ოდანაქეს მეთაურობით. ბრძოლა სასტიკი გამოდგა, რომაელებს ძლიერ გაუჭირდათ. მტერს სულ ცოტა აკლდა და ციხე-ქალაქი დაეცემოდა. ამ ვითარებაში სარდლებმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს და მტერს კედლებს გარეთ შეუტიეს. ამ მანევრს მოულოდნელობის ეფექტი ჰქონდა. იმავდროულად, სპარსთა რიგებში არეულობა შეიტანა ერთ-ერთმა საბრძოლო სპილომ. საბოლოოდ, რომაელებმა გაიმარჯვეს. მერმეროემ ხელმეორედაც სცადა ციხის აღება, მაგრამ ამაოდ.

ნოქალაქევის მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ სფეროსებრი ქვები, რომელსაც მტრები ციხე-ქალაქს კატაპულტებიდან უშენდა. წყაროებმა მხოლოდ ნაწილი შემოგვინახეს იმ სისხლისმღვრელი ომებისა, რაც ქალაქმა გადაიტანა. არქეოლოგიური ფენებიდან მრავალი სახის დაზიანება გამოიკვეთა. მტერმა დააზარალა, მაგრამ მაინც ვერ გაანადგურა „დიადი არქეოპოლისი“.

VIII საუკუნის ოცდაათიან წლებში ხალიფამ ამიერკავკასიის ხალხთა დასასჯელად გამოგზავნა მურვან-იბნ-მუჰაამედი, იგივე მურვან ყრუ, სტეფანოს ერისთავის ძეებმა მირმა და არჩილმა თავი აფხაზეთს შეაფარეს. მურვანი მათ კვალს შეუდგა. ის გზად ყველაფერს სპობდა. წყაროებში მხოლოდ მითითებულია, რომ მურვანმა შემუსრა ციხე-გოჯი, მაგრამ როგორ და რა ხერხით, ამაზე არაფერია ნათქვამი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მურვან ყრუმ ციხე ასეთი ხერხით აიღო: ციხის ერთ-ერთ ნაწილს ძირი გამოუთხარა, შიგნით შეშა შეუწყო და ცეცხლი წაუკიდა, რაც შეშის ზემოთ კონსტრუქციას ჩამოშლიდა.

ნოქალაქევის შემზარავად მოოხრება არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა. გამოვლინდა ნაცრის სქელი ფენები და ხანძრისგან გაწითლებული ქვები. ვახუშტის ცნობით, ნოქალაქევს არსებობა არც აოხრების შემდეგ შეუწყვეტია. ამ ცნობის სისწორეც გათხრებმა დაადასტურა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვახუშტის თხზულების მაღალ ისტორიულ ღირებულებას. თუმცა როგორც დედაქალაქი, ამ თავდასხმის შემდეგ ციხე-გოჯი აღარ არსებობდა.

XVI საუკუნეში აქ დადიანთა ერთ-ერთი შტო დამკვიდრდა და მცირე მასშტაბის აღმშენებლობითი სამუშაოებიც ჩაატარა. ორმოც მოწამეთა ტაძარი მოხატეს და მინაშენიც მიამატეს. მოხატულობა გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე იყო შემონახული, დღეს კი მისი მხოლოდ ფრაგმენტებია, მათ შორის, საკურთხევლის ზემოთ ბაზილიკური ტაძრის საინტერესო გამოსახულება. წირვისას ხალხი კედლებს აწვებოდა და დაძველებულ, ისედაც მორღვეულ ბათქაშს კიდევ უფრო აზიანებდა.

ფრესკების დაზიანება დღესაც გრძელდება. ციხე-გოჯი შეტანილია ბოლოხანს რესტავრირებულ ტაძართა ნუსხაში, თუმცა რესტავრირებულისა და მოვლილის მასზე თქმა ძნელია. აღმოსავლეთის გალავნის სამხრეთი კოშკი ისეა გადახნექილი მდინარე ტეხურისკენ, რომ ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლის განადგურება ნებისმიერ წამსაა მოსალოდნელი. სამეფო უბნის ჭიშკრის თავზე სამრეკლოა მოწყობილი, კოშკის თავი კი მთლიანად მოცემენტებულია. ამას გარდა, მოჩანს უამრავი დიდი თუ მცირე ბზარი. ისტორიული ძეგლი არქეოლოგიურად შეისწავლეს 1930 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ხოლო 1973 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ.

ზაფხულობით ნოქალაქევს უამრავი მნახველი ჰყავს. მისი მუზეუმი უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზეც, ძვირფასო მკითხველო. აქ გამოფენილია თიხის ჭურჭელი თუ შუბისპირები, მონეტები და სფეროსებრი ქვები. ოდესღაც ქალაქს სამი გალავანი ზღუდავდა, მთელი მხოლოდ ერთი გადარჩა. ობლად დარჩენილა დიდი კოლხეთის ნაშთი — უძველესი გალავანი.

გეპატიჟებით ციხე-გოჯის ნაქალაქარზე...

ბექა ჭიჭინაძე

სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

ორმოც მოწამეთა სახელობის ტაძარი კარგად არის შემონახული. ის თავდაპირველად ბაზილიკური ტიპისა იყო, შემდეგ კი გუმბათოვნად გადაკეთდა

პაცი, რომელმაც „ასაპი დაპარბა...“

ვაჟა გიგაშვილის

მოგზაურობა „საქართველოს გარშემო“

ტყუილი არ მითქვამს, როცა ვაჟა გიგაშვილს ვუთხარი, ასე მგონია, მიუხედავად ასაკისა, თქვენში ბიჭი გადაარჩინეთ-მეთქი...
მართლაც გადაარჩინა! ამიტომაც არის, არც ასაკი აწუხებს, არც ამბიციების ტყვეა და არც საკუთარი ნიჭის მეხოტბე... უბრალოდ, მეგობრობაშიც ალალია და შემთხვევით ურთიერთობაშიც... ლამაზად თქმისა და შთაბეჭდილების მოხდენისთვის არასდროს უთქვამს სიტყვა. ისე დაგელაპარაკება, გეგონება მეგობრების წრეში შეხვდი, მასთან ერთად ეს-ესაა ჭიქა ღვინოსაც გაუსინჯე ჭაშნიკი, მერე ცხოვრებას გადახედეთ და ნახევარი სიტყვითაც გაუგეთ ერთმანეთს. ამიტომაცაა, შენ წინ ორატორი კი არ ზის, ადამიანია, რომელიც „საორატოროდ“ არასოდეს გარჯილა. როდის იყო, მეგობრობას ორატორობა სჭირდებოდა...

თავის ცხოვრებაზეც მშვიდად, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ლაპარაკობს...

— პირველი მოგონებები ბაბუაჩემის სახლში ცხოვრებას უკავშირდება...

სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი, ბაბუასთან ვიყავით მარჯანიშვილზე, ბიძაჩემს — ბიძინა გოგოძეს ჯერ ცოლ-შვილი არ ჰყავდა... ელექტროინჟინერი იყო, ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის დირექტორი... მაშინ ასეთი წესი იყო, თანამდებობის პირებს იარაღის ტარების უფლება ჰქონდათ. სამსახურიდან რომ მოვიდოდა, ამოიღებდა თავის ბრაუნინგს, ამოაცლიდა ტყვიებს და გვაძლევდა... მახსოვს, რა დიდი და მძიმე იყო ის იარაღი. უზარმაზარი მეგონა. ამ დროს პატარა იარაღია...

მახსოვს, როგორ მიყვარდა ბაბუას მკერდში ჩახუტება.

მერე, როცა მასთან აღარ ვცხოვრობდი,

კვირა არ გავიდოდა, ორ-სამჯერ არ მენახა... მიკვირს კიდეც, როგორ ვასწრებდი...

კობის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ახლა იმ ადგილას, სადაც ჩვენი სახლი იდგა, სასტუმრო „საქართველოა“. მერე მარჯანიშვილზე გადავედით. დავდიოდი მეშვიდე ვაჟთა სკოლაში...

მამაჩემი სულ შეწუხებული იყო, რომ აქეთ-იქით დავეხეტებოდი. ერთი მეგობარი მყავდა, მგალობელ ჩიტებს იჭერდა. ეს სერიოზული ხელობაა... ბადე ჰქონდა დასაგები და ჰყავდა დამძახებელი სხვადასხვა ჯიშის ჩიტები: ჩიტბატონა, ჟივჟავი, მწვანულა... დაყრიდა მზესუმზირის ნაქუჩელს, იქვე ძაფით დაბმული ჰყავდა დამძახებელი ჩიტი... მეორე, ბუდეში ეჯდა ხეზე... დამძახებელსაც გააჩნია, თუ მაგარი ხმა აქვს, შეიძლება ჩიტების მთელი გუნდი მოაბრუნოს... რომ დასხდებოდნენ ფრინველები, ჩასაფრებული მოქაჩავდა და ბადეში მოაქცევდა... შეიძლებოდა ხუთი, ათი ან მეტი ჩიტი გაბმულიყო. ეს აარჩევდა მომღერალ ჩიტებს და დანარჩენს გაუშვებდა... მერე მომღერალ ჩიტებს ყიდდა...

კიდევ სხვა გატაცებებიც მქონდა და დავდიოდი აღმა-დაღმა...

მამაჩემის მეგობარი იყო ბორია კალანდარიშვილი, ცნობილი გეოლოგის — აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის სიძე. მან უთხრა მამაჩემს: სულ რომ ნერვიულობ და ბრაზობ, სად დადის შენი შვილი არ იცი, მოდი, გეოლოგებთან ერთად გაუშვი და მშვიდად იქნები, გეცოდინება, ცუდს არაფერს აკეთებსო.

გამიშვეს გეოლოგიურ პარტიაში აფხაზეთში, ამტყელის ხეობაში. მანდ იყო ტყვიის მადანი და დიდი სამუშაოები მიმდინარეობდა.

ერთი სასაცილო ამბავი მახსენდება, რომ მივდიოდი, დედამ კექსი გამომიცხო, წაიღეო... მე ცხადია, ვითაკილე... „კრაზანა“ და „ლეტი ბამბო“ მაქვს წაკითხული და ვფიქრობ: კექსი არა ის! ამას როგორ გამოვაჩენ სადმე-მეთქი. ამოვიღე ჩანთიდან, მაგრამ დედას მაინც ჩაუდევს... უკვე აფხაზეთში აღმოვაჩინე, რომ კექსიც თან მქონდა. ძალიან შემრცხვა და გადავწყვიტე, შესაფერის დროს, ისე რომ სხვებს არ დაენახათ, გადამეგდო... უპოვიათ უფროსებს და დამცინიან: ეს ვაჟა რა წუწკი ყოფილა, ნამცხვარი აქვს და თავისთვის ინახავსო. გავწითლდი, გავყვითლდი, რა მეთქვა, აღარ ვიცოდი... მერე დაჭრეს და ჭამეს... ძალიან ისიამოვნეს. მე რა ვიცოდი, თუ ასე მოეწონებოდათ. თურმე რას მალავ, მიეცი, რა!

გაუვალი ტყე იყო ამტყელში, აქ დავყვებოდი გეოლოგებს, ვეხმარებოდი სინჯის აღებაში, სიმძიმის წამოღებაში.

ეს იყო ჩემი პირველი წასვლა მთაში...

მანდ ვნახე პირველად ცოცხალი დათვი. საწყობის გამგე იყო ერთი, უსაქმურად იყო ხოლმე. ამონალი უნდა მიეცა ამათთვის, საკვები მიეწოდებინა... ერთხელ ერთად წავედით კალმახის დასაჭერად. საგუბარს გავაკეთებდით, ჩავაგდებდით „შაშკას“, ამოვკრეფდით 10-15 კალმახს და წამოვიდოდით. მე ჩანთა მიმქონდა, ამას კიდევ ერთლულიანი თოფი ეკიდა. თანაც მონადირედ დებდა თავს. მწყერზე უნადირია კახეთში. მოშიშვლებულ ადგილზე გავედით. კორდივით იყო რაღაც. ვხედავთ, ზის დიდი დათვი. ეტყობა, თან ბებერი იყო... იჯდა და გვიყურებდა. ჩვენც ვდგავართ და შტერებივით ვუყურებთ. აბსოლუტურად გაგვეთიშა ტვინი. მერე ადგა დათვი... მაშინღა ვნახეთ, რამხელა იყო! წავიდა ნელა ტყეში. თოფი რისთვის წამოიღე-მეთქი, დავუძახე საწყობის გამგეს... აუ, ბიჭო, სულ

მეგობარმა უთხრა მამაჩემს: სულ რომ ნერვიულობ და ბრაზობ, სად დადის შენი შვილი არ იცი, მოდი, გეოლოგებთან ერთად გაუშვი და მშვიდად იქნები, გეცოდინება, ცუდს არაფერს აკეთებსო..

მონადირე ვაჟა გიგაშვილი

ამტყელის ხეობა

დამავიწყდაო. მერე ვფიქრობდი, კიდევ კარგი, რომ დაავიწყდა, ეს დათვის მომკვლელი არ იყო, ის კი გაბრაზდებოდა და ორივეს დაგვხოცავდა-მეთქი...

არჩევებზე ნადირობაში მივიღე მონაწილეობა. ამოვიდა იქაური ბერძენი სანადირო თოფით... თურმე შაშხანა ზემოთ აქვს დამალული... გეოლოგებს რას გამოაპარებდა... ამათ ყველაფერი იცოდნენ! ჩავაცივდი, წამოგყვებიმეთქი... 13-14 წლისა ვიყავი, წამოგაღებინებ მაინც ნანადირევს-მეთქი.. გავყევი სანადიროდ ბერძენს. ვნახე, როგორ უთვალთვალა არჩევებს. მერე კი შაშხანა როგორ ამოიღო, არც მინახავს... ესროლა, ორი არჩვი მოკლა იმ დღეს. მე რომ არ წავყოლოდი, ერთზე მეტს არ მოკლავდა, ვერ ჩამოიტანდა და... წამოვედით, ისევ თოფით მოდის, ვითომ შაშხანა არც ჰქონია. დაბლა სიმონა იყო ერთი, ცეცხლივით კაცი, მაგარი გეოლოგი, ნატყვიარს დახედა და: მე რას მატყუებ, შაშხანითაა მოკლული ეს არჩვიო...

მახსოვს, სოფელ აბლუხვარაში ყაბარდოდან ნაყიდი ცხენები ჰყავდათ მორეკილი, იქაურ მეგრელებს ახედნინებდნენ... არ დამავიწყდება ეს სანახაობა, ხან თოკით მეჭირა ცხენი, ხან რას მავალებდნენ, ხან — რას. ქვებით საგსე ტომარას გადაჰკიდებდნენ ცხენს და არბენინებდნენ. მერე ერთი მეგრელი იყო, პატარა ტანის, მხრებგანიერი, გაღუნულფეხებიანი, ჭინკასავით მოახტებოდა ცხენს და იყო ერთი ამბავი.

მერე პიონერთა სასახლეში დავდიოდი ალექსანდრა ჯაფარიძისა და მზია ერისთავის სექციაში. იქიდანაც წამიყვანეს ხევში, თრუსოს ხეობაში...

მთაში რომ დავდიოდი, ეს უპირატესობის გრძნობას მიჩენდა. ჩემს კლასელებს აბა სად ჰქონდათ ნანახი ამდენი საინტერესო რამ...

სკოლა კარგად დავამთავრე, მედალი უნდა ამეღო, ოთხიანები დამიწერეს ქართულ წერასა და ფიზიკაში... მერე, მისაღები გამოცდები რომ ჩავაბარე, ფიზიკაში ისე კარგად ვუპასუხე, რომ დაუძახეს კომისიის თავმჯდომარეს, ნახე, როგორ იცისო... მართლა კარგად ვიცოდი ფიზიკა. ლიტერატურაც კარგად ვიცოდი... მამაჩემისგან მარტო მოსმენილით შემეძლო მაგრად მესწავლა.

იოლად ვსწავლობდი...

მახსოვს ჩემი მასწავლებელი — ოლია, ზურაბ მიქელაძის (ცნობილი ფილოსოფო-

სი, რომელიც გადაასახლეს ვორკუტაში და სასჯელს იხდიდა ლევან გოთუასთან ერთად. — ლ.ჯ.) დედა, ჯადოს ვეძახდით. დაფისკენ რომ იყო მიბრუნებული, მაშინაც კი ზუსტად გრძნობდა, ვინ რას აკეთებდა... გვიკვირდა, ზურგიდანაც ხედავს თუ რა არისო... ისიც ვიცოდით, რომ შვილი ჰყავდა ციმბირში გადასახლებული და ნამყოფი იყო მასთან... წლების მერე ვნახე ზურაბ მიქელაძე... ვუყურებდი: ეს არის ოლია მასწავლებლის შვილიმეთქი და მიხაროდა...

პროფესია უცნაურად ავირჩიე... საერთოდ, ვხატავდი. დედაჩემის დეიდის ქმარი იყო მოსე თოიძე. კატო დეიდა — ბებიას და, ძალიან ახლოს იყო ჩვენთან. ახლა რომ ვფიქრობ, რა კაცი იყო მოსე თოიძე: ამხელა მხატვარი დაჯდებოდა საღამოობით და ალბომებს მათვალიერებინებდა... მასწავლიდა ხატვას. სად ჰქონდა ამისი დრო, ისედაც ამდენი საქმე ექნებოდა... მისი ნაჩუქარი დიურერის გამოცემა ახლაც მაქვს შინ. მერე რომ გამომაცილებდა ხოლმე, გამოიტანდა ასანთს და გაჰკრავდა... შუქი არ იყო სადარბაზოში. გახვედი? — დამიძახებდა. გავედი-მეთქი, — ვეტყოდი და ისიც შევიდოდა შინ.

აკადემიისთვის ვემზადებოდი. დავდიოდი გრიშა მესხთანაც... ძალიან კარგი კაცი იყო.

მერე დავიწყე ხატვის ტექნიკის შესწავლა, ვაკეთებდი ასლებს... ვსწავლობდი, როგორ ხატავდა დიურერი, როგორ ხატავდნენ სხვები...

X კლასში ვიყავი, მოსე რომ გარდაიცვალა. ამ დროს გადავეკიდე ბელკას „კამანდას“ (თბილისელი ბიჭების ერთი ჯგუფი — ლ.ჯ.). მერე მოთხრობაც დავწერე ამაზე... მაშინ ბაზარშიც შეიძლებოდა ნანადირევის გაყიდვა. ბელკა ამით ცხოვრობდა... მივატოვე ხატვა და ავყევი ამათ. შინ ერთი ამბავი იყო, დარდობდნენ...

გავიდა ორი წელიწადი, აღარ მიმუშავია ხატვაში. დეიდაჩემის ქმარი იყო დემნა შენგელაია, მან წამიყვანა მაშინდელი აკადემიის რექტორთან — სერგო ქობულაძესთან. ისეთი მოთხოვნა იყო, მისაღებ გამოცდაზე უკეთ ხატავდი, ვიდრე IV კურსზე... ქობულაძე ძალიან მკაცრი იყო. მითხრა, კარგი ბიჭი ხარ, ხატავ, მაგრამ შენ რომ სპორტსმენი იყო, ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაზე გამოხვალ, ორი წელიწადი თუ არ გივარჯიშიაო? ასეა აქაც... არ გივარჯიშიაო...

მამაჩემის მეგობარი იყო არქიტექტორი ლონგო სუმბაძე, მისი რჩევით წავედი არქიტექტურის ფაკულტეტზე...

ისე ვაბარებდი, თითქოს ფეხზე მეკიდა... ასე მივედი ინსტიტუტშიც, მაგრამ მერე ჩამითრია და დავინტერესდი. ახლა ძალიან მადლობელი ვარ. ლიტერატურაშიც გამომადგა, რაც არქიტექტურაში ვისწავლე. სისტემურ აზროვნებას მივეჩვიე სივრცეში...

პირველი მოთხრობა როდის დაიბეჭდა? — დედაჩემის მეგობარი იყო მაყვალა მრევლიშვილი, მაშინ ჟურნალ „დილის“ რედაქტორი. იცოდა, ცხოველები და ფრინველები მიყვარდა, ბევრს დავდიოდი და შემომთავაზა, პატარა მოთხრობები დაწერე ცხოველებზეო. დავწერე... დაიბეჭდა „დილაში“. ამას არც ვთვლიდი იმად, რომ ვწერდი და ვბეჭდავდი... წერა სერიოზულად მერე დავიწყე... სტუდენტობაშივე სერიოზული ინტერესი გამიჩნდა.

ლიტერატურაშიც გამომადგა, რაც არქიტექტურაში ვისწავლე. სისტემურ აზროვნებას მივეჩვიე სივრცეში...

„მენატრება ადგილები, სადაც ვყოფილვარ ადრე, მენატრება ადამიანები, რომლებიც აღარ არიან და დრო, რომელშიც ხან 13 წლის ვიყავი, ხან 25-ის...“

მოვიგონე ასეთი ამოცანა, ავიღებდი სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებს — ექსპრესიონისტებს, ფოვისტებს, ზოგჯერ სპარსულ მინიატურას და სიტყვების მეშვეობით ვცდილობდი მათი განწყობის გადმოცემას, ოღონდ შინაარსს არ აღვწერდი...

ვმუშაობდი ეთნოგრაფების ექსპედიციებში... ძალიან საინტერესო იყო.

ხევსურეთში პირველად გურამ რჩეულიშვილმა წამიყვანა. გურამმა ყველა გადარია, ისე ჯირითობდა ცხენით, პატარაობიდანვე იცოდა ჯირითი...

გურამთან ერთად ჩხუბში თუ მოვხვედრილვარ? ბევრჯერ! მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ არაფერი შემემთხვეოდა ცუდი, რადგან გურამი იქ იყო. არ მეშინოდა!

ინსტიტუტის მერე შოთა ყავლაშვილმა წაგვიყვანა ოთხი ბიჭი. ვატყობდი, რომ ძალიან მიჭირდა წუთი წუთზე სამსახურში მისვლა და იქიდანაც ზუსტად ერთსა და იმავე დროს წამოსვლა...

მერე ზურა წერეთელთან გადავედი. გრაფიკი თავისუფალი მქონდა, ანაზღაურება — უკეთესი. ერთ თვეში ვიღებდი იმდენს, რაც საპროექტოში წელიწადში გამომდიოდა. გავაკეთებდი საქმეს და წავიდოდი მთაში...

ჩვენ ისეთი თაობა ვიყავით, მშობლებიც ისეთი გვყავდა, აზრად არ მოგვსვლია, ფული მოგვეგროვებინა. არადა, ალბათ, უნდა მოაგროვო, რომ სიბერეში საფიქრალი არ გქონდეს...

ზედიზედ ბევრი ცუდი რამ მოხდა. თორმეტჯერ მაინც ჩამიფლავდა საქმე, დავრჩი ასე... არსაიდან არაფერი ჩანს...

სულ რამდენიმე წლის წინ, 68-69 წლისა სულ არ ვგრძნობდი ასაკს. წიწამურში ავხტებოდი ხის ტოტზე, გავქანდებოდი და გადავევლებოდი რკინის ღობეს, ბოქლომის გაღება რომ მეზარებოდა!

სულ ვვარჯიშობდი, იპოდრომზე დავდიოდი...

ბოლო ოთხ წელიწადში ძალიან მოვშალე საკუთარი თავი...

ჩემთვის ძალიან კარგი როლი ითამაშა იმან, რომ ასაკი მავიწყდებოდა კიდეც.

ლიძავაში დავდიოდი დასასვენებლად. იქ რეზო თაბუკაშვილს სახლი ჰქონდა და ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდნენ. 16 წლის იყო ლაშა თაბუკაშვილი, მოვიდა და მომეწება. თამამი ბიჭი იყო, ისე მივიღე, თითქოს ტოლები ვიყავით... არადა, უკვე ინსტიტუტი დამთავრებული მქონდა, ვმუშაობდი...

ლაშას დამეგობრებამ გადამიყვანა მის ასაკში... ცოტა ასაკი მაშინ დავკარგე...

მერე ლაშას შვილს — რეზოს დავუმეგობრდი... იმასთანაც დავკარგე ასაკი...

ვამაყობ ხოლმე: ერთი ოჯახის სამ თაობასთან ვმეგობრობდი-მეთქი: უფროს რეზო თაბუკაშვილთან, ლაშასთან და პატარა რეზოსთან!

მიყვარს ახალგაზრდებთან მეგობრობა. კოტე ჯანდიერი, ზაალ სამადაშვილი, დათო აგიაშვილი, გიგი სულაკაური, ბაადურ ბალარჯიშვილი და კიდევ სხვები ჩემზე ბევრად უმცროსები იყვნენ და ჩემთან მეგობრობდნენ...

ამათ აღარც ახსოვდათ, რომ ასაკით უფროსი ვიყავი... არც მე მახსოვდა...

რა მენატრება? — მენატრება ადგილები, სადაც ვყოფილვარ ადრე, მენატრება ადამიანები, რომლებიც აღარ არიან და დრო, რომელშიც ხან 13 წლის ვიყავი, ხან 25-ის...

ლელა ჯიყაშვილი

მხიარული ამბები „ივერიიდან“

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან.
ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ ასევე ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ივერია

1877—1886 წელიწადი 1124 სასოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წ.

* * *

ერთხელ განრისხებულმა გრაფმა ესსეკსმა უთხრა ერთს ბერსა, შენ ღირსი ხარ ტემზის წყალში გადაგაგდონო.

— მერე, რა მიშავს, უპასუხა ბერმა: განა წყლით უფრო შორს არის ზეცა, ვიდრე ხმელეთითაო?

„ივერია“, 1894 წ. №93

* * *

ელჩი სადმე მოუვიდა მეფე ერეკლეს, რომელმაც სტუმრის საპატიოდ დიდი მეჯლისი გამართა. შუა ლხინში გამხიარულებული მეფე მიუბრუნდა სოლომონ მსაჯულს და ჰკითხა: როგორ მოგწონს ნადიმიო.

— კარგია, მეფეო! გარნა ეს ნადიმი მამითქვენისაა და არა თქვენი. თქვენი შვილები ამისთანა ნადიმს როცა გამართავენ, აი, თქვენი მაშინ იქნებაო, უპასუხა მსაჯულმა.

მეფე მიუხვდა, რომ ბატონიშვილებს გადაუკრა ეს სიტყვა. ჩაფიქრდა და თავის თხელ წვერზე წაივლო ხელი.

„ივერია“, 1886 წ. №180

* * *

რატომ ევას არა ჰყავდა მოახლე? ერთი ამერიკელი ამის პასუხადა სწერს: „ბევრი ულაპარაკნიათ და ბევრი უწერიათ დედაკაცთა ნაკლის შესახებ და სხვათა შორის ამბობენ, რომ დედაკაცი უმოახლეოდ ვერ გასძლებსო. რატომ ევას — კი არა ჰყავდა მოახლე? იმიტომ, რომ ევასთვის მოახლე სრულიად არ იყო საჭირო. ადამი არასოდეს არა სთხოვდა ხოლმე ევას, წინდები მომიქსოვე, ან კიდევ სერთუკზე ღილი ამწყდა და დამიკერეო. არ უთხოვნია აგრედვე, ხელთათმანი გამერღვა და გამიკერეო. ადამს ჩვეულებად არა ჰქონიდა, მზის ჩასვლის დროს სამოთხეში დივანზედ გამოჭიმულიყო და გაზეთების კითხვა დაეწყო, და როცა კითხვა მობეზრდებოდა, მოუთმენლად წამოეძახოს: „ნუთუ ვახშამი ჯერ მზად არ არისო!“ ადამი თითონ აჩაღებდა ცეცხლსა და საჭმელსაც თითონვე ხარშავდა. ერთის სიტყვით, ოჯახში ყველაფერს აკეთებდა: ძროხას თითონ სწველიდა, ქათმებს თითონ უყრიდა საკენკს და სადილის დროს რომ შინისკენ გამოსწევდა, არასოდეს თან არ მოუყვანია მშიერი მეგობრები და ევასთვის არ უბძანებია: „აბა, ჩქარა სადილიო!“ ადამს ჩვეულებად არა ჰქონია, ღამის პირველ საათზედ შინ დაბრუნებულიყო და ევასთვის ჩხუბი დაეწყო, რას მელოდი, რა გატირებდა, რატომ უჩემოდ არ დაგიძინიაო. ადამს არასოდეს რესტორანში არ უქეიფნია ღამე იმ დროს, როცა ევა პატარა კაენს აკვანში არწევდა და ტკბილს ნანას ეუბნებოდა. აგრედვე ადამს ჩვეულებად არა ჰქონია, თავისი წაღები აქეთ-იქით კუთხეებში გადაეყარა და მეორე დღეს

მამია გურიელი

ევასთვის ჩხუბი დაეწყო: „ჩემი წაღები რა იქნაო“. ერთის სიტყვით, ადამს ფიქრად არ მოსვლია, ღმერთმა ცოლი იმისთვის მომცა, რომ ვიმსახუროვო. აი, ბატონებო! ყველა ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ევასთვის მოახლე საჭირო არა ყოფილა“.

„ივერია“, 1893 წ. №92

* * *

როდესაც ქუთაისში სასტუმრო „ბათომი“ დაიწვა, სულ ყველა ამ სასტუმროს მცხოვრებნი გადავიდნენ სასტუმრო „კოლხიდაში“, რომელიც „ბათომის“ პირდაპირ იმყოფებოდა, და ეს ქუთაისის საუკეთესო სასტუმრო უფრო გაცხოველდა. მხოლოდ თავადი მამია გურიელი დარჩა „ბათომის“ ერთადერთს ცეცხლიდგან გადარჩენილს ოთახში და არ სტოვებდა ნანგრევებს.

— ბატონო მამია, სადა სცხოვრობთ, ან რას აკეთებთო? — ჰკითხა პოეტს ერთ-ერთმა ნაცნობმა.

— ვსცხოვრებ „ბათომის“ ნანგრევებში და ვოცნებობ „კოლხიდის“ დიდებაზეო, მიუგო მამიამ.

„ივერია“, 1886 წ. №166

* * *

უმორჩლესად გთხოვთ თქვენი გაზეთი „ივერია“ მუქთად მიგზავნოთ ამა 1893 წლის განმავლობაში, რადგანაც დიდად აღჭურვილი ვარ ამ გაზეთის კითხვის სურვილით, ამასთანავე გთხოვთ, გაზეთთან ერთად კაციც

ქუთაისი
***ალექსანდრე როინაშვილის** ფოტო*

გამომიგზავნოთ ხოლმე და დააკალოთ, გაზეთი ყოველ დღე წამიკითხოს, რადგანაც, თუმცა, მართალია, ქართველი კაცი ვარ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქართული კითხვა არ მისწავლია.

„ივერია“, 1893 წ. №4

* * *

ერთხელ არა-ახოვანის ტანის პატრონი ბატონი ჭ-ია ამბობდა ვიღაცაზე: ისეთს გულზე მომიყვანა, რომ კინალამ გავარტყიო, თუ არ გავარტყიო, მარტო იმისთვის, რომ...

— ახლო სკამი არ იყო, რომ ზედ შემდგარიყავიო, — დაათავა აკაკიმ.

„ივერია“, 1886 წ. №168

* * *

ლევან დადიანი მურს იყო და ერთხელ ოტია ჩიქოვანს გაუჯავრდა, გამოჩენილის ბერი გელოვანის დისწულს. ჯერ კარგად შერისხა იგი და შემდეგ მიუბრუნდა გელოვანს:

— ბერო, ამ შენს დისწულს ცოტა არ იყოს, ჭკუა აკლიაო.

— არა, ბატონო, აკლია კი არა, სულაც არა აქვსო, მოახსენა მთავარს გელოვანმა.

„ივერია“, 1886 წ. №178

* * *

ამ ბოლოს დროს ყველა რკინის გზის მმართველობა სასტიკადა სდევნის ესრედ წოდებულ „ბრუციანებს“, ე.ი. უბილეთო მგზავრებს. ერთ პატარა ქალაქიდგან მატარებელში უბილეთოდ ჩაჯდა ერთი ისრაელი.

მატარებელი დაიძრა.

— თქვენი ბილეთი — ჰკითხა ისრაელს კონდუქტორმა.

— ბილეთი? დავკარგე.

მიუახლოვდა თუ არა პირველს სადგურს მატარებელი, საბრალო ისრაელი მატარებლიდგან ჩამოსვეს და ერთიც კისერში უთავაზეს.

— კრივი შემოუღიათ? — იფიქრა ისრაელმა. დაუცადა შემდეგ მატარებელს და ისევ უბილეთოდ ჩაჯდა.

— ბილეთი! — სთქვა კონდუქტორმა.

— ბილეთი? ღმერთს გეფიცები, დავკარგე. ვიდრე ჩამოსვეს მატარებლიდგან და კიდევ კისერში უთავაზეს მოუცადა მატარებელს და ისევ უბილეთოდ ჩაჯდა.

— საით მიემგზავრებით? — ჰკითხა ისრაელსა ერთმა მგზავრმა.

— საით? — თუ კისერმა გამიძლო, ოდესაში ვაპირებ წასვლას, — დაღონებით უპასუხა ისრაელმა.

„ივერია“, 1893 წ. №92.

* * *

ქ-ნს ელეონორა დუზეს ეხლახან ჰკითხეს, როგორა ბრძანდებითო.

— მაგდენად არაფრად, — სთქვა დუზემ, — თუმცა ჩემმა ექიმმა მირჩია ფეხით ბევრი იარეო, მაგრამ ჯერ ერთი წყვილი ფეხსაცმელიც არ გამიცვეთია ამ ექვს კვირაში.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენ ყველანი ხელის გულზედ გატარებენ.

„ივერია“, 1894 წ. №173.

* * *

სიღნაღის ერთს მედუქნესთან ვიღაც თავადიშვილები მივიდნენ და საწერ-კალამი სთხოვეს რიღაცის დასაწერად. ბოლოს ერთი მათგანი მიუბრუნდა მედუქნეს და უსაყვედურა:

— ბიჭო, ეს რანაირი კალამია, არა სწერსო.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, „კნიაზებზედ“ ნისიებს — კი კარგადა სწერს და ეხლა რა ღმერთი გაუწყრაო!! — უპასუხა მედუქნემ.

„ივერია“, 1892 წ. №152

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა

ელეონორა დუზე

ხელიბია და ომები



XV ს-ის ევროპაში ადამიანებს კითხვები დაებადათ კათოლიკური ეკლესიის მიერ ნაქადაგები მრავალი საკითხის შესახებ. მათ რისხვას იწვევდა ეკლესიის ლიდერების სულ უფრო მზარდი ძალაუფლება, აგრეთვე მრავალი სასულიერო პირის უქნარობა. განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა ეკლესიის მიერ უზარმაზარი თანხის მიღება ინდულგენციების გაყიდვით: ამ დოკუმენტით თითქოს ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვა შეიძლებოდა. იმ ადამიანებს, ვინც ხმას იმაღლებდა, ეკლესიამ „პროტესტანტები“ უწოდა. მოგვიანებით პროტესტანტები გამოეყვნენ კათოლიკურ ეკლესიას და საკუთარი, რეფორმირებული ქრისტიანული ეკლესიები ჩამოაყალიბეს. ამ მოძრაობას რეფორმაცია ეწოდება.

❍ XV ს-ში კათოლიკურმა ეკლესიამ გადაწყვიტა შებრძოლებოდა პროტესტანტულ რეფორმაციასა და სხვა საფრთხეებს. 1534 წელს იგნატიუს ლოიოლამ იესო ქრისტეს საზოგადოება (იეზუიტების) დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა კონტრრეფორმაციას.

❍ კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგეების, ანუ ერეტიკოსების გამოსავლენად და დასასჯელად შეიქმნა გამოსაძიებელი ორგანოები — ინკვიზიციები.

❍ 1483 წლიდან ესპანური ინკვიზიცია ტერორის სიმბოლო გახდა — იგი გააფთრებული ეძებდა საეჭვოდ მიჩნეულ ერეტიკოსებს (პროტესტანტებსა და ებრაელებს), აწამებდა მათ და შემდეგ კოცონზე წვავდა.

ტომას მორი (1478-1535) სიკვდილით დასაჯეს, რადგან უარი თქვა მეფე ჰენრი VIII ინგლისის ეკლესიის მეთაურად ეცნო.

გასაოცარია

1547 წელს ედუარდ VI-ის დროს ინგლისი პროტესტანტული გახდა, 1553 წელს მარიამის მეფობის დროს აღდგა კათოლიციზმი, ხოლო 1558 წელს ელისაბედ I-ის გამეფებისთანავე ისევ პროტესტანტიზმმა მოიკიდა ფეხი.

❍ 1571 წელს კათოლიკე დედოფლის, ეკატერინე მედიჩის ბრძანებით ბართლომეს ღამეს საფრანგეთში 70 000 პროტესტანტი, ან როგორც ფრანგები უწოდებდნენ, ჰუგენოტი გაჟლიტეს.

❍ მრავალი ინგლისელი პროტესტანტი დაწვეს კათოლიკე დედოფლის, მარიამის (მერის) მეფობის დროს, რომელსაც მეტსახელად „სისხლიანი მერი“ უწოდეს. ინგლისელი კათოლიკეები, მათ შორის ედმუნდ კამპიონი (1540-1581), დედოფალ ელისაბედ I-ის დროს დაიღუპნენ.

მარტინ ლუთერი

მარტინ ლუთერი (1483-1546) ბერი იყო, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტში თეოლოგიას ასწავლიდა. მან სახელი გაითქვა როგორც ბიბლიის შესანიშნავმა მცოდნემ. მისი იდეები დიდ რეფორმაციულ მოძრაობაში გადაიზარდა, რასაც ქრისტიანული ევროპის კათოლიკეებად და პროტესტანტებად დაყოფა მოჰყვა. ლუთერი წინ აღუდგა პაპ ლეო X-ის მიერ ინდულგენციების გაყიდვას რომის წმ. პეტრეს ეკლესიის ასაგებად საჭირო თანხის შესაგროვებლად. 1517 წელს ლუთერმა თავისი „95 თეზისი“ ვიტენბერგის ეკლესიის კარზე გამოაკრა და იმედოვნებდა, რომ მისთვის საინტერესო საკითხებზე ეკლესიის მესვეურებთან დებატები დაიწყებოდა. მაგრამ ამგვარი ქმედებისთვის კათოლიკურმა ეკლესიამ 1521 წელს იგი განკვეთა. ლუთერის იდეები გაიზიარეს სხვა, უფრო რადიკალურად განწყობილმა კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგეებმა, ჟან კალვინმა (1509-1564) და ულრიხ ცვინგლიმ (1484-1531). მალე პროტესტანტული მოძრაობა ჩრდილო-დასავლეთ ევროპას მოედო.

დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-40

ნაწყვეტები წიგნიდან „ცოდნის სამყარო“. გამომცემლობა „პალიტრა L“

მარიამი (მერი), შოტლანდიის დედოფალი

მარიამ I (1542-1587) შოტლანდიის დედოფალი იყო, რომელიც 19 წლის განმავლობაში ინგლისში ჰყავდა დატყვევებული ელისაბედ I-ს. ინგლისის ტახტის მემკვიდრეთა სიაში ელისაბედის შემდეგ მარიამი იყო. თუმცა, ინგლისელთა ნაწილის აზრით, ტახტზე სწორედ მარიამი უნდა ასულიყო, რადგან ისინი არ ცნობდნენ ჰენრი VIII-ის ენ ბოლეინზე ქორწინებას. ელისაბედ I-ის ჯაშუშმა, უოლსინგემმა, მოახერხა შოტლანდიის დედოფლის ბაბინგტონის შეთქმულებასთან კავშირის დადასტურება. მარიამს ბრალად დასდეს სახელმწიფო ღალატი და 1587 წელს ფოთურინგეიში თავი მოჰკვეთეს.

ელისაბედმა ესპანეთის წინააღმდეგ აჯანყებული ჰოლანდიელების დასახმარებლად ჯარები გაგზავნა, ხოლო ფრანსის დრეიკს ფარულად ესპანურ ხომალდებზე თავდასხმისთვის აქეზებდა. 1588 წელს ესპანური არმადა ინგლისის დასაპყრობად გაემართა. მაგრამ ელისაბედი ჩინებული სახელმწიფო მეთაური იყო და ინგლისელებმა არმადა გაანადგურეს.

❍ XV ს-ის ბოლოს ინგლისელ კათოლიკეთა სახლებში არსებობდა ლოცვისთვის გამოყოფილი საიდუმლო ადგილები, რომლებსაც „სალოცავ ხვრელებს“ უწოდებდნენ.

❍ XV ს-ში კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპირისპირებას უთვალავი ადამიანი შეეწირა და მრავალმა წამებით დაასრულა სიცოცხლე.

❍ 1618 წელს გერმანიაში დაიწყო სასტიკი ოცდაათწლიანი ომი, რომლის საბაბი რელიგიური დაპირისპირება იყო.

❍ რუსები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდნენ. V ს-ში, ბარბაროსების მიერ რომის აღების შემდეგ, ქრისტიანობის ცენტრმა კონსტანტინოპოლში გადაინაცვლა.

❍ 1453 წელს, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, მეფე ივანე III-მ მოსკოვს მესამე რომი უწოდა. მან ცოლად ბიზანტიელი იმპერატორის ასული შეირთო. მისი შვილიშვილი, ივანე IV, რომაელი კეისრების წაბაძვით თავს „ცარ“-ს უწოდებდა.

მეფე ჰენრი VIII-ისა და ენ ბოლეინის ქალიშვილი ელისაბედი სამი წლის იყო, როცა დედამისი სიკვდილით დასაჯეს. შესანიშნავი განათლების მქონე ელისაბედი 12 წლისა უკვე რამდენიმე ენაზე თავისუფლად საუბრობდა. იგი ტახტზე 1588 წელს, ნახევარდის, მარიამის (მერის) გარდაცვალების შემდეგ ავიდა. 1559 წელს მიღებული სუპრემაციის აქტით მან გააძლიერა პროტესტანტული ეკლესია. ელისაბედი უარს ამბობდა დაქორწინებაზე და მას „ქალწულ დედოფალს“ უწოდებდნენ. ელისაბედის მეფობა განთქმულია მის დროს მოღვაწე პოეტებითა და დრამატურგებით — სპენსერით, მარლოუთი და შექსპირით.

ევროპის ბახეთი

XIV-XVI სს-ში მსოფლიოს მრავალმა რეგიონმა ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარა. ზოგჯერ ასეთი ურთიერთობა გამანადგურებელი იყო — ვრცელდებოდა დაავადებათა ეპიდემიები ან იწყებოდა სასტიკი ომები. სხვა კონტაქტები მშვიდობიანი და ხელსაყრელი იყო, რომელთა წყალობით ვაჭრები ავრცელებდნენ საქონელსა და იდეებს, რომლებითაც ყველა სარგებლობდა. ამგვარი ძირეული ცვლილებების ეპოქაში ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის დაუფლებით კოლონიური იმპერიები შექმნა, მაგრამ ქვეყნების დიდი ნაწილი ევროპისგან დამოუკიდებლად განაგრძობდა არსებობას.

❍ ერნან კორტესი (1485-1547) ესპანელი ჯარისკაცი და ზღვაოსანი იყო, რომელიც 1519 წელს 500 კაცით მექსიკაში ჩავიდა. სავარაუდოდ, აცტეკებმა ჩათვალეს, რომ კორტესი ღმერთი კეცალკოატლი იყო, ამიტომ აცტეკების მეფე მონტესუმამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია კორტესს, დათმო ტახტი და მის ნაცვლად ქვეყნის მართვა ესპანელებმა ჩაიგდეს ხელთ (იხ. აცტეკების დაპყრობა).

❍ ინკებმა სამხრეთ ამერიკაში XIV ს-ში უძლიერესი იმპერია ჩამოაყალიბეს.

❍ პერუს მაღალ მთებში ინკების ტომი ცხოვრობდა. 1438 წელს პაჩაკუტი ინკა იუპანკო მათი საპა ინკა (მეფე) გახდა და საოცრად მოკლე დროში უზარმაზარი იმპერიის ჩამოყალიბება შეძლო.

❍ ფრანსისკო პისარო (1478-1541) პერუში მაშინ ჩავიდა, როდესაც ინკებს შორის სამოქალაქო ომი იყო: ინკა ატაუალპას თავისი ძმა ებრძოდა. ცხენებითა და ცეცხლსასროლი იარაღით დაშინებული ინკები პისარომ ადვილად დაიმორჩილა. 1533 წელს მან კუსკო აიღო.

❍ როდესაც პირველი ევროპელი კოლონისტები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩავიდნენ, იქ ნახევარი მილიონი აბორიგენი ინდიელი ცხოვრებდა. ინდიელთა ასობით ტომი არსებობდა, ყველას საკუთარი ენა ჰქონდა.

❍ პირველი ინგლისური კოლონია 1607 წლის 24 მაისს ვირჯინიაში, ჯეიმსტაუნში დაარსდა. იგი 104 მოსახლეს ითვლიდა. მრავალი მათგანი 1609 წლის ზამთარში, შიმშილობის დროს დაიხოცა.

❍ ტოიოტომი ჰიდეიოში (1536-1581) დიდი იაპონელი სიოგუნი იყო, რომელმაც ქვეყნის გაერთიანება მოახერხა. თავად შესანიშნავი გენერალი იყო და თავისი მოწინააღმდეგეები ბრძოლებში დაამარცხა. მტრების განადგურების შემდეგ მეომრებისა და გლეხებისგან განცალკევებული საზოგადოებრივი კლასები ჩამოაყალიბა.

აცტეკთა დამპყრობელი

1519 წელს მექსიკაში ჩასულ ერნან კორტესს აცტეკები ისე ექცეოდნენ, როგორც ღმერთს. მათ წვერიანი კორტესი ღვთაება კეცალკოატლს მიამსგავსეს და დაიჯერეს, რომ ღმერთი მათთან დაბრუნდა. აცტეკების წელთაღრიცხვაში მითითებული იყო ღმერთის თავის ხალხთან დაბრუნების წელიწადი, ამიტომ კორტესსა და მის არმიას კეთილგანწყობით შეხვდნენ. თუმცა, ესპანელთა ცხენებისა და თოფების დანახვამ ისინი დააფრთხო. ორი წლის განმავლობაში კორტესმა მთელი მექსიკა დაიპყრო.

❍ ევროპელთა ჩასვლამდე ამერიკის ინდიელები ფეხითა და კანოეებით გადაადგილდებოდნენ. ევროპელებმა XVII ს-ში კონტინენტზე ცხენები შეიყვანეს. ინდიელები მალე დახელოვნებული ცხენოსნები გახდნენ.

პილიგრიმობა

1620 წელს ინგლისის ქალაქ პლიმუთიდან პილიგრიმები ხომალდ „მეიფლაუერით“ გაემგზავრნენ და კეიპ-კოდთან ახალი კოლონია დააარსეს. ისინი ვამოპანოაგის ტომის ინდიელთა დახმარების წყალობით გადარჩნენ. 1621 წლის ნოემბერში პილიგრიმებმა ინდიელები პირველად მიღებული მოსავლის აღსანიშნავ წვეულებაზე დაპატიჟეს. ეს იყო პირველი „მადლიერების დღე“, რომელსაც ყოველწლიურად აშშ-ში 25 ნოემბერს აღნიშნავენ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ დიდების ხანაში ინკების იმპერია გადაჭიმული იყო ჩრდილოეთით თანამედროვე ეკვადორიდან ცენტრალურ ჩილემდე. მაჩუ-პიქჩუ ინკების უკანასკნელი თავშესაფარი იყო პერუს მაღალმთიანეთში. იგი მხოლოდ 1911 წელს აღმოაჩინა ამერიკელმა არქეოლოგმა.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ამერიკის ინდიელები ირმის ტყავისგან დამზადებულ სამოსს ატარებდნენ. სამოსს რთავდნენ არწივის ფრთებით, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

გასაოცარია

1539 წელს ესპანელმა ბერმა მოისმინა ჩრდილოეთში არსებული ქალაქ სიბოლას შესახებ. მრავალი ადამიანი ეცადა მის აღმოჩენას, მაგრამ ამაოდ — ასეთი ქალაქი არასოდეს არსებულა.

მსოფლიოს გაფართოება

XVI ს-ში მსოფლიოს უდიდესი ნაწილი გამოუკვლეველი იყო. წყნარ ოკეანეში იყო უდიდესი არეები და პოლინეზიელებითა და მელანეზიელებით დასახლებული ათასობით კუნძული, სადამდეც ვერც ერთი ხომალდი ვერ აღწევდა. დანარჩენი სამყაროსგან ასევე იზოლირებული იყვნენ ავსტრალია და ახალი ზელანდია. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ყველა დასახლებულ ტერიტორიას აღმოჩენებმა მიაღწიეს.

❍ ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელთა ტომების ექვსი ტერიტორია არსებობდა: სამხრეთ-დასავლეთი, დიდი ველები, შორეული დასავლეთის ზეგანი, ჩრდილო-დასავლეთი, აღმოსავლეთის ტყის მასივი და ჩრდილოეთი.

❍ სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები აბორიგენი ინდიელები, პუებლოს ტომის მსგავსად, მიწათმოქმედებით ირჩენდნენ თავს და მოჰყავდათ მარცვლეული, პარკოსნები და გოგრა.

❍ დაბლობების მცხოვრები ტომები შავტერფიანების, კომანჩისა და შაიენის ხალხების მსგავსად ქვეითად ნადირობდნენ ბიზონებზე.

❍ ტყის მასივებში მცხოვრებ ტომებში, დელავერის ხალხის მსგავსად, მამაკაცები ირმებზე ნადირობდნენ და თევზაობდნენ, ქალებს კი მარცვლეული მოჰყავდათ.

❍ ზეგნისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ბინადარი ინდიელები, ნეზ პერსესა და კვაკიუტლის ტომების მსგავსად, თევზაობდნენ და კენკრას აგროვებდნენ. განთქმული იყო მათი დაშზადებული კალათები.

❍ ჩრდილოეთის ტომები, კრის მსგავსად, ძირითადად, კარიბუზე ნადირობდნენ.

❍ XV-XVIII სს-ში ევროპელებმა აფრიკიდან 10-12 მლნ შავკანიანი მონა შეიყვანეს ამერიკის კონტინენტებზე. მათი 40% გაიგზავნა ბრაზილიაში, 30% — კუბაზე, იამაიკასა და ჰაიტიზე, 5% — აშშ-ში.

კაპიტანი კუკი

კუკმა მოგზაურობაში თან წაიყვანა მეცნიერები და მხატვრები, რომ აღეწერათ წყნარ ოკეანეში მცხოვრები ხალხები, იქ არსებული მცენარეები და ცხოველები.

❍ 1642 წელს ჰოლანდიელი მკვლევარი აბელ იანსზონ ტასმანი პირველი ევროპელი იყო, რომელმაც ტასმანია აღმოაჩინა. მან კუნძულს ვან-დიმენის მიწა უწოდა ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის (მოგვიანებით ნიდერლანდების ინდოეთის) კომპანიის გუბერნატორ-გენერლის, ანტუან ვან-დიმენის პატივსაცემად.

ფრანგი მისიონერების ჩრდილოეთ ამერიკაში დამკვიდრების მიუხედავად, ამ რეგიონში ფრანგების კოლონიზაცია წარუმატებელი გამოდგა.



გასაოცარია

ავსტრალიაში ერთ-ერთმა პირველმა ბრიტანელმა კოლონისტმა აბორიგენს ადგილობრივი ცხოველის სახელი ჰკითხა. აბორიგენმა უპასუხა: „კენგურუ“, რაც მათ ენაზე ნიშნავს „შენი არ მესმის“.

ახალ ზელანდიას (იხ. რუკაზე) მაორები აოტეაროას უწოდებენ, რაც „გრძელი თეთრი ღრუბლის მიწას“ ნიშნავს.

1768 წელს ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თხოვნით ინგლისელი კაპიტანი და მკვლევარი ჯეიმზ კუკი წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ ტაიტიზე გაემგზავრა, რათა დაჰკვირვებოდა პლანეტა ვენერას მერიდიანზე გავლას (მზესა და დედამიწას შორის მოქცევა). კუკი ამ პირველ მოგზაურობაში ესტუმრა ახალ ზელანდიას და ავსტრალიასთან დიდი ბარიერული რიფი აღმოაჩინა.

ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის

1764-1765 წლებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გრენვილმა სამი ახალი გადასახადი დააწესა — შაქრის გადასახადი მელასაზე, ჯარების დაბინავების გადასახადი და გადასახადი საფოსტო მარკაზე. კოლონისტებმა უდრტვინველად აიტანეს შაქრისა და ჯარების დაბინავების გადასახადები, მაგრამ საფოსტო მარკების გადასახადმა მღელვარებები გამოიწვია. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ბოსტონის ჩაის სმა“, როდესაც ინგლისური ჩაის ყუთებს ინდიელთა სამოსში გადაცმულმა კოლონისტებმა ბოსტონის ყურეში გადაუმახეს. ცხრა კოლონიის წარმომადგენელი დელეგატები ნიუ-იორკში შეიკრიბნენ, რომ იქ ემსჯელათ, როგორი საგადასახადო სისტემა იყო კოლონიებისთვის მისაღები. ყველა კოლონიის დელეგატებმა, ჯორჯიის გამოკლებით, დამოუკიდებლობა მოითხოვეს და ამ მოთხოვნის დასაცავად არმიის მეთაურად ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს. 1776 წელს კოლონისტებმა თომას ჯეფერსონის მიერ დაწერილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს. ბრიტანეთმა კოლონიების დამოუკიდებლობა 1783 წელს აღიარა, ხოლო 1787 წელს კოლონისტებმა შექმნეს კონსტიტუცია, რომელშიც მათი მომავალი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ იყო საუბარი. 1789 წელს ვაშინგტონი აშშ-ის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. ხოლო ქვეყნის დედაქალაქს მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა.

ამერიკის ომი დამოუკიდებლობისთვის

1765 ამერიკის კოლონიები მოითხოვენ, საფოსტო მარკის გადასახადის შემოღება განიხილოს ბრიტანეთის პარლამენტმა

1774 ბოსტონის ჩაის სმა — ამერიკელმა კოლონისტებმა ბრიტანული ჩაის ყუთები ბოსტონის ყურეში გადაყარეს

1775 ამერიკულმა ჯარმა ბრიტანელებს ლექსინგტონში ცეცხლი გაუხსნა

1776 მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია

1778 ბრიტანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთი დამხმარე ნაწილებს უგზავნის ამერიკელ კოლონისტებს

1781 ბრიტანელები იორკტაუნთან ბრძოლაში დამარცხდნენ

1783 პარიზის ხელშეკრულება — ბრიტანეთმა ცნო ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობა

აშშ-ის სამხრეთში შავკანიანი მონები ბამბის პლანტაციებში მუშაობდნენ. ბევრი მათგანი გაქცევაზე ან პროტესტზე ოცნებობდა, მაგრამ ისინი უმცირესობაში იყვნენ და შეუძლებელი იყო ისეთი აჯანყების მოწყობა, როგორიც ჰაიტიზე ტუსენ ლ'უვერტიურის ხელმძღვანელობით მოხდა.

აზიის დაკნინება

ასწლეულების განმავლობაში დედამიწის ყველაზე ძლევამოსილი და დახვეწილი ცივილიზაციები აზიაში არსებობდა. სპარსეთი, ჩინეთი, იაპონია და მონღოლების იმპერია მსოფლიოზე ბატონობდა. მაგრამ XVI საუკუნიდან მოყოლებული აზიის ქვეყნების დასუსტება დაიწყო. მათი ეკონომიკა დაკნინდა და ამიტომ სახელმწიფოებრივ ძლიერებას საფუძველი გამოეცალა. მათ ან უნდა მიეღოთ ევროპაში დამკვიდრებული ტექნოლოგიური სიახლეები, ან თავად უნდა გამოეგონებინათ მსგავსი რამ. ბევრ ქვეყანაში კორუმპირებული მმართველობის გამო პროგრესი ძნელად იკიდებდა ფეხს, რის გამოც ადამიანების ყოველდღიური ყოფა საგალალო იყო. ამით სარგებლობდნენ ევროპელები, ახალ მიწებს იპყრობდნენ და ზრდიდნენ თავიანთი კოლონიური იმპერიების საზღვრებს.

❍ XVI ს-ში მინის დინასტიის იმპერატორები სამსაუკუნოვანი მმართველობის გამო მეტად არაპოპულარულები იყვნენ. საყოველთაოდ გაურცელდა მათ წინააღმდეგ აჯანყებები.

❍ 1644 წელს მინის დინასტიის უკანასკნელმა იმპერატორმა თავი ჩამოიხრჩო, როდესაც აჯანყებული გლეხების ბელადი ლი ძინჩენი ბეიძინში შევიდა თავის არმიასთან ერთად.

❍ **1757 წელს ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის 3000-მა ჯარისკაცმა რობერტ კლაივის მეთაურობით პლესისთან ბრძოლაში დაამარცხა ფრანგებისა და ინდოელების 50000-იანი ჯარი. კლაივის გამარჯვების შემდეგ ბრიტანელებმა თანდათან მთელ ინდოეთზე დაამყარეს კონტროლი ქრთამის, დაშინების და ხელსაყრელი გარიგებების წყალობით.**

❍ ჩინეთის დიდ კედელს ჩრდილოეთში მცხოვრები მანჯურიელების არმია იცავდა. მინის არმიის სასოწარკვეთილმა გენერალმა ლი ძინჩენისგან დედაქალაქის გასათავისუფლებლად დასახმარებლად მანჯურიელებს უხმო.

❍ მანჯურიელები ბეიძინში შევიდნენ და საკუთარი მეფე „ზეცის ვაჟიშვილად“ გამოაცხადეს. მათ ცინის იმპერატორთა დინასტია დააარსეს.

❍ ცინის დინასტიამ ჩინური ცხოვრების წესი მიიღო. მანჯურიელი სამოქალაქო მოხელეები ვალდებული იყვნენ, ჩინურად წაეკითხათ კონფუცის კლასიკური ნაშრომები.

❍ 1617 წელს ოსმანთა იმპერიაში აჰმედ I მისმა ძმამ, მუსტაფა I-მა შეცვალა. მომდევნო წელს ელიტურმა სამხედრო ნაწილმა იგი ტახტიდან გადააყენა გონებასუსტობის გამო. აჰმედ I ტახტზე 1822 წელს აღადგინეს. ასე დაიწყო ოსმანთა იმპერატორების ძალაუფლების დაკნინება, რომელიც ბიუროკრატებისა და ჯარისკაცების ხელში გადავიდა.

❍ 1700 წელს ინდოეთის მოგოლთა იმპერია დააკნინა დაუსრულებელმა აჯანყებებმა იმპერატორ აურანგზებისა და მისი კორუმპირებული მმართველობის წინააღმდეგ.

❍ XVII ს-ში მოგოლთა ინდოეთი აჯანყებებმა დაასუსტა. განადგურებულ იმპერიაზე კონტროლი ფრანგებმა და ბრიტანელებმა დაამყარეს.

გასაოცარია

1758 წელს ბენგალის ნაბაბმა მადლობის ნიშნად რობერტ კლაივს ოქროსა და ძვირფასეულობის უზარმაზარი გროვა აჩვენა და ნება დართო, წაეღო ყველაფერი, რის წაღებასაც ერთ ჯერზე შეძლებდა.

➲ ბრიტანელები ინდოეთს 1947 წლამდე მართავდნენ. ბრიტანელი მოხელეები ოჯახებითურთ გარკვეული ხნით რჩებოდნენ ინდოეთში, სადაც მათ რაჯებად მოიხსენიებდნენ. ბრიტანელთა მმართველობა ინდოელების აღშფოთებას იწვევდა. ინდუსები თვლიდნენ, რომ ბრიტანელები მათ რელიგიას ძირს უთხრიდნენ.

❍ 1774 წელს ექვსწლიანი ომის შემდეგ ოსმანთა იმპერია დაამარცხეს რუსებმა და აიძულეს, დასთანხმებოდა რუსული გემების შავი ზღვიდან დარდანელის სრუტის გავლით ხმელთაშუა ზღვაში გატარებას.

მონღოლი ცხენოსნები

ასწლეულების განმავლობაში მონღოლი ცხენოსანი მოისარები ბრძოლებში დაუმარცხებლები იყვნენ. სისწრაფესთან შერწყმული სროლის სიძლიერე არ იცვლებოდა. მონღოლებმა მრავალი მეზობელი ხალხი დაამარცხეს და დაიპყრეს. მაგრამ XVI ს-ში ცეცხლსასროლი იარაღის წყალობით ევროპელებმა ისინი ადვილად დაამარცხეს. მონღოლეთი რუსეთმა და ჩინეთმა გაიყვეს.

ჩინეთის იმპერია

მანჯურიელი მმართველების დროს ჩინეთის იმპერიის საზღვრები ყველაზე ფართო იყო. მანჯურიელების დაჟინებით, გადაწყვეტილებები მხოლოდ იმპერატორს უნდა მიეღო. უზარმაზარი იმპერიის მართვა მალე კორუმპირებული გახდა, რადგან გუბერნატორები ხშირად გადაწყვეტილებების შესრულებას ეწინააღმდეგებოდნენ, თუ ისინი მათთვის სასარგებლო არ იყო. ჩინეთის იმპერია თანდათან გაღატაკდა. იმპერატორები თავიანთი ბრწყინვალე სასახლიდან მართავდნენ ქვეყანას. მათ ფოტოზე გამოხატულის მსგავსი დრაკონებით მორთული აბრეშუმის სამოსი ეცვათ.



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ნოსტე 2. ტალეირანი 3. არსი 4. „სეიკო“ 5. ეკო 6. კატალონია 7. კაგულარები 8. რიტორიკა 9. საგა 10. ტიხონოვი 11. ადონისი 12. ანუი 13. ომარ 14. ათონელი 15. ხანა 16. ნარა 17. ელჩი 18. რაველი 19. ბელა 20. ვარძია 21. ხვიჩია 22. კიევი. სურათზე: ნიკოლო მაკიაველი.